პროცედურისა და მტკიცების წესები*

სარჩევი

წესი

თავი 1. ზოგადი დებულებები

1. ტერმინების გამოყენება
2. აუთენტური ტექსტები
3. ცვლილებები

თავი 2. სასამართლოს შემადგენლობა და ადმინისტრაცია

დანაყოფი I. სასამართლოს შემადგენლობასა და ადმინისტრაციასთან დაკავშირებული ზოგადი დებულებები

4. პლენარული სხდომები
5. საზეიმო ფიცი 45-ე მუხლის მიხედვით
6. პროკუროროის კანცელარიის და სამდივნოს პერსონალის, ასევე თარჯიმნების საზეიმო ფიცი
7. ერთპიროვნული მოსამართლე 39-ე მუხლის (b) (iii) პუნქტის თანახმად
8. პროფესიული ქცევის კოდექსი

დანაყოფი II. პროკურორის კანცელარია

9. პროკურორის კანცელარიის საქმიანობა
10. ინფორმაციისა და მტკიცებულების შენახვა
11. პროკურორის ფუნქციების დელეგირება

დანაყოფი III. სამდივნო

ქვედანაყოფი 1. სამდინოვსთან დაკავშირებული ზოგადი დებულებები

12. მდივნისა და მდივნის მოადგილის კვალიფიკაციები და არჩევა
13. მდივნის ფუნქციები
14. სამდივნოს საქმანობა
15. არქივი

ქვედანაყოფი 2. დაზარალებულთა და მოწმეთა დახმარების ჯგუფი

16. მდივნის მოვალეობები დაზარალებულთა და მოწმეებთან დაკავშირებით
17. ჯგუფის ფუნქციები
18. ჯგუფის მოვალეობები
19. ჯგუფის სპეციალისტები

ქვედანაყოფი 3. ადვოკატი

---

* **განმარტებითი შენიშვნა**: პროცედურისა და მტკიცების წესები წარმოადგენს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის წესდების გამოყენების ინსტრუმენტს; წესები ამ უკანასკნელს ექვემდებარება ყველა შემთხვევაში. პროცედურისა და მტკიცების წესების შემუშავებისას, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო წესდების დებულებათა გარდაქმნისა და, შესაძლებლობის ფარგლებში, გამეორების თავიდან აცილებას. წესდების დებულებებზე უშუალო მითითებები, შესაბამისად, ჩართულ იქნა წესებში მათსა და რომის წესდებას შორის ურთიერთობისათვის ხაზის გასმის მიზნით, როგორც ეს გათვალისწინებულია 51-ე მუხლით, კერძოდ, მე-4 და მე-5 პუნქტებით.
ყველა შემთვხევაში, პროცედურისა და მტკიცების წესები უნდა განიმარტოს წესდების დებულებებთან კავშირში და მათ თანახმად.
სისხლის სამარათლის საერთაშორისო სასამართლოს პროცედურისა და მტკიცების წესები ზიანს არ აყენებს, ეროვნული სამართლაწარმოების მიზნებისათვის, ნებისმიერი ეროვნული სასამართლოს ან სამართლებრივი სისტემის საპროცესო წესებს.

თარგმანი © გიორგი ჯოხაძე, 2003

20. მდივნის მოვალეობები დაცვის უფლებებთან დაკავშირებით

21. სამართლებრივი დახმარების დანიშვნა

22. ადვოკატის დანიშვნა და კვალიფიკაცია

დანაყოფი IV. სიტუაციები, რომელთაც შეუძლიათ გავლენა იქონიონ სასამართლიოს მუშაობაზე

ქვედანაყოფი 1. თანამდებობიდან გადაყენება და დისციპლინარული ზომები

23. ზოგადი პრინციპი

24. სერიოზული გადაცდომის და მოვალეობათა სერიოზული დარღვევის განსაზღვრება

25. ნაკლებად სერიოზული ხასიათის გადაცდომის განსაზღვრება

26. საჩივრის მიღება

27. ზოგადი დებულებები დაცვის უფლებების შესახებ

28. მოვალობიდან დროებითი ჩამოცილება

29. პროცედურა თანამდებობიდან გადაყენების შესახებ შუამდგომლობის მიღების შემთხვევაში

30. პროცედურა დისციპლინარული ზომის შეფარდების შესახებ შუამდგომლობის მიღების შემთხვევაში

31. თანამდებობიდან გადაყენება

32. დისციპლინარული ზომები

ქვედანაყოფი 2. გათავისუფლება, აცილება, გარდაცვალება და გადადგომა

33. მოსამართლის, პროკურორის ან პროკურორის მოადგილის გათავისუფლება

34. მოსამართლის, პროკურორის ან პროკურორის მოადგილის აცილება

35. მოსამართლის, პროკურორის და პროკურორის მოადგილის მოვალეობა, მოითხოვოს მისი გათავისუფლება

36. მოსამართლის, პროკურორის, პროკუროროის მოადგილის, მდივნის ან მდივნის მოადგილის გარდაცვალება

37. მოსამართლის, პროკურორის, პროკუროროის მოადგილის, მდივნის ან მდივნის მოადგილის გადადგომა

ქვედანაყოფი 3. ჩანაცვლება და შემცვლელი მოსამართლეები

38. ჩანაცვლება

39. შემცვლელი მოსამართლეები

დანაყოფი V. გამოქვეყნება, ენები და თარგმანი

40. გადაწყვეტილებების გამოქვეყნება სასამართლოს ოფიციალურ ენებზე

41. სასამართლოს სამუშაო ენები

42. წერილობითი და ზეპირი თარგმანი

43. სასამართლოს დოკუმენტების გამოქვეყნების მიმართ გამოყენებადი პროცედურა

თავი 3. იურისდიქცია და მისაღებობა

დანაყოფი I. მე-11, მე-12, მე-13 და მე-14 მუხლებთან დაკავშირებული განცხადებები და მოხსენებები ვითარების შესახებ

44. მე-12 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული განცხადება

45. სიტუაციის გადაცემა პროკურორისათვის

დანაყოფი II. გამოძიების დაწყება მე-15 მუხლის მიხედვით

თარგმანი © გიორგი ჯოხაძე, 2003

46. მე-15 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტის თანახმად პროკურორისათვის მიწოდებული ინფორმაცია

47. ჩვენება მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად

48. გამოიძიების გაგრძელების გონივრული საფუძვლის დადგენა მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად

49. გადაწყვეტილება და შეტყობინება მე-15 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად

50. წინასწარი სასამართლო წარმოების პალატის მიერ გამოძიების დაწყებაზე ნებართვის გაცემის პროცედურა

დანაყოფი III. პროტესტი და წინასწარი დადგენილება მე-17, მე-18 და მე-19 მუხლების თანახმად

51. მე-17 მუხლის თანახმად მოწოდებული ინფორმაცია

52. მე-18 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შეტყობინება

53. მე-18 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალსიწინებული გადაცემა

54. პროკურორის მიმართვა მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად

55. განხილვა მე-18 პუნტის მე-2 პუნქტთან დაკავშირებით

56. პროკურორის მიმართვა მე-18 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად გადასინჯვის შემდეგ

57. დამატებითი ზომები მე-18 მუხლის მე-6 პუნქტის მიხედვით

58. განხილვა მე-19 მუხლის თანახმად

59. განხილვაში მონაწილეობა მე-19 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად

60. კომპეტენტური ორგანო პროტესტების მიღებისათვის

61. დროებითი ზომები მე-19 მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად

62. განხილვა მე-19 მუხლის მე-10 პუნქტის თანახმად

თავი 4. განხილვის სხვადასხვა სტადიებთან დაკავშირებული დებულებები

დანაყოფი I. მტკიცებულება

63. მტკიცებულებასთან დაკავშირებული ზოგადი დებულებები

64. მტკიცებულების მართებულობასა ან დასაშვებობასთან დაკავშირებული პროცედურა

65. მოწმეთა იძულება ჩვენების მიცემისათვის

66. ფიცი

67. ჩვენების მიცემის პრიდაპირი გადაცემა აუდიო- და ვიდეოკავშირის ტექნოლოგიების გამოყენებით

68. წინასწარ ჩაწერილი ჩვენება

69. შეთანხმებები მტკიცებულების მიმართ

70. მტკიცების პრინციპები სქესობრივ ძალადობასთან დაკავშირებული საქმეებში

71. სქესობრივი ხასიათის სხვა ქმედების მტკიცებულება

72. In camera პროცედურა მტკიცებულების მართებულობის ან დასაშვებობის განსაზღვრისათვის

73. პრივილეგირებული შეტყობინებები და ინფორმაცია

74. მოწმის მიერ თავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემა

75. გამამტყუნებელი ჩვენების მიცემა ოჯახის წევრების მიერ

დანაყოფი II. ინფორმაციის გახსნა

თარგმანი © გიორგი ჯოხაძე, 2003

76. ინფორმაცის გახსნა ბრალდების მოწმეთა შესახებ წინასწარი სასამართლო წარმოების დროს

77. პროკურორის განკარგულებაში ან მისი კონტროლის ქვეშ მყოფ მასალებთან გაცნობა

78. დაცვის განკარგულებაში ან კონტროლის ქვეშ მყოფ მასალასთან გაცნობა

79. ინფორმაციის გახსნა დაცვის მიერ

80. 31-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული სისხლისსამართლებრივი პასუხლისმგებლობის გამომრიცხველი გარემოების არსებობის საფუძვლის დადგენის პროცედურა

81. შეზღუდვები ინფორმაციის გახსნის მიმართ

82. შეზღუდვები 54-ე მუხლის მე-3(e) პუნქტის თანახმად დაცული მასალისა და ინფორმაციის გახსნაზე

83. დადგენილება უდანაშაულობის დამამტკიცებელი მტკიცებულების თაობაზე 67-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად

84. ინფორმაციის გახსნა და დამატებითი მტკიცებულება სასამართლო განხილვისათვის

დანაყოფი III. დაზარალებული პირები და მოწმეები

ქვედანაყოფი 1. დაზარალებულის განსაზღვრება და მასთან დაკავშირებული ზოგადი პრონციპი

85. დაზარალებულის განსაზღვრება

86. ზოგადი პრინციპი

ქვედანაყოფი 2. დაზარალებულთა და მოწმეთა დაცვა

87. დაცვის ზომები

88. სპეციალური ზომები

ქვედანაყოფი 3. დაზარალებულთა მონაწილეობა სასამართლო განხილვაში

89. განცხადება დაზარალებულის სასამართლო განხილვაში მონაწილეობის შესახებ

90. დაზარალებულთა კანონიერი წარმომადგენელი

91. კანონიერ წარმომადგენელთა მონაწილეობა სასამართლო განხილვაში

92. შეტყობინება დაზარალებულისა და მისი კანონიერი წარმომადგენლისადმი

93. დაზარალებულის ან მისი კანონიერი წარმომადგენლის მოსაზრებები

ქვედანაყოფი 4. დაზარალებულისადმი ზიანის ანაზღაურება

94. პროცედურა თხოვნის საფუძველზე

95. პროცედურა სასამართლოს ინიციატივით

96. ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებული სასამართლო განხილვის გამოქვეყნება

97. რეპარაციების გამოთვლა

98. მიზნობრივი ფონდი

99. თანამშრომლობა და დაცვის ზომები 57-ე მუხლის 3(e) პუნქტისა და 75-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად კონფისკაციის მიზნით

დანაყოფი IV. სხვდასხვა დებულებები

100. სასამართლო განხილვის ჩატარების ადგილი

101. ვადები

102. წერილობითის გარდა სხვა შეტყობინებები

თარგმანი © გიორგი ჯოხაძე, 2003

103. Amicus curiae და წარდგინების სხვა ფორმები

თავი 5. გამოძიება და სისხლისსამართლებირივი დევნა

დანაყოფი I. პროკურორის გადაწყვეტილება 53-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების თანახმად გამოძიების დაწყების შესახებ

104. პროკურორის მიერ ინფორმაციის შეფასება

105. პროკურორის გადაწყვეტილება გამოძიების დაუწყებლობის თაობაზე

106. შეტყობინება პროკურორის მიერ გამოიძიების დაუწყებლობის თაობაზე გადაწყვეტილების შესახებ

დანაყოფი II. პროცედურა 53-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად

107. თხოვნა გადასინჯვის შესახებ 53-ე მუხლის მე-3(a) პუნქტის თანახმად

108. წინასწარი სასამართლო წარმოების პალატის გადაწყვეტილება 53-ე მუხლის მე-3(a) პუნქტის თანახმად

109. გადასინჯვა წინასწარი სასამართლო წარმოების პალატის მიერ 53-ე მუხლის მე-3(b) პუნქტის თანახმად

110. წინასწარი სასამართლო წარმოების პალატის გადაწყვეტილება 53-ე მუხლის მე-3(b) პუნქტის თანახმად

დანაყოფი III. მტკიცებულების შეგროვება

111 დაკითხვის ოქმი ზოგადად

112. დაკითხვის ჩაწერა ცალკეულ შემთხვევებში

113. შესაბამისი პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის შეგროვება

114. გამოძიების უნიკალური შესაძლებლობა 56-ე მუხლის თანახმად

115. მტკიცებულების შეგროვება მონაწილე სახელმწიფოს ტერიტორიაზე 57-ე მუხლის მე-3(d) პუნქტის თანახმად

116. მტკიცებულების შეგროვება დაცვის თხოვნით 57-ე მუხლის მე-3(b) პუნქტის თანახმად

ნაწილი IV. თავისუფლების შეზღუდვასა და აღკვეთასთან დაკავშირებული ზომები

117. პატიმრობა სასჯელის აღსრულების სახელმწიფოში

118. წინასწარი პატიმრობა სასამართლოს შტაბ-ბინაში

119. პირობითი გათავისუფლება

120. მოქმედების თავისუფლების შემზღუდავი საშუალებები

დანაყოფი V. პროცედურა 61-ე მუხლის თანახმად ბრალდების დადასტურებასთან დაკავშირებით

121. პროცედურა დადასტურების სხდომის ჩატარებამდე

122. ბრალდების დადასტურების სხდომის პროცედურა ბრალდებული პირის თანდასწრებით

123. შესაბამისი პირის ბრალდების დადასტურების თაობაზე სხდომაზე დასწრების უზრუნველმყოფელი ზომები

124. ბრალდების დადასტურების თაობაზე სხდომაზე დასწრების უფლებაზე უარის თქმა

125. გადაწყვეტილება ბრალდების დადასტურების თაობაზე სხდომის შესაბამისი პირის დაუსწრებლად ჩატარების შესახებ

126. სხდომა ბრალდების დადასტურების თაობაზე შესაბამისი პირის დაუსწრებლად

დანაყოფი VI. წინასწარი წარმოების სტადიის დასრულება

თარგმანი © გიორგი ჯოხაძე, 2003

127. პროცედურა რამოდენიმე ბრალდებაზე სხვადასხვა გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში
128. ბრალდების შეცვლა
129. შეტყობინება ბრალდების დადსტურების თაობაზე გადაწყვეტილების შესახებ
130. სასამართლო წარმოების პალატის შემადგენლობა

თავი 6. სასამართლო განხილვის პროცედურა

131. წინასწარი სასამართლო წარმოების პალატის მიერ გადაცემული განხილვის ოქმი
132. განმწესრიგებელი სხდომები
133. პროტესტი მისაღებობის ან იურისდიქციის თაობაზე
134. სასამართლო განხილვასთან დაკავშირებული შუამდგომლობა
135. ბრალდებულის სამედიცინო შემოწმება
136. ერთობლივი და განცალკევებული სასამართლო განხილვა
137. სასამართლო განხილვის ოქმი
138. მტკიცებულების შენახვა
139. გადაწყვეტილება ბრალის ცნობის თაობაზე
140. მითითებები განხილვის ჩატარების და ჩვენების მიცემის თაობაზე
141. მტკიცებულების წარდგენის დასრულება და დასკვნითი განცხადებები
142. თათბირი
143. დამატებითი სხდომები სასაჯელსა და ზიანის ანაზრაურებასთან დააკშრებულ საკითხებზე
144. სასამართლო პალატის გადაწყვეტილების გამოტანა

თავი 7. სასჯელი

145. სასჯელის განსაზღვრა
146. ჯარიმის დაკისრება 77-ე მუხლის თანახმად
147. განკარგულება კონფისკაციის თაობაზე
148. განკარგულება ჯარიმის ან კონფისკაციის წესით ჩამორთმეული ქონების მიზნობრივი ფონდისათვის გადაცემის თაობაზე

თავი 8. გასაჩივრება და გადასინჯვა

დანაყოფი I. ზოგადი დებულებები

149. სააპელაციო პალატაში სასამართლო განხილვის წესები

დანაყოფი II. დამნაშავედ ცნობის შესახებ გადაყვეტილების, გამამართლებელი გადაყვეტილების, სასჯელის და ზიანის ანაზღაურების შესახებ დადგენილების გასაჩივრება

150. გასაჩივრება
151. გასაჩივრების პროცედურა
152. გასაჩივრების შეწყვეტა
153. გადაწყვეტილება ზიანის ანაზღაურების შესახებ დადგენილების გასაჩივრების თაობაზე

დანაყოფი III. სხვა გადაწყვეტილების გასაჩივრება

154. აპელაცია, რომელიც არ საჭიროებს სასამართლოს ნებართვას
155. აპელაცია, რომელიც საჭიროებს სასამართლოს ნებართვას
156. გასაჩივრების პროცედურა
157. გასაჩივრების შეწყვეტა

თარგმანი © გიორგი ჯოხაძე, 2003

158. გადაწყვეტილება აპელაციის თაობაზე

დანაყოფი IV. განაჩენის ან სასჯელის გადასინჯვა

159. თხოვნა გადასინჯვის თაობაზე
160. ტრანსპორტირება გადასინჯვის მიზნით
161. დადგენილება გადასინჯვის თაობაზე

თავი 9. სასამართლოს წინააღმდეგ მიმართული სამართალდარღვევები და მისდამი უპატივცემულობა

დანაყოფი I. მართლმსაჯულების წინააღმდეგ მიმართული სამართალდარღვევები 70-ე მუხლის თანახმად

162. იურისდიქციის განხორციელება
163. წესდებისა და წესების გამოყენება
164. ხანდაზმულობის ვადა

165. გამოძიება, სისხლისსამართლებრივი დევნა და სასამართლო განხილვა

166. სასჯელი 70-ე მუხლის თანახმად

167. საერთაშორისო თანამშრომლობა და სასამართლო დახმარება
168. Ne bis in idem
169. დაუყოვნებელი დაპატიმრება

დანაყოფი II. სასამართლოსადმი უპატივცემულობა 71-ე მუხლის თანახმად

170. სასამართლო განხილვისათვის ხელის შეშლა

171. სამართლოს მითითებასადმი დაუმორჩილებლობა

172. ქმედება, რომელიც გათვალისწინებულია როგორც 70-ე, ისე 71-ე მუხლითაც

თავი 10. კომპენსაცია დაპატიმრებული ან დამნაშავედ ცნობილი პირის მიმართ

173. თხოვნა კომპენსაციის შესახებ
174. კომპენსაციის მოთხოვნის პროცედურა
175. კომპენსაციის ოდენობა

თავი 11. საერთაშორისო თანამშრომლობა და სამართლებრივი დახმარება

დანაყოფი I. თანამშრომლობის მოთხოვნა 87-ე მუხლის თანახმად

176. სასამართლოს ორგანოები, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან საერთაშორისო თანამშრომლობასა და სამართლებრივ დახმარებასთან დაკავშირებული შეტყობინებების გადაცემასა და მიღებისათვის

177. კავშირის არხები

178. მონაწილე სახელმწიფოთა მიერ 87-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად შერჩეული ენა

179. იმ მოთხოვნების ენა, რომლებიც ეგზავნება წესდების არამონაწილე სახელმწიფოს

180. კავშირის არხის ან თანამშორმლობის მოთხოვნის ენის ცვლილება

დანაყოფი II. პირის სასამართლოსადმი გადაცემა, ტრანზიტი და კოლიზიური მოთხოვნები 89-ე და 90-ე მუხლების თანახმად

181. საქმის მისაღებობის გასაჩივრება ეროვნულ სასამართლოში

182. მოთხოვნა ტრანზიტის თაობაზე 89-ე მუხლის მე-3(e) პუნქტის თანახმად

183. შესაძლო დროებითი გადაცემა სასამართლოს განკარგულებაში

184. სასამართლოსადმი გადაცემის პროცედურები

185. პირის სასამართლოს პატიმრობიდან გათავისუფლება, სასჯელის შესრულების შეთხვევის გარდა

186. კოლიზიური მოთხოვნები საქმის მისაღებობის გასაჩივრების კონტექსტში

თარგმანი © გიორგი ჯოხაძე, 2003

დანაყოფი III. 91-ე და 92-ე მუხლების თანახმად დაკავებასა და გადაცემასთან დაკავშირებული დოკუმენტები

187. გადაცემის მოთხოვნის მხარდამჭერი დოკუმენტების თარგმანი

188. წინასწარი პატიმრობის შემდეგ დოკუმენტების წარდგენის ვადა

189. მოთხოვნის მხარდამჭერი დოკუმენტების გადაცემა

დანაყოფი IV. თანამშრომლობა 93-ე მუხლის თანახმად

190. მოწმის გამოძახების შესახებ მოთხოვნას თანდართული ინსტრუქცია ბრალის აღიარების თაობაზე

191. სასამართლოს მიერ 93-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად წარდგენილი გარანტიები

192. პატიმრობაში მყოფი პირის გადაცემა

193. პირის დროებითი გადაცემა განაჩენის აღსრულების სახელმწიფოდან

194. სასამართლოსაგან მოთხივნილი თანამშრომლობა

დანაყოფი V. თანამშრომლობა 98-ე მუხლის თანახმად

195. ინფორმაციის მიწოდება

დანაყოფი VI. დებულება პირობების უცვლელობის შესახებ 101-ე მუხლის თანახმად

196. მოსაზრებათა წარდგენა 101-ე მუხლის პირველ პუნქტის თაობაზე

197. სასამართლოსადმი გადაცემის გაგრძელება

თავი 12. აღსრულება

დანაყოფი I. სახელმწიფოთა როლი თავისუფლების აღკვეთის სასჯელთა აღსრულებაში და აღმასრულებელი სახელმწიფოს შეცვლა 103-ე და 104-ე მუხლების თანახმად

198. მიმოწერა სასამართლოსა და სახელმწიფოთა შორის

199. პასუხისმგებელი ორგანო მე-10 ნაწილის თანახმად

200. აღმასრულებელ სახელმწიფოთა სია

201. სამართლიანი განაწილების პრინციპები

202. მსჯვარდებული პირის აღსრულების სახელმწიფოსადმი მიწოდების ვადა

203. მსჯვარდებული პირის მოსაზრებები

204. დანიშვნასთან დაკავშირებული ინფორმაცია

205. დანიშვნაზე უარის თქმა გარკვეულ შემთხვევაში

206. მსჯავრდებული პირის ტრანსპორტირება აღმასრულებელ სახელმწიფოში

207. ტრანზიტი

208. ხარჯები

209. აღმასრულებელი სახელმწიფოს შეცვლა

210. აღმასრულებელი სახელმწიფოს შეცვლის პროცედურა

დანაყოფი II. აღსრულება, ზედამხედველობა და გადაცემა 105-ე, 106-ე და 107-ე მუხლების თანახმად

211. განაჩენის აღსრულების და თავისუფლების აღკვეთის ზედამხედველობა

212. ინფორმაცია პირის ადგილსამყოფელის შესახებ ჯარიმის დაკისრების, კონფისკაციის ან ზიანის ანაზღაურების ზომების მიზნებისათვის

213. პროცედურა 107-ე მუხლის მე-3 პუნქტისათვის

თარგმანი © გიორგი ჯოხაძე, 2003

დანაყოფი III. სისხლისსამართლებრივი დევნის ან სხვა სამართალდარღვევისათვის სასჯელის შეზღუდვა 108-ე მუხლის თანახმად

214. წარსული ქმედებისათვის სისხლისსასმართლებრივი დევნის განხორიცელების ან სასჯელის დაკისრების მოთხოვნა

215. გადაწყვეტილება სისხლისსასმართლებრივი დევნის განხორციელების ან სასჯელის მოთხოვნის თაობაზე

216. ინფორმაცია აღსრულების თაობზე

დანაყოფი IV. ჯარიმის, კონფისკაციის ზომების და ზიანის ანაზღაურების შესახებ ბრძანებების აღსრულება

217. თანამშორმლობა და ზომების მიღება ჯარიმის, კონფისკაციის ან ზიანის ანაზღაურების შესახებ ბრძანების აღსრულებისათვის

218. ბრძანება კონფისკაციის და ზიანის ანაზღაურების შესახებ

219. ზიანის ანაზრაურების თაობაზე ბრძანების ცვლილების აკრძალვა

220. ჯარიმის დამაკისრებელი გადაწყვეტილებების ცვლელების აკრძალვა

221. გადაწყვეტილება ქონების ან აქტივების განკარგვის ან დანაწილების თაობაზე

222. დახმარება მიწოდების ან ნებისმიერი სხვა ზომის მიმართ

დანაყოფი V. სასჯელის შემცირების საკითხის განხილვა 110-ე მუხლის თანახმად

223. კრიტერიუმები სასჯელის შემცირების საკითხის განხილვისათვის

224. სასჯელის შემცირების საკითხის განხილვის პროცედურა

დანაყოფი VI. გაქცევა

225. 111-ე მუხლის თანახმად მიღებული ზომები გაქცევის შემთხვევაში

თარგმანი © გიორგი ჯოხაძე, 2003

თავი 1
ზოგადი დებულებები

წესი 1
ტერმინების გამოყენება

ამ დოკუმენტში:
- "მუხლი" ნიშნავს რომის წესდების მუხლს;
- "პალატა" ნიშნავს სასამართლოს პალატას;
- "ნაწილი" ნიშნავს რომის წესდების ნაწილს;
- "თავმჯდომარე მოსამართლე" ნიშნავს პალატის თავმჯდომარე მოსამართლეს;
- "თავმჯდომარე" ნიშნავს სასამართლოს თავმჯდომარეს;
- "რეგლამენტი" ნიშნავს სასამართლოს რეგლამენტს;
- "წესები" ნიშნავს პროცედურისა და მტკიცების წესებს.

წესი 2
აუთენტური ტექსტები

წესები მიღებულ იქნა 50-ე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილ სასამართლოს ოფიციალურ ენებზე. ყველა ტექსტი თანაბრად აუთენტურია.

წესი 3
ცვლილებები

1. წესების ცვლილებები, რომლებიც 51-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმადაა შემოთავაზებული, უნდა გაეგზავნება მონაწილე სახელმწიფოთა ასამბლეის ბიუროს თავმჯდომარეს.

2. მონაწილე სახელმწიფოთა ასამბლეის ბიუროს თავმჯდომარე უზრუნველყოფს, რომ ყველა შემოთავაზებული შესწორება ითარგმნება სასამართლოს ოფიციალურ ენებზე და გადაეცემა მონაწილე სახელმწიფოებს.

3. პირველ და მე-2 ქვეწესებში აღწერილი პროცედურა ასევე გამოიყენება 51-ე მუხლის მე-3 პუნქტში აღნიშნული დროებითი წესების მიმართ.

თარგმანი © გიორგი ჯოხაძე, 2003

თავი 2
სასამართლოს შემადგენლობა და ადმინისტრაცია

დანაყოფი I
სასამართლოს შემადგენლობასა და ადმინისტრაციასთან დაკავშირებული ზოგადი დებულებები

წესი 4
პლენარული სხდომები

1. მოსამართლეები პლენარულ სხდომაზე იკრიბებიან მათი არჩევიდან არაუგვიანეს ორი თვის ვადაში. ამ პირველ სხდომაზე, საპატიო ფიცის მიცემის შემდეგ, მოსამართლეები, მე-5 წესის შესაბამისად:

(ა) ირჩევენ თავმჯდომარეს და თავმჯდომარის მოადგილეს,

(ბ) ანაწილებენ მოსამართლეებს განყოფილებებში.

2. ამის შემდეგ, მოსამართლეები პლენარულ სხდომებზე იკრიბებიან წელიწადში ერთხელ მაინც, რათა განახორციელონ წესდებით, წესებითა და რეგლამენტით განსაზღვრული მათი ფუნქციები და, თუ ამის საჭიროება არსებობს, თავმჯდომარის მიერ მისი შუამდგომლობით ან მოსამართლეთა ნახევარის თხოვნით მოწვეულ სპეციალურ პლენარულ სხდომაზე.

3. ყოველი პლენარული სხდომის ქვორუმი მოსამართლეთა ორ მესამედს შეადგენს.

4. თუ წესდება ან წესები სხვაგვარად არ ითვალისწინებს, პლენარული სხდომების გადაწყვეტილებები დამსწრე მოსამართლეთა ხმების უმრავლესობით მიიღება. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, თავმჯდომარის ან თავმჯდომარის შემცვლელ მოსამართლეს აქვს გადამწონი ხმის უფლება.

5. რეგალმენტი მიიღება რაც შეიძლება მალე, პლენარულ სხდომაზე.

წესი 5
საზეიმო ფიცი 45-ე მუხლის მიხედვით

1. როგორც ეს 45-ე მუხლითაა გათვალისწინებული, წესდებით გათვალისწინებული ფუნქციების შესრულებამდე, მიღებულ უნდა იქნეს შემდეგი ფიცი:

(ა) მოსამართლის შემთხვევაში:

"მე საზეიმოდ ვფიცავ, რომ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მოსამართლის მოვალეობებსა და უფლებამოსილებას განვახორციელებ პატივისცემით, ერთგულად, მიუკერძოებლად და კეთილსინდისიერად, და დავიცავ გამოძიებისა და ბრალდების კონფიდენციალურობას და თათბირის საიდუმლოებას."

(ბ) პროკურორის, პროკურორის მოადგილის, სასამართლოს მდივნისა და მდივინის მოადგილის შემთხვევაში:

"მე საზეიმოდ ვფიცავ, რომ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს (თანამდებობის დასახელება) მოვალეობებსა და უფლებამოსილებას განვახორციელებ პატივისცემით, ერთგულად, მიუკერძოებლად და კეთილსინდისიერად, და დავიცავ გამოძიებისა და ბრალდების კონფიდენციალურობას."

2. ფიცის მიმღები პირის მიერ ხელმოწერილი და მონაწილე სახელმწიფოთა ასამბლეის ბიუროს თავმჯდომარისა ან თავმჯდომარის მოადგილის მიერ დამოწმებული ფიცი ეგზავნება სამდივნოს და ინახება სასამართლოს ჩანაწერებში.

წესი 6
პროკურორის კანცელარიისა და სამდივნოს პერსონალის, ასევე თარჯიმნების საზეიმო ფიცი

თარგმანი © გიორგი ჯოხაძე, 2003

1. სამუშაოს მიღებისთანავე, პროკურორის ოფისისა და სამდივნოს პერსონალის თითოეულმა წევრმა უნდა მიიღოს შემდეგი ფიცი:

"მე საზეიმოდ ვფიცავ, რომ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს (თანამდებობის დასახელება) მოვალეობებსა და უფლებამოსილებას განვახორციელებ პატივისცემით, ერთგულად, მიუკერძოებლად და კეთილსინდისიერად, და დავიცავ გამოძიებისა და ბრალდების კონფიდენციალურობას."

ფიცის მიმღები პირის მიერ ხელმოწერილი და, საჭიროებისამებრ, პროკურორის, პროკურორის მოადგილის, მდივნისა ან მდივნის მოადგილის მიერ დამოწმებული ფიცი ეგზავნება სამდივნოს და ინახება სასამართლოს ჩანაწერებში.

2. ნებისმიერი მოვალეობის შესრულებამდე, თარჯიმანმა უნდა მიიღოს შემდეგი ფიცი:

"მე საზეიმოდ ვფიცავ, რომ ჩემს მოვალეობებს შევასრულებ ერთგულად, მიუკერძოებლად და კონფიდენციალურობის ვალდებულების დაცვით."

ფიცის მიმღები პირის მიერ ხელმოწერილი და სასამართლოს თავმჯდომარისა ან მისი წარმომადგენლის მიერ დამოწმებული ფიცი ეგზავნება სამდივნოს და ინახება სასამართლოს ჩანაწერებში.

წესი 7
ერთპიროვნული მოსამართლე 39-ე მუხლის (b) (iii) პუნქტის თანახმად

1. როდესაც წინასწარი სასამართლო წარმოების პალატა ირჩევს ერთ მოსამართლეს, მან ეს უნდა გააკეთოს წინასწარ განსაზღვრული, ობიექტური კრიტერიუმების საფუძველზე.

2. დანიშნული მოსამართლე შესაბამის გადაწყვეტილებებს იღებს იმ საკითხებზე, რომელთა გადწყვეტა სრული პალატის შემადგენლობით არ არის გათვალისწინებული უშუალოდ წესდებით ან წესებით.

3. წინასწარი სასამართლო წარმოების პალატას, საკუთარი ინიციატივით ან, როდესაც ეს საჭიროა, მხარის თხოვნით, შეუძლია გადაწყვიტოს, რომ ერთპიროვნული მოსამართლის ფუნქციებს განახორციელებს პალატა სრული შემადგენლობით.

წესი 8
პროფესიული ქცევის კოდექსი

1. პრეზიდიუმი, მდივნის მიერ წარდგენილი წინადადების საფუძველზე, პროკურორთან კონსულტაციის შემდეგ, მოამზადებს ადვოკატის პროფესიული ქცევის კოდექსის პროექტს. წინადადების მომზადებისას, მდივანმა უნდა გამართოს კონსულტაციები მე-20 წესის მე-3 ქვეწესის შესამაბამისად.

2. ამის შემდეგ, კოდექსის პროექტი, მიღების მიზნით, გადაეცემა მონაწილე სახელმწიფოთა ასამბლეას 112-ე მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად.

3. კოდექსი უნდა შეიცავდეს მასში ცვლელებების შეტანის პროცედურას.

დანაყოფი II
პროკურორის კანცელარია

წესი 9
პროკურორის კანცელარიის საქმიანობა

პროკურორის კანცელარიის მართვისა და ადმინისტაციის მოვალეობების განხორციელებისას, პროკურორი მიიღებს კანცელარიის მართვის განაწესს. ამ განაწესის მომზადებისას ან მათში ცვლელებების შეტანისას, პროკურორი მოითათბირებს მდივანთან

ნებისმიერ საკითხზე, რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს სამდივნოს ფუნქციონირებასთან.

წესი 10
ინფორმაციისა და მტკიცებულების შენახვა

პროკურორი პასუხლისმგებელია მის ან მისი კანცელარიის მიერ ჩატარებული გამოძიების დროს მოპოვებული ინფორმაციისა და ფიზიკური მტკიცებულების შენახვისა და უსაფრთხოებისათვის.

წესი 11
პროკურორის ფუნქციების დელეგირება

წესდებით განსაზღვრული პროკურორის განუსხვისებელი უფლებამოსილების, *inter alia*, მე-15 და 53-ე მუხლში განსაზღვრული უფლებამოსილების გარდა, პროკურორს ან პროკურორის მოადგილეს შეუძლია პროკურირს კანცელარიის პერსონალის წევრებს, 44-ე მუხლის მე-4 პუნქტში აღნიშნული პერსონალის გარდა, გადასცეს მისი წარდგენის უფლებამოსილება მისი ფუნქციების განხორციელებისას.

დანაყოფი III
სამდივნო

ქვედანაყოფი 1
სამდინოვსთან დაკავშირებული ზოგადი დებულებები

წესი 12
მდივნისა და მდივნის მოადგილის კვალიფიკაციები და არჩევა

1. პრეზიდიუმი, არჩევისთანავე, შეადგენს იმ კანდიდიატთა სიას, რომლებიც პასუხობენ 43-ე მუხლის მე-3 პუნქტში ჩამოყალიბებულ კრიტერიუმებს, და ამ სიას გადასცემს მონაწილე სახელმწიფოთა ასამბლეას ნებიემიერი რეკომენდაციების მიწოდების თხოვნით.

2. მონაწილე სახელმწიფოთა ასამბლეის რეკომენდაციების მიღებისთანავე, თავმჯდომარემ დაუყოვნებლივ პლენარულ სხდომას წარუდგენს სიას თანდართული რეკომენდაციებით.

3. როგორც ეს გათვალისწინებულია 43-ე მუხლის მე-4 პუნქტით, სასამართლო, პლენარულ სხდომაზე შეკრებისას, რაც შეიძლება მალე აირჩევს მდივანს ხმების აბსოლუტური უმრავლესობით, მონაწილე სახელმწიფოთა ასამბლეის რეკომენდაციების მხედველობაში მიღებით. თუ ვერც ერთი კანდიდატი ვერ მიიღებს ხმების აბსოლუტურ უმრავლესობას პირველ კენჭისყრაზე, შემდგომი კენჭისყრები ჩატარდება მანამ, სანამ ერთ-ერთი კანდიდატი არ მიიღებს ხმების აბსოლუტურ უმრავლესობას.

4. თუ წარმოიშვება მდივნის მოადგილის საჭიროება, მდივანს შეუძლია თავმჯდომარეს მიაწოდოს შესაბამისი რეკომენდაცია. თავმჯდომარე მოიწვევს პლენარულ სხდომას ამ საკითხის გადასაწყვეტად. თუ სასამართლო პლენარულ სხდომაზე გადაწყვეტს, ხმების აბსოლუტური უმრავლესობით, მდივნის მოადგილის არჩევის საჭიროებას, მდივანი სასამართლოს წარუდგენს კანდიდატების სიას.

5. მდივნის მოადგილე სასამართლოს მიერ აირჩევა პლენარულ სხდომაზე იმავე წესით, როგორც მდივანი.

წესი 13
მდივნის ფუნქციები

თარგმანი © გიორგი ჯოხაძე, 2003

1. წესდებით გათვალისწინებული პროკურორის კანცელარიის მიერ ინფორმაციის მიღების, მოპოვებისა და გაცემის და, ამ მიზნით, კავშირის არხების შექმნის უფლებამოსილებისადმი ზიანის მიყენების გარეშე, მდივანი მოქმედებს როგორც სასამართლოს კავშირის არხი.

2. მდივანი პასუხისმგებელია სასამართლოს შიდა უსაფრთხოებაზე პრეზიდიუმსა და პროკურორან, ასევე მასპინძელ სახელმწიფოსთან კონსულტაციით.

წესი 14
სამდივნოს საქმანობა

1. სამდივნოს ორგანიზაციასა და მართვის პასუხისმგებლობის განხორციელებისას, მდივანი მიიღებს სამდივნოს საქმინობის მარეგულირებელი განაწესს. ამ განაწესის მომზადებისას ან მასში ცვლილებათა შეტანისას, მდივანი ატარებს პროკურორთან კონსულტაციას ნებისმიერ საკითხზე, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდნოს პროკურორის კანცელარიის საქმიანობაზე. ეს განაწესი მტკიცდება პრეზიდიუმის მიერ.

2. განაწესი უნდა ითვალისწინებდეს შესაძლებლობას დაცვის ადვოკატისათვის, მიიღოს შესაბამისი და გონივრული ადმინისტაციული დახმარება სამდივნოსაგან.

წესი 15
არქივი

1. მდივანმა აწარმოებს სასამართლოს მიერ განხილული ყოველი საქმის დეტალების შემცველ მონაცემთა ბაზას, მოსამართლის ან პალატის მიერ რომელიმე დოკუმენტის ან ინფორმაციის გახსნის დაუშვებლობის და საიდუმლო პირადი მონაცემების დაცვის შესახებ გაცემული ბრძანების გათვალისწინებით. მონაცემთა ბაზაში არსებული ინფორმაცია გამოქვეყნდება სასამართლოს სამუშაო ენებზე.

2. მდივანი ასევე ინახავს სასამართლოს სხვა ჩანაწერებს.

ქვედანაყოფი 2
დაზარალებულთა და მოწმეთა დახმარების ჯგუფი

წესი 16
მდივნის მოვალეობები დაზარალებულთა და მოწმეებთან დაკავშირებით

1. მდივანი პასუხისმგებელია, წესდებისა და ამ წესების თანახმად, დაზარალებულთა მიმართ შემდეგი ფუნქციების განხორციელებისათვის:

(a) შეატყობინების ან ცნობის მიწოდება დაზარალებულთათათვის ან მათი კანონიერი წარმომადგენლებისათვის;

(b) მათთვის დახმარების გაწვა იურიდიული კონსულტაციების მიღებასა და მათი სამართლებრივი წარმომადგენლობის ორგანიზებაში, და მათი კანონიერი წარმომადგენლების სათანადო მხარდაჭერით, დახმარებითა და ინფორმაციით უზრუნველყოფა, ისეთ საშუალებათა ჩათვლით, რომლებიც შეიძლება აუცილებელი აღმოჩნდეს მათი მოვალოებების უშუალო განხორციელებისათვის, მათი უფლებების სასამართლო წარმოების ყველა სტადიაზე დაცვის მიზნით, 89-ე, 90-ე და 91-ე მუხლების შესაბამისად;

(c) მათთვის დახმარების გაწევა სასამართლო წარმოების სხვადასხვა სტადიაზე მონაწილეობაში, 89-ე, 90-ე და 91-ე მუხლების შესაბამისად;

(d) გენდერული ხასიათის ზომების მიღება, სქესობრივი ძალადობის დანაშაულის მსხვერპლთა სასამართლო წარმოების სხვადასხვა სტადიაზე მონაწილების ხელშესაწყობად.

2. იმ დაზარალებულთა, მოწმეთა და სხვა პირთა მიმართ, რომელთაც საფრთხე ემუქრებათ ამგვარ მოწმეთა მიერ ჩვენების მიცემის შედეგად, მდივანი პასუხისმგებელია, წესდებისა და ამ წესების შესაბამისად, შემდეგი ფუნქციების განხორციელებისათვის:

თარგმანი © გიორგი ჯოხაძე, 2003

(a) მათი ინფორმირება წესდებიდან და ამ წესებიდან გამომდინარე მათი უფლებების თაობაზე და დაზარალებულთა და მოწმეთა დახმარების ჯგუფის არსებობის, ფუნციებისა და მისი დახმარების გამოყენების შესაძლებლობების შესახებ;

(b) მათი დროული გაცნობა, კონფიდენციალურობასთან დაკავშირებული დებულებების გათვალისწინებით, სასამართლოს შესაბამის გადაწყვეტილებებთან, რომლებიც შეიძლება ეხებოდეს მათ ინტერესებს.

3. მისი ფუნქციების განხორციელებისათვის, მდივანს შეუძლია აწარმოოს იმ დაზარალებულთა სპეციალური სია, რომელთაც განაცხადეს გარკვეულ საქმესთან დაკავშირებით მონაწილეობის მხადყოფნა.

4. მდივანს, სასამართლოს სახელით, შეუძლია სახელმწიფოსთან აწარმოოს მოლაპარაკებები შეთანხმებების თაობზე, რომლებიც ითავლისწინებს ტრავმირებულ ან მუქარის მიმდებ დაზარალებულთა, მოწმეთა და სხვა პირთა, რომელთაც საფრთხე ემუქრება ამგვარ მოწმეთა მიერ მიცემული ჩვენების შედეგად, გადაადგილებას ან ამ სახელმწიფოს ტერიტორიაზე მათთვის დახმარების გაწევას. ამგავრი შეთანხემებები შეიძლება კონფიდენციალური დარჩეს.

წესი 17
ჯგუფის ფუნქციები

1. დაზარალებულთა და მოწმეთა დახმარების ჯგუფი თავის ფუნქციებს ახორციელებს 43-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად.

2. დაზარალებულთა და მოწმეთა დახმარების ჯგუფი, წესდებისა და წესების შესაბამისად და, სათანადო შემთხვევაში, პალატასთან, პროკურორთან და დაცვასთან კონსულტაციით, ახორციელებს, *inter alia*, შემდეგ ფუნქციებს:

(a) სასამართლოში გამოცხადებული ყველა მოწმის, დაზარალებულის ან სხვა პირის, რომელსაც საფრთხე ემუქრება ამგვარი მოწმის მიერ მიცემული ჩვენების შედეგად, მიმართ და მათი განსაკუთრებული მოთხოვნილებებისა და გარემოებების გათვალისწინებით:

(i) იღებს მათი დაცვისა და უსაფრთხოების სათანადო ზომებს და შეიმუშავებს მათი დაცვის გრძელ- და მოკლევადიან გეგმებს;

(ii) სასამართლოს ორგანოებს მიაწოდებს რეკომენდაციებს დაცვის ზომების მიღების თაობაზე, აგრეთვე შესაბამის სახელმწიფოებს აძლევს რჩევას ამგვარი ზომების თაობაზე;

(iii) ეხმარება მათ სამედიცინო, ფსიქოლოგური და სხვა სათანადო დახმარების მიღებაში;

(iv) სასამართლოსა და მხარეებისათვის აწყობს შესაბამის მომზადებას ტრავმის, სქესობრივი ძალადობის, უშიშროებისა და კონფიდენციალურობის საკითხებში;

(v) პროკურორის კანცელარიასთან კონსულტაციით, რეკომენდაციას უწევს ქცევის კოდექსის შემუშავებას, რომელიც ხაზს უსვამს უშიშროებისა და კონფიდენციალურობის სასიცოცხლო მნიშვნელობას სასამართლოსა და დაცვის გამომძიებლებისათვის და, სათანადო შემთხვევაში, სასამართლოს დავალებით მოქმედ ყველა მთავრობათშორის თუ არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის;

(vi) საჭიროებისამებრ, თანამშორმლობს სახელმწიფოებთან ამ წესით გათვალისწინებული ყველა ზომის განხორციელებაში;

(b) მოწმეთა მიმართ:

(i) რჩევას უწევს მათ იმის თაობაზე, თუ სად მიიღონ იურიდიული კონსულტაცია მათი უფლებების დაცვის მიზნით, კერძოდ, მათ ჩვენებებთან დაკავშირებით;

(ii) დახმარებას უწევს მათ სასამართლოს წინაშე ჩვენებების მიცემისათვის მათი გამოძახების დროს;

(iii) იღებს გენდერული ხასიათის ზომებს სქესობრივი ძალადობის დანაშაულის მსხვერპლთა სასამართლო წარმოების ყველა სტადიაზე მონაწილეობის მიღების ხელშესაწყობად.

3. მისი ფუნქციების განხორციელებისას, ჯგუფი სათანადო ყაურადღებას უთმობს ბავშვთა, ასაკოვანთა და ინვალიდების განსაკუთრებულ მოთხოვნილებებს. ბავშვთა მოწმის სახით მონაწილეობის და დაცვის ხელშეუწყობის მიზნით, ჯგუფს შეუძლია, სათანადო შემთხვევაში, მშობლებისა ან კანონიერი მეურვის თანხმობით, დანიშნოს ბავშვთან მუშაობის სპეციალისტი, რომელიც ბავშვს დახმარებას გაუწევს სასამართლო წარმოების ყველა სტადიაზე.

წესი 18
ჯგუფის მოვალეობები

თავისი სამუშაოს ეფექტური და ქმედითი შესრულების მიზნით, დაზარალებულთა და მოწმეთა დახმარების ჯგუფი:

(a) უზრუნველყოფს ჯგუფის წევრთა მიერ კონფიდენციალურობის დაცვას ყველა გარემოებებში;

(b) პროკურორის კანცელარიის, დაცვისა და მოწმეთა განსაკუთრებული ინტერესების გათვალისწინებით, იცავს მოწმის ინტერესებს, მათ შორის, როდესაც ეს აუცილებელია, ბრალდებისა და დაცვის მოწმეებისათვის გაწეული სამსახურის სათანადო განაწილების შენარჩუნებით, და მოქმედებს მიუკერძოებლად, ყველა მხარესთან თანამშრომლობითა და პალატების დადგენილებებისა და გადაწყვეტილებების შესრულებით;

(c) მოწმეებს, სასამართლოს წინაშე გამოცხადებულ დაზარალებულ პირებსა და სხვა პირებს, რომელთაც საფრთხე ემუქრება ამგვარ მოწმეთა ჩვენების მიცემის შედეგად, უნზრუნველყოფს ადმინისტრაციული და ტექნიკური დახმარებით, სასამართლო წარმოების ყველა სტადიაზე და მის შემდეგაც, გონივრულ ფარგლებში;

(d) უზრუნველყოფს თავისი პერსონალის მომზადებას დაზარალებულთა და მოწმეთა უშიშროების, ხელშეუხებლობისა და ღირსების დაცვის საკითხებში, მათ შორის გენდერული და კულტურული მნიშვნელობის მქონე საკითხებში;

(e) აუცილებლობის შემთხვევაში, თანამშრომლობს სამთარობათშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

წესი 19
ჯგუფის სპეციალისტები

43-ე მუხლის მე-6 პუნქტში აღნიშნული პერსონალის გარდა და 44-ე მუხლის გათვალისწინებით, მოწმეთა და დაზარალებულთა დახმარების ჯგუფში შეიძლება შედიოდნენ პირები, რომელთაც გააჩნიათ სპეციალობა, *inter alia*, შემდეგ დარგებში:

(a) მოწმეთა დაცვა და მათი უსაფრთხოება;

(b) სამართლებრივი და ადმინისტრაციული საკითხები, ჰუმანიტარული და სისხლის სამართლის სფეროთა ჩათვლით;

(c) მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა;

(d) სამართლო წარმოების ფსიქოლოგია;

(e) გენდერული საკითხები და კულტურული მრავალფეროვნება;

(f) ბავშვები, კერძოდ, ტრავმირებული ბავშვები;

(g) ასაკოვანი პირები, კერძოდ, შეიარაღებულ კონფლიქტთან და იძულებით გადაადგილებასთან დაკავშირებულ ტრავმასთან მიმართებით;

(h) ინვალიდები;

თარგმანი © გიორგი ჯოხაძე, 2003

(i) სოციალური სამსახური და კონსულტაცია;

(j) ჯანდაცვა;

(k) ზეპირი და წერილობითი თარგმანი.

ქვედანაყოფი 3
ადვოკატი

წესი 20
მდივნის მოვალეობები დაცვის უფლებებთან დაკავშირებით

1. 43-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, მდივანი სამდივნოს პერსონალის იმგავრად უწევს ორგანიზაციას, რომ მხარი დაუჭიროს დაცვის უფლებების დაცვას, წესდებით განსაზღვრული სამართლიანი სასამართლო პროცესის პრინციპის თანახმად. ამ მიზნით მდივანი, inter alia:

(a) ხელს უწყობს კონფიდენციალურობის დაცვას, როგორც ეს განსაზღვრულია 67-ე მუხლის 1(b) პუნქტით;

(b) მხარდაჭერასა და დახმარებას უწევს, ასევე ინფორმაციას აწვდის სასამართლოს წინაშე მონაწილე ყველა ადვოკატს და, საჭიროებისამებრ, პროფესიონალურ გამომძიებლებს უწევს მხარდაჭერას, რომელიც აუცილებელია გამოძიების ეფექტური და ქმედითი წარმართვისათვის;

(c) დახმარებას უწევს დაპატიმრებულ პირებს, პირებს, რომელთა მიმართაც გამოიყენება 55-ე მუხლის მე-2 პუნქტი და ბრალდებულ პირებს იურიდიული კონსულტაციის მიღებასა და იურისკონსულტის დახმარებაში;

(d) საჭიროებისამებრ, რჩევას უწევს პროკურორსა და პალატებს დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებში;

(e) დაცვას უზრუნველყოფს ისეთი სათანადო საშუალებებით, რომლებიც შეიძლება საჭირო იყოს დაცვის ფუნქციების უშუალო განხორციელებისათვის;

(f) ხელს უწყობს სასამართლოსა და მისი საპრეცედენტო სამართლის შესახებ ინფორმაციის და მონაცემთა მიწოდებას ადვოკატისათვის და, სათანადო შემთხვევაში, თანამშრომლობს მე-3 ქვეწესში ნახსენებ ადვოკატთა და იურისტთა ეროვნულ ასოციაციებთან ან ადვოკატთა და სამართლებრივი ასოციაციების ნებისმიერ დამოუკიდებელ წარმომადგენლობით ორგანოსთან, რათა ხელი შეუწყოს იურისტთა სპეციალიზაციასა და მომზადებას წესდებისა და წესების სამართალში.

2. მდივანი ასრულებს პირველ ქვეწესში მითითებულ ფუნქციებს, მათ შორის სამდივნოს ფინანსურ ადმინისტრაციას იმგვარად, რომ უზრუნველყოს ადვოკატის პროფესიული დამოუკიდებლობა.

3. ისეთი მიზნებისათვის, როგორიცაა იურიდიული დახმარების ორგანიზაცია 21-ე წესის შესაბამისად და პროფესიული ქცევის კოდექსის შემუშავება მე-8 წესის შესაბამისად, მდივანი, საჭიროებისამებრ, ატარებს კონსულტაციებს ადვოკატთა და სამართლებრივი ასოციაციების ნებისმიერ დამოუკიდებელ წარმომადგენლობით ორგანოსთან, მათ შორის ნებისმიერ ასეთ ორგანოსთან, რომლის შექმნა შეიძლება სანქციონირებულ იქნეს მონაწილე სახელმწიფოთა ასამბლეის მიერ.

წესი 21
სამართლებრივი დახმარების დანიშვნა

1. 55-ე მუხლის 2(c) პუნქტის და 67-ე მუხლის 1(d) პუნქტის გათვალისწინებით, სამართლებრივი დახმარების დანიშვნის კრიტერიუმები და პროცედურები განისაზღვრება რეგლამენტით, მდივნის მიერ წარდგენილი წინადადების საფუძველზე, მე-20 წესის მე-3 ქვეწესში

თარგმანი © გიორგი ჯოხაძე, 2003

აღნიშნულ ადვოკატთა და სამართლებრივი ასოციაციების ნებისმიერ დამოუკიდებელ წარმომადგენლობით ორგანოსთან კონსულტაციის შემდეგ.

2. მდივანი ადგენს და ინახავს იმ ადვოკატთა სიას, რომლებიც პასუხობენ 22-ე ქვეწესში და რეგლამენტში მოყვანილ კრიტერიუმებს. პირი თავისუფლად ირჩევს მის ადვოკატს ამ სიიდან ან სხვა ადვოკატს, რომელიც პასუხობს მოთხოვნილ კრიტერიუმებს და სურს, ჩართულ იქნეს სიაში.

3. პირს შეუძლია პრეზიდიუმს მიმართოს შუამდგომლობით ადვოკატის დანიშვნაზე უარის შესახებ გადაწყვეტილების გადასინჯვის თაობაზე. პრეზიდიუმის გადაწყვეტილება საბოლოოა. თუ შუამდგომლობა უარყოფილია, პირს შეუძლია მდივანს მიმართოს ახალი შუამდგომლობით, გარემოებათა ცვლილების მითითებით.

4. პირი, რომელიც არჩევს სასამართლოში თავისი თავის პირადად წარდგენას, პირველივე შესაძლობის არსებობისას წერილობით შეატყობინებს მდივანს ამის შესახებ.

5. თუ პირი აცხადებს, რომ მას არ გააჩნია ადვოკატის სამსახურის ანაზრაურების საკმარისი საშუალებები, და შემდგომში აღმოჩნდება, რომ ეს სინამდვილეს არ შეესაბამება, პალატას, რომელიც ამ დროისათვის იხილავს საქმეს, შეუძლია გამოიტანოს დადგენილება ადვოკატის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ.

წესი 22
ადვოკატის დანიშვნა და კვალიფიკაცია

1. ადვოკატს უნდა გააჩნდეს საერთაშორისო სამართლისა ან სისხლის და საპროცესო სამართლის მყარი ცოდნა, ისევე როგორც სისხლის სამართლის პროცესში მოსამართლის, პროკურორის, ადვოკატის ან სხვა მსგავს კომპეტენციაში მონაწილეობის შესაბამისი გამოცდილება. ადვოკატს უნდა გააჩნდეს სასამართლოს ერთ-ერთი სამუშაო ენის კარგი ცოდნა ან თავისუფლად უნდა ფლობდეს მას. ადვოკატს შეუძლია ისარგებლოს სხვა პირების, მათ შორის შესაბამისი გამოცდილების მქონე სამართლის პროფესორთა დახმრებით.

2. ადვოკატი, რომელიც პირმა შეარჩია თავისი არჩევანის მიხედვით ადვოკატის დაქირავების უფლების განხორციელებით, პირველივე შესაძლებობისთანავე მდივანს წარუდგენს თავისი უფლებამოსილებას.

3. თავის მოვალეობათა განხორციელებისას, ადვოკატი ხელმძღვანელობს წესდებით, წესებით, რეგლამენტით, მე-8 წესის შესაბამისად მიღებული ადვოკატის პროფესიული ქცევის კოდექსით და სასამართლოს მიერ მიღებული სხვა დოკუმენტით, რომელსაც შეიძლება კავშირი ჰქონდეს მისი მოვალეობების შესრულებასთან.

დანაყოფი IV
სიტუაციები, რომელთაც შეუძლიათ გავლენა იქონიონ სასამართლიოს მუშაობაზე

ქვედანაყოფი 1
თანამდებობიდან გადაყენება და დისციპლინარული ზომები

წესი 23
ზოგადი პრინციპი

მოსამართლე, პროკურორი, პროკურორის მოადგილე, მდივანი და მდივნის მოადგილე შეიძლება გადაყენებულ იქნენ თანამდებობიდან ან მათ მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს დისციპლინარული ზომები ისეთ შემთხვევებში და ისეთი გარანტიებით, რომლებიც განსაზღვრულია წესდებითა და წესებით.

წესი 24
სერიოზული გადაცდომის და მოვალეობათა სერიოზული დარღვევის განსაზღვრება

თარგმანი © გიორგი ჯოხაძე, 2003

1. 46-ე მუხლის 1(a) პუნქრის მიზნებისათვის, "სერიოზულ გადაცდომას" შეადგენს ქმედება, რომელიც:

(a) თუ ის ჩადენილია ოფიციალურ მოვალეობათა განხორციელების პროცესში, შეუსაბამოა ოფიცილურ ფუნქციებთან და აყენებს ან შეუძლია მიაყენოს სერიოზული ზიანი სასამართლოს მიერ მართლმსაჯულების სათანადო განხორციელებას ან სასამართლოს სათანადო შიდა ფუნქციონირებას, როგორიცაა:

(i) იმ ფაქტებისა ან ინფორმარციის, რომელიც პირმა მოიპოვა მისი მოვალეობების განხორციელების პროცესში ან იმ საკითხის, რომელიც იმყოფება sub judice, გამოქვეყნება, თუ ასეთი გამოქვეყნება სერიოზულად ვნებს სასამართლო განხილვას ან ნებისმიერ პირს;

(ii) იმ მონაცემთა ან გარემოებათა დამალვა, რომელთა სერიოზულობა საკმარისია იმისათვის, რომ გამორიცხოს პირის მიერ თანამდებობის დაკავება;

(iii) თავისი თანამდებობრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება რომელიმე ხელისუფლების ორგანოს, თანამდებობის პირის ან სპეციალისტის გაუმართლებლად კეთილსაყრელი მოპყრობის მოპოვების მიზნით; ან

(b) თუ ის არ არის ჩადენილი ოფიციალურ მოვალეობათა შესრულებისას, მძიმე ხასითისაა და აყენებს ან შეუძლია მიაყენოს სერიოზული ზიანი სასამართლოს ავტორიტეტს.

2. 46-ე მუხლის 1(a) პუნქტის მიზნებისათვის, "მოვალეობათა სერიოზულ დარღვევას" ადგილი აქვს მაშინ, როდესაც პირმა გამოიჩინა უხეში გაუფრთხილებლობა თავისი მოვალეობების შესრულებისას ან შეგნებულად მოქმედებდა ამ მოვალეობათა საწინააღმდეგოდ. ეს შეიძლება მოიცავდეს, inter alia, სიტუაციებს, როდესაც თანამდებობის პირი:

(a) არ ასრულებს მისი თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ თხოვნის წარდგენის მოვალეობას, იმის ცოდნით, რომ არსებობს ამის საფუძველი;

(b) არაერთხელ იწვევს გაუმართლებელ შეფერხებას სასამართლო განხილვის დაწყებაში, სასამართლო დევნასა ან საქმის განხილვაში, ან სასამართლო ხელისუფლების განხორციელებაში.

წესი 25
ნაკლებად სერიოზული ხასიათის გადაცდომის განსაზღვრება

1. 47-ე მუხლის მიზნებისათვის, "ნაკლებად სერიოზული ხასიათის გადაცდომას" შეადგენს ქმედება, რომელიც:

(a) თუ მას ადგილი აქვს ოფიციალურ მოვალეობათა შესრულებისას, აყენებს ან შეუძლია ზიანი მიაყენოს სასამართლოს მიერ მართლმსაჯულების სათანადო განხორციელებას ან სასამათლოს სათანადო შიდა ფუნქციონირებას, როგორიცაა:

(i) 47-ე მუხლში ნახსენებ პირთა ფუნქციების განხორციელებაში ჩარევა;

(ii) იმ მოთხოვნათა არაერთხელ შეუსრულებლობა ან უგულვებელყოფა, რომელთაც თავმჯდომარე მოსამართლე ან პრეზიდიუმი წარადგენენ თავისი კანონიერი უფლებამოსილების განხორციელებისას;

(iii) იმ დისციპლინარული ზომების გამოყენების აღუსრულებლობა, რომლებიც გამოიყენება მდივნის ან მდივნის მოადგილის და სასამართლოს სხვა თანამდებობის პირის მიმართ, როდესაც მოსამართლემ იცოდა ან უნდა სცოდნოდა მათ მიერ მოვალების სერიოზული დარღვევის ჩადენის შესახებ; ან

(b) თუ ის არ არის ჩადენილი ოფიციალურ მოვალეობათა შესრულებისას და აყენებს ან შეუძლია მიაყენოს სერიოზული ზიანი სასამართლოს ავტორიტეტს.

2. არაფერი ამ წესში არ გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ 1(a) ქვეწესით განსაზღვრული ქმედება შეადგენდეს "სერიოზულ გადაცდომას" ან "მოვალოების სერიოზულ დარღვევას" 46-ე მუხლის 1(a) პუნქტის მიზნებისათვის.

თარგმანი © გიორგი ჯოხაძე, 2003

წესი 26
საჩივრის მიღება

1. 46-ე მუხლის პირველი პუნქტის და 47-ე მუხლის მიზნებისათვის, ნებისმიერი საჩივარი 24-ე და 25-ე წესით განსაზღვრული რომელიმე ქმედების მიმართ უნდა შეიცავდეს მიზეზებს, რომლებიც მას უდევს საფუძვლად, ინფორმაციას საჩივრის შემომტანის შესახებ და, შეძლებისდაგვარად, ნებისმიერ შესაბამის მტკიცებულებას. საჩივარი კონფიდენციალური რჩება.

2. ყველა საჩივარი უნდა გადაეცეს პრეზიდიუმს, რომელსაც შეუძლია დაიწყოს სასამართლო განხილვა თავისი ინიციატივით, და რომელიც, რეგალმენტის შესაბამისად, არ განიხილავს ანონიმურ ან აშკარად დაუსაბუთებელ საჩივრებს და სხვა საჩივრებს გადასცემს კომპეტენტურ ორგანოს. პრეზიდიუმს ამ ამოცანის განხორციელებაში ეხმარება ერთი ან რამოდენიმე მოსამართლე, რომლებიც ინიშნება ავტომატური როტაციის საფუძველზე, რეგლამენტის შესაბამისად.

წესი 27
ზოგადი დებულებები დაცვის უფლებების შესახებ

1. ნებისმიერ შემთხვევაში, როდესაც, 46-ე მუხლის თამახმად, განიხილება საკითხი თანამდებობიდან გადაყენების შესახებ ან საკითხი დისციპლინარული ზომების შესახებ, 47-ე მუხლის თანახმად, შესაბამის პირს ამის შესახებ ეცნობება წერილობით.

2. დაინტერესებულ პირს მიეცემა სრული შესაძლებლობა, წარადგინოს და მოიპოვოს მტკიცებულება, გააკეთოს წერილობითი წარდგინებები და პასუხი გასცეს მისდამი დასმულ ნებისმიერ შეკითხვაზე.

3. პირი შეიძლება წარმოდგენილ იქნეს ადვოკატის მიერ ამ წესით დადგენილი პროცედურის განმავლობაში.

წესი 28
მოვალობიდან დროებითი ჩამოცილება

იმ შემთხვევაში, როდესაც იმ პირის მიმართ არსებული ეჭვი, რომლის მიმართაც წარდგენილია საჩივარი, საკმარისად სერიოზულ ხასიათს ატარებს, პირი შეიძლება ჩამოცილებულ იქნეს მოვალეობის შესრულებიდან კომპეტენტური ორგანოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე.

წესი 29
პროცედურა თანამდებობიდან გადაყენების შესახებ შუამდგომლობის მიღების შემთხვევაში

1. მოსამართლის, მდივნის ან მდივნის მოადგილის შემთხვევაში, საკითხი თანამდებობიდან გადაყენების შესახებ კენჭისყრაზე დგება პლენარული სხდომაზე.

2. პრეზიდიუმი მონაწილე სახელმწიფოთა ასამბლეის ბიუროს პრეზიდენტს წერილობით აცნობებს მოსამართლის შემთხვევაში მიღებული ნებისმიერი რეკომენდაციის და მდვინისა და მდივნის მოადგილის შემთხვევაში მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილების შესახებ.

3. პროკურორი მონაწილე სახელმწიფოთა ასამბლეის ბიუროს პრეზიდენტს წერილობით აცნობებს ნებისმიერი რეკომენდაციის შესახებ, რომელიც მას გამოაქვს პროკურორის მოადგილის შემთხვევაში.

4. თუ ქმედება არ კვილიფიცირდება როგორც სერიოზული გადაცდომა ან მოვალეობის სერიოზული დარღვევა, 47-ე მუხლის შესაბამისად შეიძლება გამოტანილ იქნეს გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ დაინტერესებულმა პირმა ჩაიდინა ნაკლებად სერიოზული ხაისათის გადაცდომა და მის მიმართ გამოყენებულ იქნეს დისციპლინარული ზომა.

თარგმანი © გიორგი ჯოხაძე, 2003

წესი 30
პროცედურა დისციპლინარული ზომის შეფარდების შესახებ შუამდგომლობის მიღების შემთხვევაში

1. მოსამართლის, მდივნის ან მდივნის მოადგილის შემთხვევაში, ნებისმიერ გადაწყვეტილებას დისციპლინარული ზომის შეფარდების შესახებ იღებს პრეზიდიუმი.

2. პროკურორის შემთხვევაში, ნებისმიერ გადაწყვეტილებას დისციპლინარული ზომის დაწესების შესახებ იღებს მონაწილე სახელმწიფოთა ასამბლეის ბიუროს აბსოლუტური უმრავლესობა.

3. პროკურორის მოადგილის შემთხვევაში:

(a) ნებისმიერ გადაწყვეტილებას საყვედურის გამოცხადების შესახებ იღებს პროკურორი;

(b) ნებისმიერ გადაწყვეტილებას ფულადი ჯარიმის დაწესების შესახებ იღებს მონაწილე სახელმწიფოთა ასამბლეის ბიუროს აბსოლუტური უმრავლესობა, პროკურორის რეკომენდაციის საფუძველზე.

4. საყვედურები ჩაიწერება წერილობით და გადაეცემა მონაწილე სახელმწიფოთა ასამბლეის ბიუროს პრეზიდენტს.

წესი 31
თანამდებობიდან გადაყენება

გადაწყვეტილება თანამდებობიდან გადაყენების შესახებ ძალაში შედის მისი გამოცხადებისთანავე. შესაბამისი პირი წყვეტს სასამართლოს შემადგენლობაში მუშაობას, მათ შორის იმ დაუმთავრებელ საქმეთა მიმართაც, რომელთა განხილვაშიც იგი მონაწილეობდა.

წესი 32
დისციპლინარული ზომები

შეიძლება შემდეგი დისციპლინარული ზომების გამოყენება:

(a) საყვედური; ან

(b) ფულადი ჯარიმა, რომლის ოდენობა არ უნდა აღემატებოს სასამართლოს მიერ ამ პირისათვის გადახდილი ექვსი თვის ხელფასის ოდენობას.

ქვედანაყოფი 2
გათავისუფლება, აცილება, გარდაცვალება და გადადგომა

წესი 33
მოსამართლის, პროკურორის ან პროკურორის მოადგილის გათავისუფლება

1. მოსამართლე, პროკურორი ან პროკურორის მოადგილე, რომელსაც სურს მისი ფუნქციების განხორციელებიდან გათავისუფლება, მიმართავს პრეზიდიუმს წერილობითი თხოვნით, რომელშიაც მას მოჰყავს მისი გათავისუფლების საფუძვლები.

2. პრეზიდიუმი ამგვარ თხოვნას განიხილავს როგორც კონფიდენციალურს და არ გამოაქვეყნებს საფუძვლებს თავისი გადაწყვეტილებისათვის დაინტერესებული პირის თანხმობის გარაშე.

წესი 34
მოსამართლის, პროკურორის ან პროკურორის მოადგილის აცილება

თარგმანი © გიორგი ჯოხაძე, 2003

1. 41-ე მუხლის მე-2 პუნქტით და 42-ე მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრული საფუძვლების გარდა, მოსამართლის, პროკურორის ან პროკურორის მოადგილის აცილების საფუძვლები შეიძლება მოიცავდეს, inter alia, შემდეგს:

(a) პირადი ინტერესს საქმეში, მათ შორის მეუღლეობრივ, მშობლისა და შვილის ან სხვა ახლო ოჯახურ, პირად ან პროფესიონალურ ურთიერთობებს ან დამოკიდებულების ურთიერთობებს რომელიმე მხარესთან;

(b) პირად მონაწილეობას ნებისმიერ სასამართლო წარმოებაში, რომელიც დაიწყო მის საქმეში ჩართვამდე ან მის მიერ იქნა დაწყებული საქმეში ჩართვის შემდეგ, რომელშიაც ის დაუპირისპირდა გამოძიების ქვეშ მყოფ ან ბრალდებულ პირს;

(c) თანამდებობის მიღებამდე ისეთი ფუნქციების განხორციელებას, რომელთა განხორციელებისას მას შეიძლება ჩამოჰყალიბებოდა შეხედულება მოცემულ საქმეზე, მხარეებზე ან მათ კანონიერ წარმომადგენლებზე, რომელსაც, ობიექტური თვალსაზრისით, შეუძლია არახელსაყრელი გავლენა იქონიოს შესაბამისი პირის აუცილებელ მიუკერძოებლობაზე;

(d) მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მეშვეობოთ, წერილობით ან საჯარო მოქმედებების ფორმით ისეთი შეხედულებების გამოხატვა, რომელთაც, ობიექტური თვალსაზრისით, შეუძლიათ არახელსაყრელი გავლენა იქონიონ შესაბამისი პირის აუციელებელ მიუკერძოებლობაზე.

2. 41-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 42-ე მუხლის მე-8 პუნქტის დებულებათა გათვალისწინებით, შუამდგომლობა აცილების თაობაზე მიეწოდება წერილობით, როგორც კი ცნობილი გახდება ის საფუძვლები, რომელთაც იგი ეფუძნება. შუამდგომლობა შეიცავს საფუძვლებს, რომელთაც თან უნდა ერთვოდეს ნებიმიერი შესაბამისი მტკიცებულება, და გადაეცემა დაინტერესებულ პირს, რომელსაც გააჩნია წერილობითი წარდგინების წარდგენის უფლება.

3. გადაწყვეტილება პროკურორისა და პროკურორის მოადგილის აცილებასთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე მიიღება სააპელაციო პალატის მოსამართლეთა უმრავლესობით.

წესი 35
მოსამართლის, პროკურორის და პროკურორის მოადგილის მოვალეობა, მოითხოვოს მისი გათავისუფლება

როდესაც მოსამართლეს, პროკურორს ან პროკურორის მოადგილეს გააჩნია საფუძველი ვარაუდისა, რომ მის მიმართ არსებობს აცილების საფუძველი, მან უნდა შეიტანოს თხოვნა მისი გათავისუფლების შესახებ და არ დაელოდოს მის აცლებას 41-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 42-ე მუხლის მე-7 პუნქტის და 34-ე წესის შესაბამისად. ამგვარი თხოვნა წარედგინება და პრეზიდიუმი მას იხილავს 33-ე წესის შესაბამისად.

წესი 36
მოსამართლის, პროკურორის, პროკურორროის მოადგილის, მდივნის ან მდივნის მოადგილის გარდაცვალება

პრეზიდიუმი წერილობით აცნობებს მონაწილე სახელმწიფოთა ასამბლეის ბიუროს პრეზიდენტს მოსამართლის, პროკურორის, პროკურორის მოადგილის, მდივნის ან მდივნის მოადგილის გარდაცვალებას.

წესი 37
მოსამართლის, პროკურორის, პროკურორროის მოადგილის, მდივნის ან მდივნის მოადგილის გადადგომა

1. მოსამართლე, პროკურორი, პროკურორის მოადგილე, მდივანი ან მდივნის მოადგილე წერილობით აცნობებს პრეზიდიუმს მის გადაწყვეტილებას გადადგომის შესახებ. პრეზიდიუმი წერილობით აცნობებს მონაწილე სახელმწიფოთა ასამბლეის ბიუროს პრეზიდენტს ამის შესახებ.

2. მოსამართლე, პროკურორი, პროკურორის მოადგილე, მდივანი ან მდივნის მოადგილე ეცდება მისი გადაგომის ძალაში თარიღი აცნობოს, როგორც მინიმუმ, ექვსი თვით ადრე. მისი გადაგომის ძალაში შესვლამდე მოსამართლე ყოველ ღონეს ხმარობს თავისი დარჩენილი მოვალეობების შესრულებისათვის.

ქვედანაყოფი 3
ჩანაცვლება და შემცვლელი მოსამართლეები

წესი 38
ჩანაცვლება

1. მოსამართლე შეიძლება ჩანაცვლებულ იქნეს ობიექტური და დასაბუთებული მიზეზებით, inter alia:

(a) გადადგომა;

(b) მიღებული გათავისუფლება;

(c) აცილება;

(d) თანამდებობიდან გადაყენება;

(e) გარდაცვალება.

2. ჩანაცვლება ტარდება წესდებით, წესებითა და რეგლამენტით წინასწარ დადგენილი პროცედურის შესაბამისად.

წესი 39
შემცვლელი მოსამართლეები

იმ შემთხვევებში, როდესაც პრეზიდიუმი, 74-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, სასამართლო წარმოების პალატას დაუნიშნავს შემცვლელ მოსამართლეს, ეს მოსამართლე ესწრება ყველა სასამართლო სხდომასა და თათბირს კონკრეტულ საქმეზე, მაგრამ არ შეუძლია მიიღოს მათში რაიმე მონაწილეობა და არ ახორციელებს ამ საქმის განხილვაში მონაწილე სასამართლო წარმოების პალატის წევრთა ფუნქციები, თუ და მანამ, სანამ მას არ მოეთხოვება ჩაენაცვლოს სასამართლო წარმოების პალატის წევრს, თუ ამ წევრს არ შეუძლია განაგრძოს საქმის განხილვაზე დასრწება. შემცვლელი მოსამართლეები ინიშნება სასამართლოს მიერ წინასწარ დადგენილი პროცედურის საფუძველზე.

დანაყოფი V
გამოქვეყნება, ენები და თარგმანი

წესი 40
გადაწყვეტილებების გამოქვეყნება სასამართლოს ოფიციალურ ენებზე

1. 50-ე მუხლის პირველი პუნქტის მიზნებისათვის, შემდეგი გადაწყვეტილებები განიხილება როგორც გადაწყვეტილებები ფუძემდებლურ საკითხებზე:

(a) სააპელაციო განყოფილების ყველა გადაწყვეტილება;

თარგმანი © გიორგი ჯოხაძე, 2003

(b) სასამართლოს ყველა გადაწყვეტილებები მისი იურისდიქციის ან საქმის დასაშვებობის შესახებ მე-17, მე-18, მე-19 და მე-20 მუხლების შესაბამისად;

(c) სასამართლო წარმოების პალატის ყველა გადაწყვეტილება ბრალეულობის ან უდანაშაულობის, სასჯელის დანიშვნის და დაზარალებულთათვის ზიანის ანაზღაურების შესახებ 74-ე, 75-ე და 76-ე მუხლების შესაბამისად;

(d) წინასწარი სასამართლო წარმოების პალატის ყველა გადაწყვეტილება 57-ე მუხლის მე-3(d) პუნქტის შესაბამისად.

2. გადაწყვეტილებები ბრალდების დადასტურების შესახებ 61-ე მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად და გადაწყვეტილებები მართლმსაჯულების წინააღმდეგ მიმართულ დარღვევებზე 70-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შეიძლება გამოქვეყნებულ იქნეს სასამრთლოს ყველა ოფიციალურ ენაზე, როდესაც პრეზიდიუმი განსაზღვრავს, რომ ისინი ფუძემდებლურ საკითხებს გადაწყვეტს.

3. პრეზიდიუმს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება სხვა გადაწყვეტილებათა სასამართლოს ოფიციალურ ენებზე გამოქვეყნების შესახებ, როდესაც ასეთი გადაწყვეტილებები ეხება მნიშვნელოვან საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია წესდების ინტერპრეტაციასა ან შესრულებასთან ან ეხება საყოველთაო ინტერესის მქონე საკითხს.

წესი 41
სასამართლოს სამუშაო ენები

1. 50-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიზნებისათვის, პრეზიდიუმს შეუძლია მისცეს სასამართლოს ოფიციალური ენის სასამართლოს სამუშაო ენად გამოყენების უფლებამოსილება, როდესაც:

(a) ამ ენას გებულობს და ფლობს იმ საქმის განხილვაში მონაწილე პირთა უმრავლესობა, რომელსაც სასამართლო იხილავს, და სასამართლო განხილვის რომელიმე მონაწილე ითხოვს ამას;

(b) ამას ითხოვს პროკურორი და დაცვის მხარე.

2. პრეზიდიუმს შეუძლია მისცეს სასამართლოს ოფიცილაური ენის სასამართლოს სამუშაო ენად გამოყენების უფლებამოსილება, თუ იგი თვლის, რომ ეს ხელს შეუწყობს სასამართლო განხილვის ეფექტურობის ამაღლებას.

წესი 42
წერილობითი და ზეპირი თარგმანი

სასამართლო უზრუნველყოფს წერილობით და ზეპირ თარგმანს, რომელიც აუცილებელია წესდებისა და წესების მიხედვით მისი ვალდებულებების შესრულებისათვის.

წესი 43
სასამართლოს დოკუმენტების გამოქვეყნების მიმართ გამოყენებადი პროცედურა

სასამართლო უზრუნველყოფს, რომ ყველა დოკუმენტი, რომელიც ქვეყნდება წესდებისა და წესების შესაბამისად, იცავს სასამართლო განხილვის კონფიდენციალურობის და დაზარალებულთა და მოწმეთა უსაფრთხოების დაცვის მოვალეობას.

თარგმანი © გიორგი ჯოხაძე, 2003

თავი 3
იურისდიქცია და მისაღებობა

დანაყოფი I
მე-11, მე-12, მე-13 და მე-14 მუხლებთან დაკავშირებული განცხადებები და მოხსენებები ვითარების შესახებ

წესი 44
მე-12 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული განცხადება

1. მდივანს, პროკურორის თხოვნის საფუძველზე, შეუძლია, კონფიდენციალურ საფუძველზე, გამოჰკითხოს სახელმწიფოს, რომელიც არ წარმოადგენს წესდების მონაწილე მხარეს ან მას შეუერთდა წესდების ძალაში შესვლის შემდეგ, აპირებს თუ არა ის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული განცხადების გაკეთებას.

2. როდესაც სახელმწიფო წარადგენს, ან მდივანს განუცხადებს, რომ ის მზადაა წარუდგინოს მდივანს განცხადება მე-12 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ან როდესაც მდივანი მოქმედებს პირველი ქვეწესის შესაბამისად, მდივანი აცნობებს შესაბამის სახელმწიფოს, რომ განცხადების წარდგენას მე-12 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად შედეგად მოჰყვება მე-5 მუხლში მოყვანილ დანაშაულთა მიმართ იურისდიქციის ცნობა, რომელთაც გააჩნით კავშირი შესაბამის ვითარებასთან, და რომ გამოიყენება მე-9 ნაწილის დებულებები და მის ფარგლებში მოქმედი წესები მონაწილე სახელმწიფოთა მიმართ.

წესი 45
ვითარების გადაცემა პროკურორისათვის

ვითარების გადაცემა პროკურორისათვის ხორციელდება წერილობითი ფორმით.

დანაყოფი II
გამოძიების დაწყება მე-15 მუხლის მიხედვით

წესი 46
მე-15 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტის თანახმად პროკურორისათვის მიწოდებული ინფორმაცია

მე-15 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად მოწოდებული იფორმაციის მიღების ან მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად სასამართლოს ადგილსამყოფელში მიღებული წერილობითი ან ზეპირი ჩვენების მიღების შემთხვევაში პროკურორი იცავს ამგვარი ინფორმაციის ან ჩვენების კონფიდენციალურობას ან იღებს ნებისმიერ სხვა აუცილებელ ზომას, რომელიც გამომდინარეობს წესდებით გათვალისწინებული მისი მოვალეობებიდან.

წესი 47
ჩვენება მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად

1. 111-ე და 112-ე წესების დებულებები გამოიყენება, mutatis mutandis, პროკურორის მიერ მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად მიღებული ჩვენების მიმართ.

2. როდესაც პროკურორი თვლის, რომ არსებობს საშიშროება იმისა, რომ შემდგომში შეუძლებელი გახდება ჩვენების მიღება, მას შეუძლია წინასწარი სასამართლო წარმოების პალატას სთხოვოს მიიღოს ისეთი ზომები, რომლებიც შეიძლება საჭირო იყოს სასამართლო განხილვის ეფექტურობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად და, კერძოდ, დანიშნოს ადვოკატი ან წინასწარი სასამართლო წარმოების პალატის მოსამართლე ჩვენების მიღების პროცესზე დასასწრებად, დაცვის უფლებათა დაცვის მიზნით. თუ ჩვენება შემდგომში მიეცემა სასამართლო განხილვის დროს, მისი მისაღებობა განისაზღვრება 69-ე მუხლის მე-4 პუნქტის

თარგმანი © გიორგი ჯოხაძე, 2003

საფუძველზე და მას მიეცემა ისეთი მნიშვნელობა, როგორიც დგინდება შესაბამისი პალატის მიერ.

წესი 48
გამოიძიების გაგრძელების გონივრული საფუძვლის დადგენა მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად

გამოიძიების გაგრძელების გონივრული საფუძვლის დადგენისას მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, პროკურორი მხედველობაში იღებს 53-ე მუხლის (a)-(c) პუნქტებში მოყვანილ ფაქტორებს.

წესი 49
გადაწყვეტილება და შეტყობინება მე-15 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად

1. მე-15 მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, პროკურორმა დროულად უნდა უზრუნველყოს შეტყობინების მიწოდება, თავისი გადაწყვეტილების მოტივების ჩათვლით, იმგვარად, რომ თავიდან იქნეს აცილებული რაიმე საშიშროება იმ პირთა უსაფრთხოების, კეთილდღეობის ან ხელშეუხებლობის მიმართ, რომელთაც მას მიაწოდეს ინფორმაცია მე-15 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტის თანახმად, ან გამოძიების ან სასამართლო განხილვის მიუკერძოებლობის მიმართ.

2. შეტყობინებაში ასევე მიეთითება იმავე სიტუაციასთან დაკავშირებული შემდგომი ინფორმაციის მიწოდების შესაძლებლობა ახალი ფაქტებისა და მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში.

წესი 50
წინასწარი სასამართლო წარმოების პალატის მიერ გამოძიების დაწყებაზე ნებართვის გაცემის პროცედურა

1. როდესაც პროკურორი აპირებს, წისანსწარი სასამართლო წარმოების პალატას სთხოვოს ნებართვის გაცემა გამოძიების დაწყებაზე მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, პროკურორმა ამის შესახებ უნდა აცნობოს მისთვის ცნობილ დაზარალებულ პირებს ან დაზარალებულთა და მოწმეთა დახმარების ჯგუფს, ან მათ კანონიერ წარმომადგენლებს, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც პროკურორი გადაწყვეტს, რომ ეს საშიშროების ქვეშ აყენებს გამოძიების მიუკერძოებლობას ან დაზარალებულთა და მოწმეთა სიცოცხლეს ან კეთილდღეობას. პროკურორს ასევე შეუძლია შეტყობინების გადაცემა საერთო სარგებლობის არხებით, დაზარალებულთა ჯგუფებთან კავშირის დამყარების მიზნით, თუ ის, საქმის კონკრეტულ გარემოებებში, დაადგენს, რომ ამგავრი შეტყობინება საშიშროების ქვეშ არ აყენებს გამოძიების მიუკერძოებლობასა და ეფექტურ წარმართვას ან დაზარალებულთა და მოწმეთა სიცოცხლესა და კეთილდღეობას. ამ ფუნქციების განხორციელებისას, პროკურორს შეუძლია, საჭიროებისამებრ, დახმარებისათვის მიმართოს დაზარალებულთა და მოწმეთა დახმარების ჯგუფს.

2. პროკურორის თხონვა ნებართვის გაცემის თაობაზე კეთდება წერილობით.

3. პირველი ქვეწესის თანახმად ინფორმაციის მიწოდების შემდეგ, დაზარალებულ პირებს შეუძლიათ წინასწარი სასამართლო წარმოების პალატას წარუდგინონ წერილობითი წარდგინებები, რეგლამენტით გათვალისწინებულ ვადაში.

4. წინასწარი სასამართლო წარმოების პალატას, სათანადო პროცედურის დადგენისას, შეუძლია პროკურორსა და ნებისმიერ დაზარალებულ პირს, რომელმაც წარადგინა წარდგინება, მოსთხოვოს დამატებითი ინფორმაცია და, თუ ის საჭიროდ ჩათვლის, ჩაატაროს საქმის მოსმენა.

5. წინსაწარი სასამართლო წარმოების პალატას გამოაქვს გადაწყვეტილება, მისი მოტივების მითითებით, მე-15 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გამოძიების გაგრძელებაზე ნებართვის გაცემის თაობაზე პროკურორის თხოვნის ან მისი ნაწილის საფუძველზე. პალატა

თავისი გადაწყვეტილების შესახებ აცნობებს დაზარალებულ პირებს, რომელთაც გააკეთეს წარდგინებები.

6. ზემოთ მოყვანილი პროცედურა გამოიყენება ნებისმიერი ახალი თხოვნის მიმართ, რომელიც წინასწარი წარმოების სასამართლო პალატას მიეწოდება მე-15 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად.

დანაყოფი III
პროტესტი და წინასწარი დადგენილება მე-17, მე-18 და მე-19 მუხლების თანახმად

წესი 51
მე-17 მუხლის თანახმად მოწოდებული ინფორმაცია

იმ საკითხების გადაწყვეტისას, რომლეზედაც საუბარია მე-17 მუხლის მე-2 პუნქტში, და საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლოს შეუძლია განიხილოს, inter alia, ინფორმაცია, რომელიც მე-17 მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნულმა სახელმწიფომ შეიძლება გადაწყვიტოს წარდუგინოს სასამართლოს და რომელიც აცნობებს სასამართლოს, რომ მისი სასამართლოები შეესაბამება მსგავსი ქმედებისათვის დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სისხლისსამართლებრივი დევნის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებსა და სტანდარტებს, ან რომ სახელმწიფომ წერილობით აცნობა პროკურორს იმის თაობაზე, რომ საქმე გამოძიების ან სისხილსსამართლებრივი დევნის ქვეშ იმყოფება.

წესი 52
მე-18 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შეტყობინება

1. მე-18 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვების გათვალისწინებით, შეტყობინება შეიცავს ინფორმაციას იმ ქმედებების შესახებ, რომლებიც სავარაუდოდ შედაგენს მე-5 მუხლში აღწერილ დანაშაულს, და მნიშვნელობა აქვს მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის მიზნებისათვის.

2. სახელმწიფოს შეუძლია პროკურორს სთხოვოს დამატებითი ინფორმაცია, მის მიერ მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის გამოყენებაში დახმარების გაწევის მიზნით. ამგვარი თხოვნა გავლენას არ ახდენს მე-18 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალსწინებულ ვადაზე ერთი თვის ოდენობით, და პროკურორი მას პასუხობს დაუყოვნებლივ.

წესი 53
მე-18 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალსიწინებული გადაცემა

როდესაც სახელმწიფო ითხოვს მე-18 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ გადაცემას, ეს სახელმწიფო ამგვარ თხოვნას წარადგენს წერილობით და მიაწოდებს მის გამოძიებასთან დაკავშირებულ ინფორმაციას, მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის გათვალისწინებით. პროკურორს შეუძლია ამ სახელმწიფოსაგან ითხოვოს დამატებითი ინფომრაციის მიწოდება.

წესი 54
პროკურორის მიმართვა მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად

1. პროკურორის მიერ წიანსწარი სასამართლო პალატისთვის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად მიწოდებული მიმართვა მიეწოდება წერილობით და შეიცავს მიმართვის საფუძვლებს. პროკურორი სახელმწიფოს მიერ 53-ე წესის თანახმად მიწოდებულ ინფორმაციას გადასცემს წინასწარი სასამართლო წარმოების პალატას.

2. პროკურორი წერილობით აცნობებს სახელმწიფოს მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად წინასწარი სასამართლო წარმოების პალატისადმი მიწოდებული მიმართვის შესახებ, და შეტყობინებაში მოკლედ მიუთითებს მიმართვის საფუძვლებს.

თარგმანი © გიორგი ჯოხაძე, 2003

წესი 55
განხილვა მე-18 მუხლის მე-2 პუნქტთან დაკავშირებით

1. წინასწარი სასამართლო წარმოების პალატა იღებს გადაწყვეტილებას გამოსაყენებელი პროცედურის შესახებ და შეუძლია მიიღოს შესაბამისი ზომები განხილვის სათანადო ჩატარებისათვის. მას შეუძლია ჩაატაროს საქმის მოსმენა.

2. წინასწარი სასამართლო წარმოების პალატა განიხილავს პროკურორის მიმართვას და ნებისმიერ წარდგინებას, რომელსაც მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად წარადგენს გადაცემის მომთხოვნი სახელმწიფო, და გამოძიების ჩატარების ნებართვის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას მხედველობაში იღებს მე-17 მუხლში მოყვანილ ფაქტორებს.

3. წისანწარი სასამართლო წარმოების პალატის გადაწყვეტილება და მისი საფუძვლები რაც შეიძლება მალე უნდა გადაეცეს პროკურორს და გამოძიების გადაცემის მომთხოვნ სახელმწიფოს.

წესი 56
პროკურორის მიმართვა მე-18 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად გადასინჯვის შემდეგ

1. პროკურორის მიერ მე-18 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად განხორციელებული გადასინჯვის შემდეგ, პროკურორს შეუძლია წინასწარი სასამართლო წარმოების პალატას მიაწოდოს მიმართვა მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად ნებართვის გაცემის შესახებ. მიმართვა წინასწარი სასამართლო წარმოების პალატას მიეწოდება წერილობით და შეიცავს მიმართვის საფუძვლებს.

2. პროკურორი წინასწარი სასამართლო წარმოების პალატას გადასცემს სახლემწიფოს მიერ მე-18 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად მოწოდებულ ნებისმიერ დამატებითი ინფორმაციას.

3. განხილვა ტარდება 54-ე წესის მე-2 ქვეწესის და 55-ე წესის თანახმად.

წესი 57
დამატებითი ზომები მე-18 მუხლის მე-6 პუნქტის მიხედვით

მიმართვა, რომლსაც პროკურორი წინასწარი სასამართლო წარმოების პალატას მიაწოდებს მე-18 მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებულ გარემოებებში, განიხილება ex parte და in camera. წინასწარი სასამართლო წარმოების პალატა გადაწყვეტილებას მიმართვის თაობაზე იღებს დაჩქარებული წესით.

წესი 58
განხილვა მე-19 მუხლის თანახმად

1. თხოვნა ან შუამდგომლობა მე-19 მუხლის თანახმად წარედგინება წერილობით და შეიცავს მის საფუძველს.

2. როდესაც პალატა მიიღებს თხოვნას ან შუამდგომლობას, რომელიც შეიცავს პროტესტს ან შეკითხვას მისი იურისდიქციის ან საქმის მისაღებობის თაობაზე მე-19 მუხლის მე-2 ან მე-3 პუნქტის შესაბამისად, ან მოქმედებს თავისი გადაწყვეტილების საფუძველზე, როგორც ეს მოყვანილია მე-19 მუხლის პირველ პუნქტში, პალატა იღებს გადაწყვეტილებას გამოსაყენებლი პროცედურის თაობაზე და შეუძლია მიიღოს შესაბამისი ზომები გახილვის სათანადო ჩატარებისათვის. მას შეუძლია ჩაატაროს მოსმენა. მას შეუძლია პროტესტი ან შეკითხვა ჩართოს დადასტურებასა ან სასამართლო განხილვაში, თუ ეს არ იწვევს გაუმართლებელ შეყოვნებას, და ამ შემთხვევაში ის პირველ რიგში იხილავს და გადაწყვეტილება გამოაქვს პროტესტის ან შეკითხვის მიმართ.

თარგმანი © გიორგი ჯოხაძე, 2003

3. სასამართლო მე-2 ქვეწესის თანახმად მიღებულ თხოვნას ან შუამდგომლობას გადასცემს პროკურორს და მე-19 მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნულ პირს, რომელიც სასამართლოს გადაეცა ან გამოცხადდა მის წინაშე ნებაყოფლობით ანდა გამოცხადების შესახებ ბრძანების საფუძველზე, და ნებას რთავს მას, წარადგინოს წერილობითი წარდგინებები თხოვნის ან შუამდგომლობის მიმართ პალატის მიერ დადგენილ ვადაში.

4. სასამართლოს, პირველ რიგში, გამოაქვს გადაწყვეტილება იურისდიქციასთან დაკავშირებული ნებისმიერი პროტესტის ან შეკითხვის თაობაზე, ხოლო შემდეგ – საქმის მისაღებობასთან დაკავშირებული ნებისმიერი პროტესტის ან შეკითხვის თაობაზე.

წესი 59
განხილვაში მონაწილეობა მე-19 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად

1. მე-19 მუხლის მე-3 პუნქტის მიზნებისათვის, მდივანი შეატყობინებს იურისდიქციის ან საქმის მისაღებობის მიმართ მე-19 მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტის საფუძველზე წარმოშობილი ნებისმიერი შეკითხვის ან პროტესტის შესახებ შემდეგ მხარეებს:

(a) მათ, ვინც გადასცეს სიტუაცია მე-13 მუხლის თანახმად;

(b) დაზარალებულ პირებს, რომლებიც უკვე დაუკავშირდნენ სასამართლოს ამ საქმის თაობაზე, ან მათ კანონიერ წარმომადგენლებს.

2. მდივანი პირველ ქვეწესში მოყვანილ პირებს გადასცემს იმ საფუძვლების რეზიუმეს, რომელთა საფუძველზე კითხვის ქვეშ დგება სასამართლოს იურისდიქცია ან საქმის მისაღებობა, იმგვარად, რომ ეს შეესაბამებოდეს სასამართლოს ვალდებულებებს ინფორმაციის კონფიდენციალურობასთან, ნებისმიერი პირის დაცვასა და მტკიცებულების შენახვასთან დაკავშირებით.

3. პირველი ქვეწესის თანახმად ინფორმაციის მიმღებ პირებს შეუძლიათ კომპეტენტურ პალატას წარუდგინონ წერილობითი წარდგინებები იმ ვადაში, რომელსაც ის მისაღებად ჩათვლის.

წესი 60
კომპეტენტური ორგანო პროტესტების მისაღებად

თუ პროტესტი სასამართლოს იურისდიქციის ან საქმის მისაღებობის მიმართ კეთდება ბრალდების დადასტურების შემდეგ, მაგრამ სასამართლო წარმოების პალატის შექმნამდე ან დანიშვნამდე, ის გადაეცემა პრეზიდიუმს, რომელიც მას განხილვისათვის გადასცემს სასამართლო წარმოების პალატას ამ უკანასკნელის შექნის ან დანიშვნისთანავე 130-ე წესის შესაბამისად.

წესი 61
დროებითი ზომები მე-19 მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად

როდესაც პროკურორი კომპეტენტურ პალატას მიმართავს შუამდგომლობით მე-19 მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებულ გარემოებებში, გამოიყენება 57-ე წესი.

წესი 62
განხილვა მე-19 მუხლის მე-10 პუნქტის თანახმად

1. თუ პროკურორი წარადგენს თხოვნას მე-19 მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად, ის თხოვნას წარუდგენს პალატას, რომელმაც გამოიტანა უკანასკნელი დადგენილება მისაღებობის შესახებ. გამოიყენება 58-ე, 59-ე და 61-ე წესების დებულებები.

2. სახელმწიფოს ან სახელმწიფოებს, რომელთა პროტესტმა საქმის მისაღებობის შესახებ მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად გამოიწვია საქმის მიუღებლობის შესახებ

თარგმანი © გიორგი ჯოხაძე, 2003

გადაწყვეტილების გამოტანა მე-19 მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად, ეცნობება პროკურორის შუამდგომლობის შესახებ და მიეცემა შესაბამისი ვადა, რომლის ფარგლებშიც მას შეუძლიათ წადგინებების გაკეთება.

თარგმანი © გიორგი ჯოხაძე, 2003

თავი 4
განხილვის სხვადასხვა სტადიებთან დაკავშირებული დებულებები

დანაყოფი I
მტკიცებულება

წესი 63
მტკიცებულებასთან დაკავშირებული ზოგადი დებულებები

1. ამ თავში მოყვენილი მტკიცების წესები, 69-ე მუხლთან ერთად, გამოიყენება ყველა პალატაში განხილვის დროს.

2. პალატა უფლებამოსილია, 64-ე მუხლში აღწერილი დისკრეციული უფლებამოსილების შესაბამისად, თავისუფლად შეაფასოს ყველა წარდგენილი მტიკიცებულება, მისი მართებულობის ან დასაშვებობის დასადგენად 69-ე მუხლის თანახმად.

3. პალატას გამოაქვს, ერთ-ერთი მხარის შეუმდგომლობით ან მისი საკუთარი ინიციატივით 64-ე მუხლის 9(a) ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილება დასაშვებობის თაობაზე, როდესაც ის ეფუძნება 69-ე მუხლს მე-7 პუნქტში მოყვანილ საფუძვლებს.

4. 66-ე მუხლის მე-3 პუნქტის დებულებებისათვის ზიანის მიყენების გარეშე, პალატა არ აყენებს იმის სამართლებრივ მოთხოვნას, რომ საჭიროა სასამართლოს იურისდიქციაში შემავალი რომელიმე დანაშაულის, კერძოდ, სქესობრივ ძალადობასთან დაკავშირებული დანაშაულის მტკიცებულების დადასტურება.

5. პალატები არ იყენებენ მტკიცების ეროვნულ კანონმდებლობას, 21-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა.

წესი 64
მტკიცებულების მართებულობასა ან დასაშვებობასთან დაკავშირებული პროცედურა

1. მართებულობასა ან დასაშვებობასთან დაკავშირებული საკითხი წამოყენებულ უნდა იქნეს მტკიცებულების პალატისადმი წარდგენის დროს. გამონაკლისის სახით, როდესაც ეს საკითხი არ იყო ცნობილი მტკიცებულების წარდგენის დროს, შეიძლება მისი წამოყენება დაუყოვნებლივ იმის შემდეგ, რაც მის შესახებ ცნობილი გახდა. პალატას შეუძლია მიოთხოვოს საკითხის წერილობით წამოყენება. სასამართლო წერილობით წარდგინებას გადასცემს განხილვაში მონაწილე ყველა მხარეებს, თუ ის სხვა გადაწყვეტილებას არ მიიღებს.

2. პალატა მიუთითებს მტკიცებულების საკითხებზე მიღებული ნებისმიერი დადგენილების მოტივებს. ეს მოტივები შეიტანება სასამართლო განხილვის ოქმში, თუ ისინი უკვე შეტანილ არ იქნა ოქმში განხილვის დროს 64-ე მუხლის მე-10 პუნქტისა და 137-ე წესის პირველი ქვეწესის შესაბამისად.

3. პალატა მხედველობაში არ მიიღებს არამართებულად ან დაუშვებლად ცნობილ მტკიცებულებას.

წესი 65
მოწმის იძულება ჩვენების მიცემისათვის

1. სასამართლოს შეუძლია აიძულოს მის წინაშე წარმდგარი მოწმე ჩვენების მიცემისათვის, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული წესდებითა და წესებით, კერძოდ, 73-ე, 74-ე და 75-ე წესებით.

2. 171-ე წესი გამოიყენება სასამართლოს წინაშე წარმდგარი იმ მოწმის მიმართ, რომელიც შეიძლება იძულებულ იქნეს ჩვენების მიცემისათვის პირველი ქვეწესის თანახმად.

წესი 66

თარგმანი © გიორგი ჯოხაძე, 2003

ფიცი

1. მე-2 ქვეწესში აღწერილი შემთხვევის გარდა, ყოველი მოწმე, 69-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, იღებს შემდეგ ფიცს:

"საზეიმოდ ვფიცავ, რომ ვიტყვი სიმართლეს, მხოლოდ სიმართლეს და არაფერს სიმართლის გარდა".

2. 18 წელს მიუღწეველ პირს ან პირს, რომლის რეალობის აღქმის უნარი დაქვეითებულ იქნა და რომელსაც, პალატის თვალსაზრისით, არ შეუძლია გაიგოს ფიცის შინაარსი, შეიძლება ნება დაერთოს, მისცეს ჩვენება ამგვარი ფიცის მიღების გარეშე, თუ პალატა თვლის, რომ პირს შეუძლია აღწეროს მისთვის ცნობილი მოვლენები და რომ ამ პირს ესმის სიმართლის თქმის მოვალეობის მნიშვნელობა.

3. ჩვენების მიცემამდე მოწმეს ეცნობება 70-ე მუხლის 1(a) პუნქტით განსაზღვრული დანაშაულის შესახებ.

წესი 67
ჩვენების მიცემის პირდაპირი გადაცემა აუდიო- და ვიდეოკავშირის ტექნოლოგიების გამოყენებით

1. 69-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, პალატას შეუძლია მოწმეს დართოს viva voice (ზეპირი) ჩვენების მიცემის ნება აუდიო- და ვიდეოტექნოლოგიების გამოყენებით, იმ პირობით, რომ ამგვარი ტექნოლოგია პროკურორს, დაცვას და თვით პალატას აძლევს მოწმეზე თვალყურის დევნებას შესაძლებლობას ამ უკანასკნელის მიერ ჩვენების მიცემის დროს.

2. მოწმეზე თვალყურის დევნება ამ წესის შესაბამისად ხორციელდება ამ თავის შესაბამისი წესების თანახმად.

3. პალატა, სამდივნოს დახმარებით, უზრუნველყოფს, რომ აუდიო- და ვიდეოკავშირის ტექნოლოგიების მეშვეობით ჩვენების მიცემისათვის შერჩეული ადგილი ხელს უწყობს ჭეშმარიტი და ღია ჩვენების მიცემას და მოწმის უსაფრთხოების, ფიზიკური და ფსიქიკური კეთილდღეობის, ღირსებისა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვას.

წესი 68
წინასწარ ჩაწერილი ჩვენება

თუ წინასწარი სასამართლო წარმოების პალატას არ მიუღია ზომები 56-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლო წარმოების პალატას შეუძლია, 69-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, დართოს აუდიო- და ვიდეოტექნოლოგიების მეშვეობით წინასწარ ჩაწერილი მოწმის ჩვენების ან ამგავრი ჩვენების ჩანაწერის ანდა სხვა დოკუმენტური მტკიცებულების წარდგენის ნება, შემდეგი პირობებით:

(a) თუ მოწმე, რომელმაც მისცა წინასწარ ჩაწერილი ჩვენება, არ იმყოფება სასამართლო წარმოების პალატის წინაშე, როგორც პროკურორს, ისე დაცვასაც ჰქონდათ მოწმეზე თვალყურის დევნების შესაძლებლობა ჩაწერის დროს;

(b) თუ მოწმე, რომელმაც მისცა წინასწარ ჩაწერილი ჩვენება, იმყოფება სასამართლო წარმოების პალატის წინაშე, ის არ ეწინააღმდეგება წინასწარ ჩაწერილი ჩვენების წარდგენას და პროკურორს, დაცვას და პალატას აქვთ მოწმეზე თვალყურის დევნების საშუალება განხილვის დროს.

წესი 69
შეთანხმებები მტკიცებულების მიმართ

პროკურორსა და დაცვას შეუძლიათ შეთანხმდნენ იმის შესახებ, რომ ბრალდებაში მოყვანილი სავარაუდო ფაქტი, დოკუმენტის შინაარსი, მოწმის მოსალოდნელი ჩვენება ან სხვა

თარგმანი © გიორგი ჯოხაძე, 2003

მტკიცებულება დავის საგანს არ წარმოადგენს და, შესაბამისად, პალატას შეუძლია ამგავრი სავარაუდო ფაქტი დამტკიცებულად ჩათვალოს, თუ პალატა არ თვლის, რომ, მართლმსაჯლების ინტერესებიდან, კერძოდ, დაზარალებულთა ინტერესებიდან გამომდინარე, საჭიროა სავარაუდო ფაქტების უფრო სრულად წარდგენა.

წესი 70
მტკიცების პრინციპები სქესობრივ ძალადობასთან დაკავშირებული საქმეებში

სქესობრივი ძალადობასთან დაკავშირებულ საქმეებში სასამართლო ხელმძღვანელობს და, შესაბამის შემთხვევაში, იყენებს შემდეგ პრინციპებს:

(a) თანხმობა არ შეიძლება წინასწარ ივარაუდებოდეს დაზარალებულის ნებისმიერი სიტყვის ან ქმედების საფუძველზე, როდესაც ძალის გამოყენება, ძალის გამოყენების მუქარა, იძულება ან მაიძულებელ გარემოებათა გამოყენებამ სეუძლებელი გახადეს დაზარალებულის მიერ ნებაყოფლობითი და ნამდვილი თანხმობის მიცემის შესაძლებლობა;

(b) თანხმობა არ შეიძლება ივარაუდებოდეს დაზარალებულის ნებისმიერი სიტყვის ან ქმედების საფუძველზე, როდესაც დაზარალებულს არ შეუძლია ნამდვილი თანხმობის მიცემა;

(c) თანხმობა არ შეიძლება ივარაუდებოდეს ეჭვმიტანილი სქესობრივი ძალადობის მსხვერპლის დუმილის ან წინააღმდეგობის გაუწევლობის საფუძველზე;

(d) დაზარალებულის ან მოწმის სანდოობა, ხასიათი ან სქესობრივი კავშირისადმი დამოკიდებულება არ შეიძლება ივარაუდებოდეს დაზარალებულის ან მოწმის წინამორბედი ან შემდგომი ქცევის სქესობრივი ხასიათის საფუძველზე.

წესი 71
სქესობრივი ხასიათის სხვა ქმედების მტკიცებულება

სასამართლოს იურისდიქციაში შემავალი დანაშაულის განსაზღვრებისა და ხასიათის მხედველობაში მიღებით, ასევე 69-ე მუხლის მე-4 პუნქტის გათვალისწინებით, პალატა არ დაუშვებს დაზარალებულის ან მოწმის წინამორბედ ან შემდგომ სქესობრივ ქცევასთან დაკავშირებულ მტკიცებულებას.

წესი 72
In camera პროცედურა მტკიცებულების მართებულობის ან დასაშვებობის განსაზღვრისათვის

1. როდესაც არსებობს, მათ შორის დაზარლებულის ან მოწმის დაკითხვის გზით, იმის მტკიცებულების წარდგენა ან მიღების მზადყოფნა, რომ დაზარალებულმა მისცა თანხმობა სქესობრივ ძალადობასთან დაკავშირებულ დანაშაულზე, ან რომ წარდეგინება 70-ე წესის (a)-(d) პრიციპებში ნახსენები სიტყვების, ქცევის, დუმილის ან დაზარალებულის მხრიდან წინააღმდეგობის გაუწევლობის მტკიცებულება, სასამართლოს წარედგინება შეტყობინება, რომელშიც აღიწერება სავარაუდოდ მისაღები ან წარსადგენი მტკიცებულების არსი და მტკიცებულების მართებულობა საქმესთან დაკავშირებული საკითხების მიმართ.

2. იმის გადაწყვეტისას, დასაშვებია თუ არა პირველ ქვეწესში აღნიშნული მტკიცებულება, პალატა in camera მოისმენს პროკურორის, დაცვის, მოწმის, დაზარალებული პირის ან მისი კანონიერი წარმომადგენლის, ამ უკანასკნელის არსებობისას, მოსაზრებებს და, 69-ე მუხლის მე-4 პუნქტის გათვალისწინებით, მხედველობაში იღებს იმას, გააჩნია თუ არა მტკიცებულებას საკმარისი მტკიცებულებითი ძალა საქმესთან დაკავშირებული საკითხების მიმართ, და იმ ზიანს, რომელიც შეიძლება გამოიწვიოს ამგვარმა მტკიცებულებამ. ამ მიზნით პალატა მხედველობაში იღებს 21-ე მუხლის მე-3 პუნქტს და 67-ე და 68-ე მუხლებს და ხელმძღვანელობს 70-ე წესის (a)-(d) პრინციპებით, განსაკუთრებით დაზარალებულის შემოთავაზებული დაკითხვის მიმართ.

თარგმანი © გიორგი ჯოხაძე, 2003

3. თუ პალატა დაადგენს, რომ მე-2 ქვეწესში ნახსენები მტკიცებულება დასაშვებია სასამართლო განხილვისათვის, ის ოქმში მიუთითებს მტკიცებულების დაშვების კონკრეტულ მიზანს. განხილვის დროს მტკიცებულების შეფასებისას, პალატა გამოიყენებს 70-ე წესის (a)-(d) პრინციპებს.

წესი 73
პრივილეგირებული შეტყობინებები და ინფორმაცია

1. 67-ე მუხლის 1(b) პუნქტისათვის ზიანის მიყენების გარეშე, პირსა და მის კანონიერ ადვოკატს შორის პროფესიონალური ურთიერთობის ფარგლებში მიწოდებული შეტყობინებები ითვლება პრივილიგირებულად და, შესაბამისად, არ ექვემბებარება გახმაურებას, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც:

(ა) პირი აძლევს წერილობით თანხმობას ასეთ გახმაურებაზე; ან

(ბ) პირი ნებაყოფლობით გაუხსნის შეტყობინების შინაარსს მესამე მხარეს, ხოლო მესამე მხარე შემდგომ წარადგენს ამგავრი გახსნის მტკიცებულებას.

2. 63-ე წესის მე-5 ქვეწესის გათვალისწინებით, პროფესიონალური ან სხვა კონფიდენციალური ურთიერთიობების კატეგოტიის კონტექსტში გაკეთებული შეტყობინებები ითვლება პრივილეგირებულად და, შესაბამისად, არ ექვემდებარება გახმაურებას იმავე პრიობებით, როგორც 1(a) და 1(b) ქვეწესებშია მითითებული, თუ პალატა ამ კატეგორიის მიმართ გადაწყვეტს, რომ:

(a) ურთიერთობის ამ კატეგორიაში მიწოდებული შეტყობინებები გაკეთებულია კონფიდენციალური ურთიერთობის ფარგლებში, რომლებიც იძლევა საიდუმლოების შენარჩუნებისა და გაუხსნელობის გონივრულ საფუძველს;

(b) კონფიდენციალურობა წარმოადგენს ამ პირსა და რწმუნებულ პირს შორის ურთიერთობათის შინაარსის და ხასიათის განმსაზღვრელ ელემენტს;

(c) პრივილეგიის აღიარება ხელს შეუწყობს წესდებისა და წესების მიზნების განხორციელებას.

3. მე-2 ქვეწესის თანახმად გადაწყვეტილების მიღებისას, სასამართლო განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს იმ შეტყობინების პრივილეგირებულად აღიარებას, რომელიც გაკეთებულია პირის მის ექიმთან, ფსიქიატრთან, ფსიქოლოგთან ან ადვოკატთან პროფესიონალური ურთიერთობის ფარგლებში, განსაკუთრებით კი იმ შეტყობინებების, რომლებიც ეხება ან გავლენა აქვს დაზარალებულ პირებზე, ან პირსა და სასულიერო პირს შორის გაკეთებულ შეტყობინებებს; ამ უკანასკნელ შემთხვევაში, სასამართლო პრივილეგირებულად ცნობს იმ შეტყობინებას, რომელიც გაკეთებულია სასულიერო აღსარების ფარგლებში, როდესაც ეს უკანასკნელი წარმოადგანს ამ რელიგიის აღსრულების განუყოფელ ნაწილს.

4. სასამართლო პრივილეგირებულად და, შესაბამისად, გახსნისათვის მიუღებლად აღიარებს, მათ შორის წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის (წჯსკ) ნებისმიერი მომუშავე ან ყოფილი თანამდებობის პირის ან თანამშრომლის მიერ ჩვენების მიცემის გზით მიღებულ ნებისმიერ ინფორმაციას, დოკუმენტს ან სხვა მტკიცებულებას, რომელიც მის განკარგულებაში აღმოჩნდა წჯსკ-ს მიერ წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საერთაშორისო მოძრაობის წესდებით გათვალისწინებული ფუნქციების შესრულების დროს ან წჯსკ-ს მიერ ამგვარი ფუნქციების შესრულების შედეგად, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც:

(a) მე-6 ქვეპწესის თანახმად ჩატარებული კონსულტაციების შემდეგ, წჯსკ წერილობით არ ეწინააღმდეგება ამგვარ გახსნას, ან სხვაგვარად ამბობს უარს ამ პრივილეგიაზე; ან

(b) ამგვარი ინფორმაცია, დოკუმენტები ან სხვა მტკიცებულება წარმოადგენს წჯსკ-ს საჯარო განცხადებებისა და დოკუმენტების ნაწილს.

5. არაფერი მე-4 ქვეწესში ხელს არ უშლის იმავე მტკიცებულების დასაშვებობას, რომელიც მიღებულია წჯსკ-ს და მის თანამდებობის პირებს გარდა სხვა წყაროდან, თუ ასეთი

თარგმანი © გიორგი ჯოხაძე, 2003

მტკიცებულება ასევე მიღებულია ამ წყაროს მიერ წჯსკ-სა და მისი თანამდებობის პირების ან თანამშრომლებისაგან დამოუკიდებლად.

6. თუ სასამართლო დაადგენს, რომ წჯსკ-ს ინფორმაციას, დოკუმენტებს ან სხვა მტკიცებულებას გადამწყვეტი მნიშვნელობა გააჩნია კონკრეტული საქმისათვის, სასამართლოსა და წჯსკ-ს შორის ტარდება კონსულტაციები, ამ საკითხის თანამშრომლობის საფუძველზე გადაწყვეტის მიზნით, საქმის გარემოებების, მოთხოვნილი მტკიცებულების მართებულობის, მტკიცებულების წჯსკ-ს გარდა სხვა წყაროდან მიღების შესაძლებლობის, მართლმსაჯულებისა და დაზარალებულთა ინტერესების, ასევე სასამართლოსა და წჯსკ-ს მიერ მათი ფუნქციების განხორციელების მხედველობაში მიღებით.

წესი 74
მოწმის მიერ თავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემა

1. იმ შემთხვევის გარდა, როდესაც მოწმეს მიეწოდება შეტყობინება 190-ე წესის შესაბამისად, პალატა აცნობებს მოწმეს ამ წესის დებულებებს მის მიერ ჩვენების მიცემამდე.

2. როდესაც სასამართლო დაადგენს, რომ კონკრეტულ მოწმეს უნდა მიეცეს გარანტიები თავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემასთან დაკავშირებით, ის მისცემს გარანტიებს, მე-3 ქვეწესის (c) პუნქტის თანახმად, მოწმის გამოცხადებამდე, უშუალოდ ან 93-ე მუხლის 1(e) პუნქტის მიხედვით წარდგენილი თხოვნის საფუძველზე.

3. (a) მოწმეს შეუძლია უარი თქვას ნებისმიერი განცხადების გაკეთებაზე, რომელიც მისთვის სავარაუდოდ გამამტყუნებელია;

(b) როდესაც მოწმე გამოცხადდება მე-2 ქვეწესის თანახმად გარანტიების მიღების შემდეგ, სასამართლოს შეუძლია მოწმეს მოსთხოვოს შეკითხვაზე ან შეკითხვებზე პასუხის გაცემა.

(c) სხვა მოწმეების სემთხვევაში, პალატას შეუძლია მოწმეს მოსთხოვოს, პასუხი გასცეს შეკითხვაზე ან შეკითხვებზე, მას შემდეგ რაც ის მოწმეს მისცემს იმის გარანტიებს, რომ შეკითხვებზე საპასუხოდ მიღებული მტკიცებულება:

i) კონფიდენციალურად შეინახება და არ გაეხსნება საზოგადოებას ან რომელიმე სახელმწიფოს; და

ii) არ იქნება გამოყენებული უშუალოდ ან არაპირდაპირი გზით ამ პირის წინააღმდეგ სასამართლოს მიერ განხორციელებულ შემდგომ სისხლისსამართლებრივ დევნაში, 70-ე და 71-ე მუხლებით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა.

4. ამგავრი გარანტიების მიცემამდე, პალატა მოითხოვს პროკურორის შეხედულებებს, ex parte, ამ კონკრეტული მოწმისათვის გარანტიების მიცემის მართებულობის დადგენის მიზნით.

5. იმის დადგენისას, მოეთხოვოს თუ არა მოწმეს პასუხის გაცემა, პალატა მხედველობაში იღებს:

(a) სავარაუდო მტკიცებულების მნიშვნელობას;

(b) წარადგენს თუ არა მოწმე უნიკალურ მტკიცებულებას;

(c) სავარაუდო გამამტყუნებელი ჩვენების ხასიათს, თუ ის ცნობილია; და

(d) მოწმის დაცვის საკმარისობას, კონკრეტულ გარემოებებში.

6. თუ პალატა დაადგენს, რომ მოწმისათვის გარანტიების მიცემა არ არის მართებული, ის მოწმეს არ მოსთხოვს შეკითხვაზე პასუხის გაცემას. თუ პალატა დაადგენს, რომ ის არ მოსთხოვს მოწმეს შეკითხვაზე პასუხის გაცემას, მას, ამისდა მიუხედავად, შეუძლია განაგრძოს მოწმის დაკითხვა სხვა საკითხებზე.

7. გარანტიების უზრუნველყოფის მიზნით, პალატა:

(a) გასცემს ბრძანებას მოწმის ჩვენების in camera მიღების თაობაზე;

(b) გასცემს ბრძანებას მოწმის ვინაობისა და მიცემული ჩვენების შინაარსის ნებისმიერი სახით გაუხსნელობის თაობაზე, და დაადგენს, რომ ნებისმიერი ამგავრი ბრძანების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობის დაკისრებას 71-ე მუხლის თანახმად;

(c) პროკურორს, ბრალდებულს, ადვოკატს, დაზარალებულის კანონიერ წარმომადგენელს და სასამართლოს დამსწრე ნებისმიერ თანამშრომელს საგანგებოდ შეატყობინებს (b) ქვეპუნქტის დარღვევის შედეგების შესახებ;

(d) გასცემს ბრძანებას სასამართლო განხილვის ნებისმიერი ოქმის დალუქვაზე; და

(e) გამოიყენებს დაცვით ზომებს სასამართლოს ნებისმიერი გადაწყვეტილების მიმართ, რათა უზრუნველყოს, რომ მოწმის ვინაობა და მიცემული ჩვენების შინაარსი არ გაიხსნება.

8. თუ პროკურორმა იცის, რომ რომელიმე მოწმის ჩვენების შედეგად შეიძლება წამოიშვას თავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემასთან დაკავშირებული საკითხები, ის მოითხოვს in camera განხილვის ჩატარებას და პალატას ამის შესახებ შეატყობინებს მოწმისაგან ჩვენების მიღებამდე. პალატას შეუძლია მიღოს მე-7 ქვეწესით გათვალისწინებული ზომები მოწმის სრული ჩვენების ან მისი ნაწილის მიმართ.

9. ბრალდებულს, ადვოკატს ან მოწმეს შეუძლია პროკუროს ან პალატას შეატყობინოს იმის თაობაზე, რომ მოწმის ჩვენებამ შეიძლება წარმოშვას თავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემასთან დაკავშირებული საკითხები, მოწმის მიერ ჩვენების მიცემამდე, და პალატას შეუძლია მიიღოს მე-7 ქვეწესით გათვალისწინებული ზომები.

10. თუ თავიის წინააღმდეგ ჩვენების მიცემის საკითხი წარმოიშობა სასამართლო განხილვის დროს, პალატა შეაჩერებს მოწმის ჩვენების მიღებას და მოწმეს აძლევს სამართლებრივი კონსულტაციის მიღების შესაძლებლობას, თუ ის ამას ითხოვს ამ წესის გამოყენების მიზნით.

წესი 75
გამამტყუნებელი ჩვენების მიცემა ოჯახის წევრების მიერ

1. პალატა არ მოსთხოვს სასამართლოს წინაშე წარმდგარ მოწმეს, რომელიც არის ბრალდებული პირის მეუღლე, შვილი ან მშობელი, ისეთი განცხადების გაკეთებას, რომელიც სავარაუდოდ ამტყუნებს ბრალდებულ პირს. თუმცა, მოწმეს შეუძლია საკუთარი ნებით არჩიოს ამგვარი განცხადების გაკეთება.

2. მოწმის ჩვენების შეფასებისას, პალატას შეუძლია გაითვალისწინოს ის ფაქტი, რომ პირველ ქვეწესში აღნიშნულმა მოწმემ უარი თქვა ისეთი შეკითხვისათვის პასუხის გაცემაზე, რომელიც მიზნად ისახავდა მოწმის მიერ გაკეთებული წინა განცხადებისადმი დაპირისპირებას, ან რომ მოწმემ გამოიჩინა არჩევითი მიდგომა იმის მიმართ, თუ რომელ შეკითხვაზე გაეცა პასუხი.

დანაყოფი II
ინფორმაციის გახსნა

წესი 76
ბრალდების მოწმეთა შესახებ ინფორმაცის გახსნა წინასწარი სასამართლო წარმოების დროს

1. პროკურორი დაცვის მხარეს გადასცემს იმ მოწმეთა სახელებს, რომლეთა გამოძახებასაც ის აპირებს ჩვენების მისაცემად, და ამ მოწმეთა მიერ გაკეთებული ნებისმიერი წინსაწარი განცხადების ასლებს. ეს კეთდება საკმარისად წინასწარ იმისათვის, რომ დაცვას მისცეს სათანადოდ მომზადების საშუალება.

2. პროკურორი შედგომში დაცვას შეატყობინებს ბრალდების ნებისიმიერი დამატებითი მოწმის სახელს და გადასცემს მათი განცხადებების ასლებს, ამ მოწმეთა გამოძახების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემგედ.

3. ბრალდების მოწმეთა განცხადებები წარედგინება დედანის ფორმით და იმ ენაზე, რომელსაც ბრალდებული სრულად გებულობს და საუბრობს.

4. ამ წესის მიმართ გამოიყენება დებულებები დაზარალებულთა და მოწმეთა დაცვისა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის, ასევე კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის შესახებ, როგორც ეს გათვალისწინებულია წესდებით და 81-ე და 82-ე წესებით.

წესი 77
პროკურორის განკარგულებაში ან მისი კონტროლის ქვეშ მყოფ მასალებთან გაცნობა

პროკურორი, წესდებითა და 81-ე და 82-ე წესებით გათვალისწინებული ინფორმაცის გახსნის შეზღუდვების გათვალისწინებით, ნებას რთავს დაცვას, გაეცნოს ნებისმიერ წიგნს, ფოტოსურათს და სხვა მატერიალურ საგანს, რომელიც პროკურორის განკარგულებაში ან მისი კონტროლის ქვეშ იმყოფება და წარმოადგენს არსებით მნიშვნელობას დაცვის მომაზდებისათვის ან რომლის გამოყენებასაც მტკიცებულების სახით პროკურორი აპირებს ბრალდების დადასტურების სხდომაზე ან სასამართლო განხილვაზე, შემთხვევის მიხედვით, ან რომელიც მიღებულია პირისაგან ან მას ეკუთვნოდა.

წესი 78
დაცვის განკარგულებაში ან კონტროლის ქვეშ მყოფ მასალებთან გაცნობა

დაცვა ნებას რთავს პორკურორს, გაეცნოს დაცვის განკარგულებაში ან კონტროლის ქვეშ მყოფ ნებისმიერ წიგნს, ფოტოსურათს ან სხვა მატერიალურ საგანს, რომლის მტკიცებულების სახით გამოყენებას დაცვა აპირებს ბრალდების დადასტურების სხდომაზე ან სასამართლო განხილვის დროს.

წესი 79
ინფორმაციის გახსნა დაცვის მიერ

1. დაცვა პროკურორს შეატყობინებს, რომ ის აპირებს:

(a) დაადგინოს ალიბის არსებობა; ამ შემთხვევაში შეტყობინება მიუთითებს იმ ადგილს ან ადგილებს, სადაც ბრალდებული იმყოფებოდა, მისი მტკიცებულებისამებრ, სავარაუდო დანაშაულის ჩადენის დროს, ასევე იმ მოწმეთა სახელებს და ნებისმიერ სხვა მტკიცებულებას, რომელსაც ბრალდებული აპირებს დაეყრდნოს ალიბის დამტკიცებისათვის; ან

(b) წარადგინოს 31-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სისლისსამართლებირივი პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოების არსებობის საფუძველი; ამ შემთხვევაში შეტყობინება უნდა მიუთითებდეს იმ მოწმეთა სახელებს და ნებისმიერ სხვა მტკიცებულებას, რომელსაც ბრალდებული აპირებს დაეყრდნოს ამ საფუძველის არსებობის დამტკიცებისათვის.

2. სხვა წესებით დადგენილი დროის ფარგლების სათანადო გათვალისწინებით, პირველი ქვეწესით გათვალისწინებული შეტყობინება უნდა გადაეცეს საკმარისად დროულად იმისათვის, რომ პროკურორს მიეცეს სათანადოდ მომზადებისა და პასუხის გაცემის საშუალება. პალატას, რომელიც ამ საკითხს იხილავს, შეუძლია პროკურორს მისცეს გადავადება დაცვის მიერ დასმული საკითხის განხილვისათვის.

3. ის ფაქტი, რომ დაცვამ არ წარადგინა შეტყობინება ამ წესის თანახმად, არ ზღუდავს მის უფლებას წამოაყენოს საკითხი, რომელზედაც საუბარია პირველ ქვეწესში, და წარადგინოს მტკიცებულება.

4. ეს წესი ხელს არ უშლის პალატის მიერ ნებისმიერი სხვა მტკიცებულების გახსნის შესახებ ბრძანების გაცემას.

წესი 80

31-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოების არსებობის საფუძვლის დადგენის პროცედურა

1. დაცვა შეატყობინებს წინასწარი სასამართლო წარომოების პალატას და პროკურორს იმის შესახებ, რომ ის აპირებს 31-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოების არსებობის დამდგენი საფუძვლის წარდგენას. ეს უნდა გაკეთდეს საკმარისად დროულად სასამართლო განხილვის დაწყებამდე იმისათვის, რომ პროკურორს მიეცეს სასამართლო განხილვისათვის სათანადოდ მომზადების საშუალება.

2. პირველი ქვეწესით გათვალისწინებული შეტყობინების გადაცემის შემდეგ, იმის შესახებ გადაწყვეტილებას მიღებამდე, შეუძლია თუ არა დაცვას წარადგინოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოების არსებობის დამდგენი საფუძველი, სასამართლო პალატა მოისმენს როგორც პროკურორს, ისე დაცვას.

3. თუ დაცვას დაერთვება ნება წარადგინოს საფუძველი, სასამართლო პალატას შეუძლია მისცეს პროკურორს გადავადება ამ საფუძველზე პასუხის გასაცემად.

წესი 81
შეზღუდვები ინფორმაციის გახსნის მიმართ

1. მხარის, მისი თანაშემწეების ან წარმომადგენლების მიერ მომზადებული, გამოძიებასთან ან საქმის მომზადებასთან დაკავშირებული მოხსენებები, მემორანდუმები ან სხვა შიდა დოკუმენტები გახნას არ ექვემდებარება.

2. თუ პროკურორის განკარგულებაში ან მისი კონტროლის ქვეშ იმყოფება მასალა ან ინფორმაცია, რომელიც წესდების თანახმად უნდა გაიხსნას, მაგრამ გახსნას შეუძლია ზიანი მიაყენოს მომავალ ან მიმდინარე გამოძიებას, პროკურორს შეუძლია მიმართოს საქმის განმხილველ პალატას იმის შესახებ დადგენილების მისაღებად, გაეხსნას თუ არა დაცვას ეს მასალები ან ინფორმაცია. ეს საკითხი პალატის მიერ განიხილება ex parte. ამასთანავე, პროკურორს არ შეუძლია ამგვარი მასალა ან ინფორმაცია მტკიცებულების სახით წარადგინოს ბრალდების დადასტურების სხდომაზე ან სასამართლო განხილვის დროს ბრალდებულისათვის სათანადო წინასწარი გახსნის გარეშე.

3. თუ მიიღება ინფორმაციის კონფიდენციალურობის უზრუნველმყოფელი ზომები 54-ე, 57-ე, 64-ე, 72-ე და 93-ე მუხლების თანახმად, და, 68-ე მუხლის თანახმად, მოწმეთა და დაზარალებულთა და მათი ოჯახის წევრების უსაფრთხოების დაცვის უზრუნველსაყოფად, ამგავრი ინფრომაცია არ გაიხსნება, იმ შემთხვევების გარდა, რომლებიც ამ მუხლებითაა გათვალისწინებული. როდესაც ამგავრი ინფორმაციის გახსნას შეუძლია საფრთხე შეუქმნას მოწმის უსაფრთხოებას, სასამართლო მიიღებს ზომებს მოწმის წინასწარი ინფრომირებისათვის.

4. პალატა, რომელიც ამ საკითხს იხილავს, საკუთარი ინიციატივით ან პროკურორის, ბრალდებულის ან ნებისმიერი სახელმწიფოს თხოვნით იღებს ყველა აუცილებელ ზომას, 54-ე, 72-ე და 93-ე მუხლების თანახმად ინფორმაციის კონფიდენციალურობის და, 68-ე მუხლის თანახმად, მოწმეთა და დაზარალებულთა, ასევე მათი ოჯახის წევრთა უსაფრთხოების დაცვის უზრუნველსაყოფად, მათ შორის სასამართლო განხილვის დაწყებამდე მათი ვინაობის გაუხსნელობის ნებართვით.

5. თუ პროკურორის განკარგულებაში ან კონტროლის ქვეშ იმყოფება მასალა ან ინფორმაცია, რომელიც არ გაიხსნება 68-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, ამგვარი მასალა და ინფრომაცია არ შეიძლება შემდგომში მტკიცებულების სახით წარდგენილ იქნეს სხდომაზე ბრალდების დადასტურების თაობაზე ან სასამართლო განხილვის დროს, ბრალდებულისადმი სათანადო წინასწარი გახსნის გარეშე.

6. თუ დაცვის განკარგულებაში ან კონტროლის ქვეშ იმყოფება ისეთი მასალა ან ინფორმაცია, რომელიც ექვემდებარება გახსნას, ის შეიძლება არ გაიხსნას იმავე პირობებში, რომლებიც პროკურორს აძლევენ საშუალებას გამოიყენოს 68-ე მუხლის მე-5 პუნქტი, და მათ ნაცვლად გადაეცემა მათი რეზიუმე. ამგვარი მასალა და ინფრომაცია არ შეიძლება შემდგომში

მტკიცებულების სახით წარდგენილ იქნეს სხდომაზე ბრალდების დადასტურების თაობაზე ან სასამართლო განხილვის დროს, პროკურორისადმი სათანადო წინასწარი გახსნის გარეშე.

წესი 82
შეზღუდვები 54-ე მუხლის მე-3(e) პუნქტის თანახმად დაცული მასალისა და ინფორმაციის გახსნაზე

1. თუ პროკურორის განკარგულებაში ან კონტროლის ქვეშ იმყოფება ისეთი მასალა ან ინფორმაცია, რომელიც დაცულია 54-ე მუხლის მე-3(e) პუნქტის თანახმად, პროკურორს არ შეუძლია შემდგომში გამოიყენოს ამგავრი მასალა ან ინფორმაცია მტკიცებულების სახით, მასალის ან ინფორმაციის მომწოდებლის წინასწარი თანხმობის და ბრალდებულისადმი სათანადო წინასწარი გახსნის გარეშე.

2. თუ პროკურორი წარადგენს 54-ე მუხლის მე-3(e) პუნქტის თანახმად დაცულ მასალას ან ინფორმაციას მტკიცებულების სახით, პალტას არ შეუძლია მოითხოვოს თავდაპირველი მასალის ან ინფორმაციის მიმწოდებლისაგან მიღებული დამატებითი მტკიცებულებების წარდგენა; პალატას ასევე არ შეუძლია ამგვარი დამატებითი მტკიცებულების მიღების მიზნით გამოიძახოს მიმწოდებელი ან მიმწოდებლის წარმომადგენელი მოწმის სახით ან გასცეს ბრძანება მათი დასწრების შესახებ.

3. თუ პროკურორი გამოიძახებს მოწმეს 54-ე მუხლის მე-3(e) პუნქტის თანახმად დაცული მასალის ან ინფორმაციის მტკიცებულების სახით წარდგენისათვის, პალატას არ შეუძლია მოწმე აიძულოს, გასცეს პასუხი ამ მასალასთან ან ინფორმაციასთან ან მის წყაროსთან დაკავშირებულ ნებისმიერ შეკითხვაზე, თუ მოწმე უარს ამბობს პასუხის გაცემაზე კონფიდენციალურობის მიზეზებით.

4. ბრალდებულის უფლება, შეედაოს 54-ე მუხლის მე-3(ე) პუნტის თანახმად დაცულ მტკიცებულებას, ხელუხლებელი რჩება, მე-2 და მე-3 ქვეწესებში მოყვანილი შეზღუდვების გამოკლებით.

5. პალატას, რომელიც იხილავს ამ საკითხის, შეუძლია, დაცვის შუამდგომლობის საფუძველზე, გასცეს ბრძანება, რომ, მართლმასჯულების ინტერსებისათვის, ბრალდებულის განკარგულებაში არსებულ მასალაზე ან ინფორმაციაზე, რომელიც ბრალდებულს გადაეცა იმავე პირობებში, რომლებიც გათვალისწინებულია 54-ე მუხლის მე-3(e) პუნტით, და რომელიც უნდა წარედგინოს მტკიცებულების სახით, ვრცელდება mutatis mutandis პირველი, მე-2 და მე-3 ქვეწესების მოქმედება.

წესი 83
დადგენილება უდანაშაულობის დამამტკიცებელი მტკიცებულების თაობაზე 67-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად

პროკურორს შეუძლია ითხოვოს იმდენად სწრაფად, რამდენადაც ეს შესაძლებელია, ex parte საფუძველზე მოსმენა იმ პალატაში, რომელიც ამ საკითხს განიხილავს, 67-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად დადგენილების გამოტანის მიზნით.

წესი 84
ინფორმაციის გახსნა და დამატებითი მტკიცებულება სასამართლო განხილვისათვის

იმისათვის, რომ მხარეებს მიეცეთ სასამართლო განხილვისათვის მომზადების საშუალება და განხილვის სამართლიანი და სწრაფი ჩატრებისათვის, სასამართლო პალატა, 64-ე მუხლის მე-3(c) და მე-6(d) და 67-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ასევე 68-ე მუხლის მე-5 პუნქტის დაცვის პირობით, გასცემს ნებისმიერ აუცილებელი ბრძანებას მანამდე გაუხსნელი დოკუმენტების ან ინფორმაციის გახსნაზე და დამატებითი მტკიცებულების წარდგენის თაობაზე. დაყოვნების თავიდან ასაცილებლად და დადგენილ თარიღში სასამართლო

განხილვის დაწყების უზრუნველსაყოფად, ნებისმიერ ამგვარ ბრძანებაში უნდა განისაზღვროს მკაცრი ვადები, რომელთა შესრულებას თვალყურს ადევნებს სასამართლო პალატა.

დანაყოფი III
დაზარალებული პირები და მოწმეები

ქვედანაყოფი 1
დაზარალებულის განსაზღვრება და მასთან დაკავშირებული ზოგადი პრონციპი

წესი 85
დაზარალებულის განსაზღვრება

წესდებისა და პროცედურისა და მტკიცების წესების მიზნებისათვის:

(a) "დაზარალებული" ნიშნავს ფიზიკურ პირს, რომელსაც მიადგა ზიანი სასამართლოს იურისდიქციაში შემავალი რომელიმე დამაშაულის ჩადენის შედეგად;

(b) დაზარალებულს შეიძლება მიეკუთვნებოდეს ორგანიზაცია ან დაწესებულება, რომელთა რელიგიურ, საგანმანათლებლო, ხელოვნების ან სამეცნირო ანდა საქველმოქმედო მოზნებისათვის განკუთვნილ საკუთრებას, ასევე მათ ისტორიულ ძეგლებს, საავადმყოფოებს და ჰუმანიტარული დანიშნულების სხვა ადგილებსა და ობიექტებს მიადგა უშუალო ზიანი.

წესი 86
ზოგადი პრინციპი

პალატა, ნებისმიერი მითითების ან ბრძანების გაცემისას, და სასამრთლოს სხვა ორგანოები, წესდებისა და წესების შესაბამისად თავისი ფუნქციების შესრულებისას, მხდველობაში იღებენ ყველა დაზარალებულისა და მოწმის, კერძოდ, ბავშვების, ასაკოვანი პირების, ინვალიდებისა და სქესობრივი ან გენდერული ძალადობის მსხვერპლთა მოთხოვნილებებს 68-ე მუხლის თანახმად.

ქვედანაწოფი 2
დაზარალებულთა და მოწმეთა დაცვა

წესი 87
დაცვის ზომები

1. პალატას, პროკურორის ან დაცვის შუამდგომლობით, ან მოწმის ანდა დაზარალებულის ან მისი კანონიერი წარმომადგენლის თხოვნით, ამ უკანასკნელის არსებობის შემთხვევაში, ან საკუთარი ინიციატივით და, საჭიროებისამებრ, დაზარალებულთა და მოწმეთა დახმარების ჯგუფთან კონსულტაციის შემდეგ, შეუძლია გასცეს ბრძანება 68-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად დაზარალებულის, მოწმის ან სხვა პირის, რომელიც საფრთხის ქვეშ დგება მოწმის მიერ მიცემული ჩვენების გამო, დაცვის ზომების მიღების შესახებ. პალატა, როდესაც ეს შესაძლებელია, დაცვის ზომების მიღებამდე მოიპოვებს იმ პირის თანხმობას, რომლის მიმართაც სავარაუდოდ განხორციელდება დაცვის ზომა.

2. პირველი ქვეწესით გათვალისწინებული შუამდგომლობა ან თხოვნა რეგულირდება 134-ე წესით, იმ პირობით, რომ:

(a) ამგვარი შუამდგომლობა ან თხოვნა არ უნდა წარედგინოს ex parte;

(b) მოწმის ან დაზარალებულის ან მისი კანონიერი წარმომადგენლის, თუ ეს უკანასკნელი არსებობს, თხოვნა გადაეცემა როგორც პროკურორს, ისე დაცვასაც, და ყოველივე მათგანს ექნება პასუხის გაცემის შესაძლებლობა;

თარგმანი © გიორგი ჯოხაძე, 2003

(c) კონკრეტულ მოწმესთან ან კონკრეტულ დაზარალებულთან დაკავშირებული შუამდგომლობა ან თხოვნა გადაეცემა ამ მოწმეს ან დაზარალებულს ან მის კანონიერ წარმომადგენელს, თუ ეს უკანასკნელი არსებობს, ასევე მეორე მხარეს, და ყოველივე მათგანს ექნება პასუხის გაცემის შესაძლებლობა;

(d) როდესაც პალატა მოქმედებს საკუთარი ინიციატივით, შეტყობინება და პასუხის გაცემის შესაძლებლობა მიეცემა პროკურორსა და დაცვის მხარეს, ასევე ნებისმიერ მოწმეს ან დაზარალებულს ან მის კანონიერ წარმომადგენელს, თუ ეს უაკანსკნელი არსებობს, რომლესაც შეიძლება შეეხოს დაცვის ამგავრი ზომა; და

(e) შუამდგომლობა ან თხოვნა შეიძლება მიწოდებულ იქნეს დალუქული სახით და, თუ ის ამგვარი სახით მიეწოდება, რჩება დალუქული მანამ, სანამ პალატა არ გასცემს სხვა ბრძანებას. პასუხი დალუქული სახით მოწოდებულ შეუმდგომლობაზე ან თხოვნაზე ასევე დალუქული სახით მიეწოდება.

3. პალატას შეუძლია, პირველი ქვეწესის შესაბამისად გაკეთებული შუამდგომლობით ან თხოვნით, გამართოს სხდომა, რომელიც ჩატარდება in camera, იმის თაობაზე, გასცეს თუ არა ბრძანება საზოგადოებისათვის ან პრესისა და საინფორმაციო სააგენტოებისადმი დაზარალებულის, მოწმის ან სხვა პირის, რომელიც საფრთხის ქვეშ დგება მოწმის მიერ მიცემული ჩვენების გამო, ვინაობის ან ადგილსამყოფელის გახსნის თავიდან ასაცილებლად ზომების მიღების თაობაზე, inter alia:

(a) რომ დაზარალებულის, მოწმის ან იმ პირის, რომელიც საფრთხის ქვეშ დგება მოწმის მიერ მიცემული ჩვენების გამო, სახელი ან სხვა ინფორმაცია, რომელმაც შეიძლება ხელი შეუწყოს მისი ვინაობის დასადგენად, ამოღებულ იქნეს პალატის საჯარო ჩანაწერებიდან;

(b) რომ პროკურორს, დაცვას ან სასამართლო განხილვის სხვა მონაწილეს ეკრძალება ამგვარი ინფორმაციის გახსნა მესამე მხარისათვის;

(c) რომ ჩვენება მიეცემა ელექტრონული ან სხვა სპეციალური საშუალებით, მათ შორის იმ ტექნიკური საშუალებების გამოყენებით, რომელიც იძლევა გამოსახულების ან ხმის შეცვლის შესაძლებლობას, აუდიო-ვიზუალური ტექნიკის გამოყენებით, კერძოდ, ვიდეოკონფერენციებისა და დახურული გადაცემების სახით, და ხმის საშუალებების განსაკუთრებული გამოყენებით;

(d) რომ დაზარალებულის, მოწმის ან სხვა პირის მიმართ, რომელიც საფრთხის ქვეშ დგება მოწმის მიერ მიცემული ჩვენების გამო, გამოიყენება ფსევდონიმი; ან

(e) რომ პალატა თავისი სხდომების ნაწილს ჩაატარებს in camera.

წესი 88
სპეციალური ზომები

1. პროკურორის ან დაცვის შუამდგომლობით ან მოწმის ან დაზარალებულის ანდა მისი კანონიერი წარმომადგენლის, თუ ეს უკანასკნელი არსებობს, თხოვნით, ან საკუთარი ინიციატივით და საჭიროებისამებრ დაზარალებულთა და მოწმეთა დახმარების ჯგუფთან კონსულტაციის შემდეგ, პალატას შეუძლია, დაზარალებულის ან მოწმის მოსაზრებათა მხედველობაში მიღებით, გასცეს ბრძანება სპეციალური ზომების მიღების თაობაზე, მათ შორის (მაგრამ ამით არ შემოიფარგლება), ტრავმირებული დაზარალებულის ან მოწმის, ბავშვის, ასაკოვანი პირის ან სქესობრივი ძალადობის მსხვერპლის მიერ ჩვენების მიცემის ხელშემწყობი ზომების მიღება 68-ე მუხლის პირველი ან მე-2 პუნქტის შესაბამისად. პალატა, სპეციალური ზომის გამოყენების შესახებ ბრძანების გაცემამდე, მიიღებს იმ პირის თანხმობას, რომლის მიმართაც სავარაუდოა ამგვარი ზომის მიღება.

2. პალატას შეუძლია გამართოს სხდომა პირველი ქვეწესის თანახმად მიწოდებული შუამდგომლობის ან თხოვნის საფუძველზე, საჭიროებისამებრ in camera ან ex parte, იმის დასადგენად, გასცეს თუ არა ბრძანება ამგავრი სპეციალური ზომის მიღების თაობაზე, მათ შორის (მაგრამ ამით შეიძლება არ შემოიფარგლოს), ბრძანება იმის თაობაზე, რომ ადვოკატს,

კანონიერ წარმომადგენელს, ფსიქოლოგს ან ოჯახის წევრს ნება ერთვება, დაესწორს დაზარალებულის ან მოწმის მიერ ჩვენების მიცემას.

3. ამ წესის თანახმად მოწოდებულ inter partes შუამდგომლობების ან თხოვნების მიმართ 87-ე წესის 2(b)-(d) ქვეწესების დებულებები გამოიყენება mutatis mutandis.

4. ამ წესით გათვალისწინებული შუამდგომლობა ან თხოვნა შეიძლება მიწოდებულ იქნეს დალუქული სახით, და, თუ ის ამ სახითაა მიწოდებული, დალუქული დარჩება მანამ, სანამ პალატა სხვა ბრძანებას არ გასცემს. პასუხები დალუქული სახით მოწოდებულ inter partes შუამდგომლობებზე ან მოთხოვნებზე ასევე დალუქული სახით წარედგინება.

5. იმის გათვალისწინებით, რომ მოწმის ან დაზარალებულის პირად ცხოვრებაში ჩარევამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას მის უსაფროთხოებას, პალატა განსაკუთრებულ თვალყურს ადევნებს მოწმის ან დაზარალებულის დაკითხვის ხერხებს, რათა თავიდან იქნეს აცილებული ნებისმიერი შეურაცხყოფა ან დაშინება, და განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს სქესობრივი ძალადობის მსხვერპლთადმი მოპყრობას.

ქვედანაყოფი 3
დაზარალებულთა მონაწილეობა სასამართლო განხილვაში

წესი 89
განცხადება დაზარალებულის სასამართლო განხილვაში მონაწილეობის შესახებ

1. თავიანთი თვალსაზრისებისა და შენიშვნების წარდგენის მიზნით, დაზარალებული პირები წერილობითი განცხადებით მიმართავენ მდივანს, რომელიც განცხადებას გადასცემს შესაბამის პალატას. წესდების დებულებების, კერძოდ, 68-ე მუხლის პირველი პუნქტის გათვალისწინებით, მდივანი განცახდების ასლს გადასცემს პროკურორს და დაცვას, რომლებიც უფლებამოსილნი არიან პასუხი გასცენ პალატის მიერ დადგენილი ვადის ფარგლებში. ამის შემდეგ პალატა, მე-2 ქვეწესის დებულებების გათვალისწინებით, განსაზღვრავს სასამართლო განხილვის და მონაწილეობის სათანადო ფორმას, რომელიც შეიძლება მოიცავდეს შესავალ და დამასრულებელ განცხადებებს.

2. პალატას, საკუთარი ინიციატივით ან პროკურორის ან დაცვის განცხადებით, შეუძლია უარყოს განცხადება, თუ ის თვლის, რომ პირი არ არის დაზარალებული ან რომ 68-ე მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი კრიტერიუმები არ არის დაცული. დაზარალებულს, რომლის განცხადება უარყოფილ იქნა, შეუძლია მოგვიანებით სასამართლო განხილვის პროცესში წარადგინოს ახალი განცხადება.

3. ამ წესით გათვალისწინებული განცხადება შეიძლება ასევე გაკეთდეს დაზარალებულის თანხმობით ან დაზარალებულის სახელით მოქმედი პირის მიერ იმ შემთხვევაში, თუ დაზარალებული ბავშვია ან, როდესაც ეს აუცილებელია, თუ დაზარალებული ინვალიდია.

4. რამოდენიმე განცხადების მიღების შემთხვევაში, პალატას შეუძლია განიხილოს განცხადებები იმგავარდ, რომ უზრუნველყოს სასამართლო განხილვის ეფექტურობა, და შეუძლია მიიღოს ერთი გადაწყვეტილება.

წესი 90
დაზარალებულთა კანონიერი წარმომადგენელი

1. დაზარალებულს შეუძლია თავისუფლად აირჩიოს კანონიერი წარმომადგენელი.

2. რამოდენიმე დაზარალებულის შემთხვევაში, პალატას შეუძლია, განხილვის ეფექტურობის უზრუნველყოფის მიზნით, დაზარალებულს ან დაზარალებულთა ჯგუფს მოსთხოვოს, საჭიროების შემთხვევაში სამდივნოს დახმარებით, აირჩიოს საერთო კანონიერი წარმომადგენელი ან წარმომადგენლები. დაზარალებულთა წარმომადგენლობის კოორდინირების ხელშეწყობისათვის, მდივანს შეუძლია გაუწიოს დახმარება, inter alia, დაზარალებულთათვის სამდივნოს მიერ წარმოებული ადვოკატთა სიის წარდგენით ან ერთი ან რამოდენიმე საერთო წარმომადგენლის შემოთავაზების სახით.

თარგმანი © გიორგი ჯოხაძე, 2003

3. თუ დაზარალებულ პირებს არ შეუძლიათ აირჩიონ საერთო კანონიერი წარმომადგენელი ან წარმომადგენლები იმ ვადაში, რომელიც შეიძლება დადგინდეს პალატის მიერ, პალატას შეუძლია მოსთხოვოს მდივანს, აირჩიოს ერთი ან მეტი საერთო კანონიერი წარმომადგენელი.

4. პალატა და სამდივნო იღებს ყველა გონივრულ ზომას იმის უზრუნველსაყოფად, რომ საერთო კანონიერი წარმომადგენლების არჩევის დროს წარმოდგენილ იყოს ცალკეულ დაზარალებულთა ინტერესები, კერძოდ, როგორც ეს გათვალისწინებულია 68-ე მუხლის პირველი პუნქტით, და რომ თავიდანაა აცილებული ყოველგვარი ინტერესთა კონფლიქტი.

5. დაზარალებულს ან დაზარალებულთა ჯგუფს, რომელთაც არ გააჩნიათ სასამართლოს მიერ არჩეული კანონიერი წარმომადგენლის სამსახურის ანაზღაურების საკმარისი საშუალებები, შეუძლიათ მიიღონ დახმარება სამდივნოსაგან, მათ შორის ფინანსური დახმარება.

6. დაზარალებულის ან დაზარალებულთა კანონიერ წარმომადგენელს უნდა გააჩნდეს 22-ე წესის პირველი ქვეწესით გათვალისწინებული კვალიფიკაციები.

წესი 91
კანონიერ წარმომადგენელთა მონაწილეობა სასამართლო განხილვაში

1. პალატას შეუძლია შეცვალოს წინა დადგენილება 89-ე წესის თანახმად.

2. დაზარალებულის კანონიერი წარმომადგენელი უფლებამოსილი იქნება დაესწროს და მონაწილეობა მიიღოს სასამართლო განხილვაში პალატის დადგენილებით დადგენილი პირობების და დადგენილებაში 89-ე და 90-ე წესების თანახმად შეტანილი ნებისმიერი ცვლილებების შესაბამისად. ეს ითვალისწინებს განხილვაში მონაწილეობას, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც შესაბამისი პალატა, საქმის გარემოებათა გათვალისწინებით, თვლის, რომ წარმომადგენლის მონაწილეობა უნდა შეიზღუდოს წერილობითი შენიშვნების ან წარდგინებების მოწოდებით. პროკურორს და დაცვას ეძლევათ საშუალება, უპასუხონ დაზარალებულთა კანონიერი წარმომადგენლის ნებისმიერ ზეპირ ან წერილობით შენიშვნას.

3. (a) როდესაც კანონიერი წარმომადგენელი ესწრება და მონაწილეობას იღებს სასამართლო განხილვაში ამ წესის შესაბამისად და სურს მოწმის დაკითხვის ჩატარება, 67-ე და 68-ე წესების თანახმად ექპერტის ან ბრალდებულის დაკითხვის ჩათვლით, კანონიერი წარმომადგენელი შეუამდგომლობით მიმართავს პალატას. პალატას შეუძლია კანონიერ წარმომადგენელს მოსთხოვოს წარადგინოს შეკითხვების წერილობითი ჩანაწერი, და ამ შემთხვევაში შეკითხვები გადაეცემა პროკურორს და, შესაბამის შემთხვევაში, დაცვას, რომელთაც ეძლევათ წერილობითი შენიშვნების წარდგენის შესაძლებლობა პალატის მიერ დადგენილ ვადაში.

(b) ამის შემდეგ, პალატას გამოაქვს დადგენილება შუამდგომლობის საფუძველზე, სასამართლო განხილვის სტადიის, ბრალდებულის უფლებების, მოწმეთა ინტერესების, სამართლიანი, მიუკერძოებელი და დროული სასამართლო გახილვის ჩატრების აუცილებლობის გთვალისწინებით და 68-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესრულების მიზნით. დადგენილება შეიძლება შეიცავდეს მითითებას შეკითხვების ხასიათსა და თანმიმდევრობაზე და 64-ე მუხლის მიხედვით პალატის უფლებამოსილების შესაბამისად დოკუმენტების წარდგენაზე. პალატს შეუძლია, თუ ის ამას მართებულად ჩათვლის, დაუსვას შეკითხვა მოწმეს, ექსპერტს ან ბრალდებულს დაზარალებულის კანონიერი წარმომადგენლის სახელით.

4. 75-ე მუხლის თანახმად მხოლოდ ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებული სხდომის მიმართ არ გამოიყენება მე-2 ქვეწესით კანონიერი წარმომადგენლის მიერ დაკითხვაზე დაწესებული შეზღუდვები. ამ შემთხვევაში, კანონიერ წარმომადგენელს, შესაბამისი პალატის ნებართვით, შეუძლია ჩაატაროს მოწმის, ექსპერტის ან შესაბამისი პირის დაკითხვა.

წესი 92
შეტყობინება დაზარალებულისა და მისი კანონიერი წარმომადგენელისადმი

1. ეს წესი დაზარალებულისა და მისი კანონიერი წარმომადგენლისადმი შეტყობინების შესახებ გამოიყენება სასამართლოს წინაშე ნებისმიერი სასამართლო განხილვის მიმართ, მე-2 ნაწილით გათვალისწინებული განხილვის გამოკლებით.

2. დაზარალებულთა მიერ სასამართლო განხილვაში მონაწილეობის შესახებ 89-ე წესის შესაბამისად განცხადების მიწოდების ნების დართვის მიზნით, სასამართლო დაზარალებულს შეატყობინებს პროკურორის გადაწყვეტილებას გამოძიების ან სისხლისსამართლებრივი დევნის დაუწყებლობის თაობაზე 53-ე მუხლის თანახმად. ამგვარი შეტყობინება გადაეცემა დაზარალებულს ან მის კანონიერ წარმომადგენელს, რომელმაც უკვე მიიღო მონაწილეობა სასამართლო განხილვაში, ან, რამდენადაც ეს შესაძლებელია, იმ პირებს, რომლებმაც სასამართლოს მიმართეს განხილვის ქვეშ მყოფი სიტუაციის ან საქმის თაობაზე. პალატას შეუძლია გასცეს ბრძანება მე-8 ქვეწესში მოყვანილი ზომების მიღების თაობაზე, თუ ის ამას მართებულად მიიჩნევს მოცემულ გარემოებებში.

3. დაზარალებულთა მიერ სასამართლო განხილვაში მონაწილეობის შესახებ 89-ე წესის შესაბამისად განცხადების მიწოდების ნების დართვის მიზნით, სასამართლო დაზარალებულს შეატყობინებს თავის გადაწყვეტილებას, გამართოს სხდომა ბრალდების დადასტურების თაობაზე 61-ე მუხლის შესაბამისად. ამგვარი შეტყობინება გადაეცემა დაზარალებულს ან მის კანონიერ წარმომადგენელს, რომელმაც უკვე მიიღო მონაწილეობა სასამართლო განხილვაში, ან, რამდენადაც ეს შესაძლებელია, იმ პირებს, რომლებმაც სასამართლოს მიმართეს განხილვის ქვეშ მყოფი საქმის თაობაზე.

4. მას შემდეგ, რაც გაკეთებულია მე-2 და მე-3 ქვეწესებით გათვალისწინებული შეტყობინება მონაწილეობის თაობაზე, ნებისმიერი შემდგომი შეტყობინება, რომელიც ნახსენებია მე-5 და მე-6 ქვეწესებში, გადაეცემა მხოლოდ დაზარალებულს ან მის კანონიერ წარმომადგენელს, რომელსაც შეუძლია მიიღოს მონაწილეობა სასამართლო განხილვაში პალატის მიერ 89-ე წესის თანახმად მიღებული დადგენილების და მასში შეტანილი ნებიმიერი ცვლილების შესაბამისად.

5. მდივანი, 89-ე, 90-ე და 91-ე წესების თანახმად გამოტანილი დადგენილების შესაბამისი წესით, დაზარალებულს ან მისი კანონიერ წარმომადგენელს, რომელიც მოანწილეობს სასამართლო განხილვაში, ამ განხილვასთან დაკავშირებით დროულად შეატყობინებს:

(a) სასამართლოში განხილვის თაობაზე, მათ შორის საქმის მოსმენის თარიღის და მისი გადატანის, ასევე გადაწყვეტილების გამოტანის თარიღის შესახებ;

(b) თხოვნების, წარდგინებების, შუამდგომლობების, ასევე ამგვარ თხოვნებთან, წარდგინებებთან, შუამგომლობებთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტების შესახებ.

6. იმ შემთხვევაში, როდესაც დაზარალებული ან მისი კანონიერი წარმომადგენელი მონაწილეობდა სასამართლო განხილვის გარკვეულ სტადიაზე, მდივანი მათ შესაძლებელ უმოკლეს ვადაში შეატყობინებს სასამართლოს მიერ ამ განხილვაში მიღებული გადაწყვეტილების შესახებ.

7. მე-5 და მე-6 ქვეწესებში ნახსენები შეტყობინებები გადაეცემა წერილობით ან, როდესაც წერილობითი შეტყობინება შეუძლებელია, რომელიმე სხვა შესაბამისი ფორმით. მდივანი აწარმოებს ყველა შეტყობინების რეესტრს. საჭიროებისამებრ, მდივანს შეუძლია თანამშრომლობისათვის მიმართოს მონაწილე სახელმწიფოებს 93-ე მუხლის პირველი პუნქტის (d) და (l) ქვეპუნქტების შესაბამისად.

8. მე-3 ქვეწესში ნახსენები შეტყობინების შემთხვევაში და სხვა შემთხვევაში – პალატის მოთხოვნით, მდივანი მიიღებს სასამართლო განხილვის სათანადო საჯაროობის უზრუნველყოფის აუცილებელ ზომებს. ამასთან, მდივანს შეუძლია, მე-9 ნაწილის შესაბამისად, თანამშრომლობისათვის მიმართოს შესაბამის მონაწილე სახელმწიფოებს და ითხოვოს სამთავრობათშორისო ორგანიზაციების დახმარება.

წესი 93
დაზარალებულის ან მისი კანონიერი წარმომადგენლის მოსაზრებები

თარგმანი © გიორგი ჯოხაძე, 2003

პალატას შეუძლია გამოიკითხოს დაზარალებულის ან 89-ე, 90-ე და 91-ე წესების შესაბამისად განხილვაში მონაწილე მისი კანონიერი წარმომადგენლის მოსაზრება ნებისმიერ საკითხზე, inter alia, 107-ე, 109-ე, 125-ე, 128-ე, 136-ე, 139-ე და 191-ე წესებში აღნიშნული საკითხების თაობაზე. ამასთან ერთად, პალატას შეუძლია გამოიკითხოს, შესაბამის შემთხვევაში, სხვა დაზარალებულთა მოსაზრებებიც.

ქვედანაყოფი 4
დაზარალებულისადმი ზიანის ანაზღაურება

წესი 94
პროცედურა თხოვნის საფუძველზე

1. დაზარალებულის თხოვნა 75-ე მუხლის საუძველზე ზიანის ანაზღაურების შესახებ დგინდება წერილობით და გადაეცემა მდივანს. ის შეიცავს შემდეგ მონაცემებს:

(a) მოსარჩელის ვინაობას და მისამართს;

(b) სხეულის დაზიანების, ზარალის ან ზიანის აღწერას;

(c) შემთხვევის ადგილს და თარიღს და, შეძლებისდაგვარად, იმ პირის ან პირთა ვინაობას, რომლებსაც, დაზარალებულის აზრით, მიუძღვით ბრალი სხეულის დაზიანების, ზარალის ან ზიანის მიყენებაში;

(d) თუ სასარჩელო მოთხოვნა შეეხება საშუალებების, ქონების ან სხვა მატერიალური სიკეთის დაბრუნებას, მათ აღწერას;

(e) კომპენსაციის მოთხოვნებს;

(f) რეაბილიტაციის ან ანაზღაურების სხვა ფორმების მოთხოვნებს;

(g) შესაძლებლობის ფარგლებში, ნებისმიერ სათანადო მხარდამჭერ დოკუმენტებს, მათ შორის მოწმეთა სახელებსა და მისამართებს.

2. სასამართლო პროცესის დასაწყისში და ნებისმიერი დაცვის ზომის მიღების შესაბამისად, სასამართლო მდივანს მოსთხოვს, მიაწოდოს შეტყობინება თხოვნის შესახებ თხოვნაში დასახელებულ ან ბრალდებაში მითითებულ პირს ან პირებს და, შეძლებისდაგვარად, ნებისმიერ სხვა დაინტერესებულ პირს და დაინტერესებულ სახელმწიფოს. პირები, რომელთაც მიიღეს შეტყობინება, სამდივნოს გადასცემენ ნებისმიერ შეტყობინებას 75-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად.

წესი 95
პროცედურა სასამართლოს ინიციატივით

1. იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლო აპირებს იმოქმედოს საკუთარი ინიციატივით 75-ე მუხლის პირველი პუნტქის შესაბამისად, ის მდივანს მოსთხოვს, გადასცეს შეტყობინება თავისი განზრახვის შესახებ იმ პირს ან პირებს, რომელთა მიმართაც სასამართლო განიხილავს დადგენილების გამოტანის საკითხს, და, შეძლებისდაგვარად, დაზარალებულებს, დაინტერესებულ პირებსა და დაინტერესებულ სახელმწიფოებს. პირები, რომელთაც მიიღეს შეტყობინება, სამდივნოს გადასცემენ ნებისმიერ შეტყობინებას 75-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად.

2. თუ პირველი ქვეწესის მიხედვით გაკეთებული შეტყობინების შედეგად:

(a) დაზარალებული მიმართავს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით, ჩაითვლება, რომ ეს მოთხოვნა მოწოდებულია 94-ე წესის შესაბამისად;

(b) დაზარალებული სასამართლოს სთხოვს, არ გამოიტანოს დადგენილება ზიანის ანაზღაურების შესახებ, სასამართლოს არ გამოაქვს ინდივიდუალური გადაწყვეტილება ამ დაზარალებულის მიმართ.

თარგმანი © გიორგი ჯოხაძე, 2003

წესი 96
ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებული სასამართლო განხილვის გამოქვეყნება

1. სასამართლო განხილვის შესახებ შეტყობინებასთან დაკავშირებული სხვა წესებისათვის ზიანის მიყენების გარეშე, მდივანი, რამდენადაც ეს პრაქტიკულია, აცნობებს დაზარალებულებს ან მათ კანონიერ წარმომადგენლებს და იმ პირს ან პირებს, რომელთაც ეს ეხებათ. ამასთან ერთად, მდივანი, პროკურორის მიერ მოწოდებული ნებისმიერი ინფორმაციის გათვალისწინებით, მიიღებს ყველა აუცილებელ ზომას სასამართლოში მიმდინარე ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებული განხილვის შეტყობინებისათვის, შესაძლებლობის ფარგლებში, სხვა დაზარალებულების, დაინტერესებული პირებისა და დაინტერესებული სახელმწიფოებისათვის.

2. პირველ ქვეწესში აღწერილი ზომების მიღებისას, სასამართლოს შეუძლია, მე-9 ნაწილის შესაბამისად, თანამშრომლობისათვის მიმართოს შესაბამის მონაწილე სახელმწიფოებს ან დახმარებისათვის მიმართოს სამთავრობათშორისო ორგანიზაციებს იმისათვის, რომ რაც შეიძლება ფართოდ და ყველა შესაძლო საშუალებით საჯაროდ გახადოს სასამართლოში მიმდინარე განხილვა ზიანის ანაზღაურების თაობაზე.

წესი 97
რეპარაციების გამოთვლა

1. ზიანის, დანაკარგის ან სხეულის დაზიანების მოცულობისა და ზომის გათვალისწინებით, სასამართლოს შეუძლია მიუსაჯოს ზიანის ანაზღაურება ინდივიდუალურ საფუძველზე და, როდესაც ის ამას მართებულად მიიჩნევს, კოლექტიურ საფუძველზე, ან ორივეს საფუძველზე.

2. სასამართლოს, დაზარალებულის ან მისი კანონიერი წარმომადგენლის ან მსჯავრდებულის თხოვნით ან საკუთარი ინციატივით, შეუძლია დანიშნოს შესაბამისი ექსპერტები დაზარალებულისადმი ან მის მიმართ მიყენებული ნებისმიერი ზიანის, დანაკარგის ან სხეულის დაზიანების მოცულობისა და ზომის დადგენაში დახმარების გასაწევად და ზიანის ანაზღაურების შესაბამისი სახისა და ფორმის სხვადასხვა ვარიანტების შესათავაზებლად. სასამართლო, შესაბამის შემთხვევაში, სთავაზობს დაზარლებულს ან მის კანონიერ წარმომადგენელს, მსჯავრდებულს, ასევე დაინტერესებულ პირებსა და დაინტერესებულ სახელმწიფოებს, გააკეთონ შენიშვნები ექსპერტთა ანგარიშების თაობაზე.

3. ყველა შემთხვევაში სასამართლო პატივს სცემს დაზარალებულთა და მსჯავრდებულის უფლებებს.

წესი 98
მიზნობრივი ფონდი

1. ცალკეული პირებისადმი ზიანის ანაზღაურება ეკისრება უშუალოდ მსჯავრდებულს.

2. სასამართლოს შეუძლია გასცეს ბრძანება ზიანის ანაზღაურების მიზნით მსჯავრდებულისაგან ამოღებული თანხის მიზნობრივი ფონდისადმი გადაცემის თაობაზე, თუ ამ დადგენილების გამოტანის დროს შეუძლებელია ან პრაქტიკულად გაუმართლებელია ზიანის ანაზღაურების ინდივიდუალური წესით გადახდა უშუალოდ თითოეული დაზარალებულისათვის. ანაზღაურების თანხა, რომელიც ამგვარად გადაირიცხება მიზნობრივ ფონდში, გამოიყოფა მიზნობრივი ფონდის სხვა საშუალებებისაგან და თითოეულ დაზარალებულს გადაეცემა პირველივე შესაძლებლობისთანავე.

3. სასამართლოს შეუძლია გასცეს ბრძანება ზიანის ანაზრაურების მიზნით მსჯავრდებულისაგან ამოღებული თანხის მიზნობრივ ფონდში გატარების შესახებ, თუ დაზარალებულთა რიცხვის და ანაზღაურების მოცულობის, ფორმების და სახეების გათვალისწინებით უფრო მიზანშეწონილია ზიანის ანაზღაურება კოლექტიურ საფუძველზე.

თარგმანი © გიორგი ჯოხაძე, 2003

4. დაიტერესებულ სახელმწიფოებთან და მიზნობრივ ფონდთან კონსულტაციების შემდეგ, სასამართლოს შეუძლია გასცეს ბრძანება იმის თაობაზე, რომ ზიანის ანაზღაურება განხორციელდება მიზნობრივი ფონდის საშუალებით ამ უკანასკნელის მიერ დამტკიცებული სამთავრობათშორისო, საერთაშორისო ან ეროვნული ორგანიზაციისადმი.

5. მიზნობრივი ფონდის სხვა საშუალებები შეიძლება გამოყენებულ იქნეს დაზარალებულთა ინტერესებში, 79-ე მუხლის დებულებათა დაცვით.

წესი 99
თანამშრომლობა და დაცვის ზომები 57-ე მუხლის 3(e) პუნქტისა და 75-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად კონფისკაციის მიზნით

1. წინასწარი სასამართლო წარმოების პალატას, 57-ე მუხლის 3(e) პუნქტის თანახმად და სასამართლო პალატას, 75-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, შეუძლია, საკუთარი ინიციატივით ან პროკურორის განცხადებით ან დაზარალებულთა ან მათი კანონიერი წარმომადგენლის თხოვნით, რომელთაც მიმართეს შუამდგომლობით ზიანის ანაზღაურების თაობაზე ან წერილობით აიღეს ამის გაკათების ვალდებულება, დააგინოს, შეიძლება თუ არა იქნეს მოთხოვნილი ზომების მიღება.

2. შეტყობინება არ არის აუცილებელი, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც სასამართლო, საქმის კონკრეტული გარემოებების გათავლისწინებით, დაადგენს, რომ შეტყობინებას არ შეუძლია შეუქმნას საფრთხე მოთხოვნილი ზომების ეფექტურობას. უკანასკნელ შემთხვევაში, მდივანი სასამართლო განხილვის შეტყობინებას გადასცემს იმ პირს, რომლის წინააღმდეგ არის მიმართული მოთხოვნილი ზომები და, რამდენადაც ეს შესაძლებელია, ნებისმიერ დაინტერესებულ პირს და დაინტერესებულ სახელმწიფოს.

3. თუ ბრძანება გამოიტანება წინასწარი შეტყობინების გარეშე, შესაბამისი პალატა მდივანს მოსთხოვს შეტყობინების გადაცემას იმდენად სწრაფად, რამდენადაც ეს შეესაბამება მოთხოვნილი ზომების ეფექტურობას, იმ პირისათვის, რომლის წინააღმდეგ არის მიმართული მოთხოვნილი ზომები, ასევე, რამდენადაც ეს შესაძლებელია, ნებისმიერ დაინტერესებულ პირს ან დაინტერესებული სახელმწიფოს, და შესთავაზოს მათ, წარადგინონ შენიშვნები იმის თაობაზე, საჭიროა თუ არა ბრძანების გაუქმება ან სხვაგვარად შეცვლა.

4. სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს დადგენილება ამ საკითხებზე გადაწყვეტილების გამოსატანად საჭირო ნებისმიერი სასამართლო სხდომის ვადებისა და პროცედურის თაობაზე.

დანაყოფი IV
სხვდასხვა დებულებები

წესი 100
სასამართლო განხილვის ჩატარების ადგილი

1. კონკრეტულ შემთხვევაში, როდესაც სასამართლო ჩათვლის, რომ ეს მართლმსაჯულების ინტერესებს ემსახურება, მას შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება სასამართლო განხილვის მასპინძელი სახელმწიფოს გარდა სხვა სახელმწიფოში ჩატარების თაობაზე.

2. განცხადება ან რეკომენდაცია სხდომის ადგილის შეცვლის თაობაზე შეიძლება მიწოდებულ იქნეს გამოძიების დაწყების შემდეგ ნებისმიერ დროს პროკურორის ან დაცვის მიერ ან სასამართლოს მოსამართლეთა უმრავლესობით. ამგვარი განცხადება ან რეკომენდაცია გადაეცემა პრეზიდიუმს. ის კეთდება წერილობით და მიუთითებს, თუ რომელ სახელმწიფოში ჩაატარებს სხდმოას სასამართლო. პრეზიდიუმი ეცნობა შესაბამისი პალატის მოსაზრებებს.

3. პრეზიდიუმი ატარებს კონსულტაციებს იმ სახელმწიფოსთან, სადაც სასამართლო აპირებს სხდომის ჩატარებას. თუ ეს სახელმწიფო თანხმდება სასამართლოს მიერ სხდომის ამ სახელმწიფოში ჩატარებაზე, მაშინ გადაწყვეტილება მასპინძელი სახელმწიფოს გარდა სხვა სახელმწიფოში სხდომის ჩატარების შესახებ მიიღება მოსამართლეების მიერ პლენარულ სხდომაზე, ხმათა ორი მესამედის უმრავლესობით.

თარგმანი © გიორგი ჯოხაძე, 2003

წესი 101
ვადები

1. სასამართლო განხილვის ჩატარების მიმართ ვადის დადგენის თაობაზე დადგენილების გამოტანისას, სასამართლო მხედველობაში მიიღებს სამართლიანი და დროული სასამართლო განხილვის ჩატარების ხელშეწყობის აუცილებლობას, კერძოდ, დაცვისა და დაზარალებულთა უფლებების გათვალისწინებით.

2. ბრალდებულის უფლებების გათვალისწინებით, კერძოდ, 67-ე მუხლის 1(c) პუნქტის შესაბამისად, სასამართლო განხილვის ყველა მონაწილე, რომელთა მიმართაც გამოტანილია დადგენილება, ცდილობს იმოქმედოს იმდენად სწრაფად, რამდენადაც ეს შესაძლებელია, სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში.

წესი 102
წერილობითის გარდა სხვა შეტყობინებები

იმ შემთხვევაში, როდესაც პირს, ქმედუუნარობის ან განათლების არქონის გამო, არ შეუძლია წარადგინოს წერილობითი თხოვნა, განცხადება, შენიშვნა ან სასამართლოსადმი მიმართული სხვა შეტყობინება, პირს შეუძლია ამგვარი თხოვნა, განცხადება, შენიშვნა ან შეტყობინება წარადგინოს აუდიო, ვიდეო ან სხვა ელექტრონული ფორმით.

წესი 103
Amicus curiae და წარდგინების სხვა ფორმები

1. სასამართლო განხილვის ნებისმიერ სტადიაზე, პალატას შეუძლია, თუ ის ამას სასურველად ჩათვლის საქმის სათანადო გადაწყვეტისათვის, შესთავაზოს ან ნება დართოს სახელმწიფოს, ორგანიზაციას ან პირს, წერილობით ან ზეპირად წარადგინონ ნებისმიერი შენიშვნა ნებისმიერ საკითხზე, რომელსაც პალატა მართებულად ჩათვლის.

2. პროკურორს და დაცვას ეძლევა პირველი ქვეწესის მიხედვით წარდგენილ შენიშვნებზე პასუხის გაცემის შესაძლებლობა.

3. პირველი ქვეწესის მიხედვით წარდგენილი წერილობითი შენიშვნა გადაეცემა მდივანს, რომელიც ასლებს გადასცემს პროკურორს და დაცვას. პალატა დაადგენს ამგვარი შენიშვნების წარდგენის ვადას.

თარგმანი © გიორგი ჯოხაძე, 2003

თავი 5
გამოძიება და სისხლისსამართლებრივი დევნა

დანაყოფი I
პროკურორის გადაწყვეტილება 53-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების თანახმად გამოძიების დაწყების შესახებ

წესი 104
პროკურორის მიერ ინფორმაციის შეფასება

1. 53-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად მოქმედებისას, პროკურორი, მისდამი წარდგენილი ინფორმაციის შეფასებისას, გააანალიზებს მიღებული ინფორმაციის სერიოზულობას.

2. პირველი ქვეწესის მიზნებისათვის, პროკურორს შეუძლია გამოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია სახელმწიფოებისაგან, გაეროს ორგანოებისაგან, სამთავრობათშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების ან სხვა სანდო წყაროებიდან, რომელთაც ის სათანადოდ მიიჩნევს, და შეუძლია მიიღოს წერილობითი ან ზეპირი ჩვენება სასამართლოს შტაბ-ბინაში. ამგვარი ჩვენების მიღების მიმართ გამოიყენება 47-ე მუხლით გათვალისწინებული პროცედურა.

წესი 105
პროკურორის გადაწყვეტილება გამოძიების დაუწყებლობის თაობაზე

1. თუ პროკურორი მიიღებს გადაწყვეტილებას 53-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად გამოძიების დაუწყებლობის შესახებ, ის სასწრაფო წესით წერილობით შეატყობინებს იმ სახელმწიფოს ან სახელმწიფოებს, რომელთაც ვითარება გადასცეს მე-14 მუხლის თანახმად, ან, მე-13 მუხლის (b) პუნქტით გათავლისწინებულ საიტუაციასთან დაკავშირებით, უშიშროების საბჭოს.

2. თუ პროკურორი მიიღებს გადაწყვეტილებას, არ მიმართოს წინასწარი სასამართლო წარმოების პალატას გამოძიების დაწყებაზე სანქციის გაცემის მიზნით, გამოიყენება 49-ე წესი.

3. პირველ ქვეწესში ნახსენები შეტყობინება შეიცავს პროკურორის დასკვნას და, 68-ე მუხლის პირველი პუნქტის გათვალისწინებით, ამგავრი დასკვნის მოტივებს.

4. თუ პროკურორი მიიღებს გადაწყვეტილებას, არ დაიწყოს გამოძიება მხოლოდ 53-ე მუხლის 1(c) პუნქტის საფუძველზე, ის სასწრაფო წესით წერილობით აცნობებს წინასწარი სასამართლო წარმოების პალატას გადაწყვეტილების მიღების შემდეგ.

5. შეტყობინება შეიცავს პროკურორის დასკვნას და დასკვნის მიზეზებს.

წესი 106
შეტყობინება პროკურორის მიერ გამოიძიების დაუწყებლობის თაობაზე გადაწყვეტილების შესახებ

1. თუ პროკურორი მიიღებს გადაწყვეტილებას 53-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების საკამრისი საფუძელის არარსებობის შესახებ, ის ამის შესახებ სასწრაფო წესით წერილობით აცნობებს წინასწარი სასამართლო წარმოების პალატას, ასევე სახელმწიფოს ან სახელმწიფოებს, რომელთაც ვითარება გადასცეს მე-14 მუხლის თანახმად ან, მე-13 მუხლის (b) პუნქტით გათვალისწინებული სიტუაციის მიმართ, უშიშროების საბჭოს.

2. პირველ ქვეწესში ნახსენები შეტყობინება შეიცავს პროკურორის დასკვნას და, 68-ე მუხლის პირველი პუნქტის გათვალისწინებით, ამგვარი დასკვნის მოტივებს.

დანაყოფი II

თარგმანი © გიორგი ჯოხაძე, 2003

პროცედურა 53-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად

წესი 107
თხოვნა გადასინჯვის შესახებ 53-ე მუხლის მე-3(a) პუნქტის თანახმად

1. თხოვნა 53-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად გამოძიების ან სისხლისსამართლებრივი დევნის დაუწყებლობის შესახებ პროკურორის გადაწყვეტილების გადასინჯვის თაობაზე წარედგინდება წერილობით და მიზეზების მითითებით, 105-ე და 106-ე წესის თანახმად მიწოდებული შეტყობიმების მიღებიდან 90 დღის განმავლობაში.

2. წინასწარი სასამართლო წარმოების პალატას შეუძლია პროკურორს მოსთხოვოს გადასცეს მის განკარგულებაში არსებული ინფორმაცია ან დოკუმენტები ანდა მათი რეზიუმე, რომელსაც პალატა საჭიროდ მიიჩნევს გადასინჯვის ჩატარებისათვის.

3. წინასწარი სასამართლო წარმოების პალატა იღებს ისეთ ზომებს, რომლებიც აუცილებელია 54-ე, 72-ე და 93-ე მუხლების თანახმად მე-2 ქვეწესში აღნიშნული ინფორმაციისა და დოკუმენტების დასაცავად და, 68-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მოწმეთა და დაზარალებულთა და მათი ოჯახის წევრთა დასაცავად.

4. როდესაც სახელმწიფო ან უშიშროების საბჭო მიმართავს პირველ ქვეწესში მითითებული თხოვნით, წისაწარი სასამართლო წარმოების პალატას შეუძლია მათგან გამოითხოვოს დამატებითი შენიშვნები.

5. როდესაც წარმოიშობა იურისდიქციის ან საქმის მისაღებობის საკითხი, გამოიყენება წესი 59.

წესი 108
წინასწარი სასამართლო წარმოების პალატის გადაწყვეტილება 53-ე მუხლის მე-3(a) პუნქტის თანახმად

1. წინასწარი სასამართლო წარმოების პალატის გადაწყვეტილება 53-ე მუხლის მე-3(a) პუნქტის თანახმად მიღებული უნდა იქნეს მოსამართლეთა უმრავლესობით და შეიცავდეს მიზეზებს. ის გადაეცემა ყველას, ვინც მონაწილეობდა გადასინჯვის პროცესში.

2. თუ წინასწარი სასამართლო წარმოების პალატა პროკურორს მოსთხოვს გადასინჯოს, მთლიანად ან ნაწილობრივ, მისი გადაწყვეტილება გამოძიების ან სისხლისსამართლებრივი დევნის დაუწყებლობის თაობაზე, პროკურორი უმოკლეს ვადაში გადასინჯავს ამ გადაწყვეტილებას.

3. მას შემდეგ, რაც პროკურორმა მიიღო საბოლოო გადაწყვეტილება, ის ამის შესახებ წერილობით შეტყობინებას გადასცემს წინასწარი სასამართლო წარმოების პალატას. ეს შეტყობინება შეიცავს პროკურორის დასკვნას და დასკვნის მიზეზებს. ის გადაეცემა ყველას, ვინც მონაწილეობდა გადასინჯვის პროცესში.

წესი 109
გადასინჯვა წინასწარი სასამართლო წარმოების პალატის მიერ 53-ე მუხლის მე-3(b) პუნქტის თანახმად

1. 105-ე ან 106-ე წესის მიხედვით შეტყობინებიდან 180 დღის განამვლობაში წინასწარი სასამართლო წარმოების პალატას შეუძლია საკითარი ინიციატივით მიიღოს გადაწყვეტილება პროკურორის იმ გადაწყვეტილების გადახედვის თაობაზე, რომელიც მიღებულია მხოლოდ 53-ე მუხლის 1(c) ან 2(c) პუნქტის თანახმად. წინასწარი სასამართლო წარმოების პალატა პროკურორს აცნობებს მისი გადაწყვეტილების გადახედვის განზრახვის თაობაზე და დააწესებს ვადას, რომლის განმავლობაშიც პროკურორს შეუძლია წარადგინოს შენიშვნები და სხვა მასალა.

თარგმანი © გიორგი ჯოხაძე, 2003

2. იმ შემთხვევაში, როდესაც თხოვნა წინასწარი სასამართლო წარმოების პალატას წარედგინება სახელმწიფოს ან უშიშროების საბჭოს მიერ, მათ ასევე გადაეცემათ ინფორმაცია და შეუძლათ წარადგინონ შენიშვნები 107-ე წესის შესაბამისად.

წესი 110
წინასწარი სასამართლო წარმოების პალატის გადაწყვეტილება 53-ე მუხლის მე-3(b) პუნქტის თანახმად

1. წინასწარი სასამართლო წარმოების პალატის გადაწყვეტილება პროკურორის მიერ მხოლოდ 53-ე მუხლის 1(c) ან 2(c) პუნქტის თანახმად მიღებული გადაწყვეტილების დადასტურების ან დაუდასტურებლობის შესახებ მიღებულ უნდა იქნეს მოსამართლეთა უმრავლესობით და შეიცავდეს მიზეზებს. ის გადაეცემა ყველას, ვინც მონაწილეობდა გადასინჯვის პროცესში.

2. თუ წინასწარი სასამართლო წარმოების პალატა არ ადასტურებს პირველ ქვეწესში აღნიშნულ პროკურორის გადაწყვეტილებას, პროკურორი იწყებს გამოძიებას ან სისხლისსამართლებრივ დევნას.

დანაყოფი III
მტკიცებულების შეგროვება

წესი 111
დაკითხვის ოქმი ზოგადად

1. ნებისმიერი პირის გამოძიებასა ან სისხლისსამართლებრივ დევნასთან დაკავშირებით გამოკითხვის დროს დგინდება მისი ოფიციალური განაცხადების ოქმი. ოქმს ხელს აწერს პირი, რომელიც ადგენს ოქმს და ატარებს დაკითხვას, და დაკითხული პირი და მისი ადვოკატი, თუ ის ესწრება, ასევე, შესაბამის შემთხვევაში, პროკურორი ან დამსწრე მოსამართლე. ოქმში მიეთითება დაკითხვის თარიღი, დრო და ადგილი და ის პირები, რომლებიც ესწრება დაკითხვას. მასში ასევე კეთდება იმ ფაქტის აღნიშვნა, რომ რომელიმე პირმა ხელი არ მოაწერა ოქმს, და ასევე მიეთითება ამის მიზეზი.

2. პროკურორის ან ეროვნული ხელისუფლების ორგანოების მიერ დაკითხვის ჩატარებისას სათანადო ყურადღება ექცევა 55-ე მუხლს. როდესაც პირს ეცნობება მისი უფლებები 55-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ამ ინფრომაციის მიწოდების ფაქტი აღინიშნება ოქმში.

წესი 112
დაკითხვის ჩაწერა ცალკეულ შემთხვევებში

1. როდესაც პროკურორი ატარებს იმ პირის დაკითხვას, რომლის მიმართაც გამოიყენება 55-ე მუხლის მე-2 პუნქტი ან რომლის მიმართაც გაცემულია დაკავების ორდერი ან სასამართლოში გამოცხადების ბრძანება 58-ე მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, წარომებს დაკითხვის აუდიო- და ვიდეოჩაწერა შემდეგი პროცედურის შესაბამისად:

(a) დასაკითხ პირს ეცნობება იმ ენაზე, რომელსაც ის სრულად იგებს და რომელზედაც ის თავისუფლად საუბრობს, რომ განხორციელდება დაკითხვის აუდიო- და ვიდეოჩაწერა, და რომ ამ პირს შეუძლია, თუ მას სურს, არ დაეთანხმოს ამას. ამ ინფორმაციის მიწოდების ფაქტი და პირის მიერ გაცემული პასუხი აღინიშნება ოქმში. პირს შეუძლია პასუხის გაცემამდე მოწმეთა დაუსწრებლად გაესაუბროს თავის ადვოკატს, თუ ის ესწრება. თუ დასაკითხი პირი უარს ამბობს აუდიო- და ვიდეოჩაწერაზე, გამოიყენება 111-ე წესით გათვალისწინებული პროცედურა;

(b) ადვოკატის თანდასწრებით დაკითხვაზე უარის თქმა ფიქსირდება წერილობით და, თუ შესაძლებელია, ხდება მისი აუდიო- და ვიდეოჩაწერა.

თარგმანი © გიორგი ჯოხაძე, 2003

(c) დაკითხვის დროებითი შეწყვეტის შემთხვევაში, შეწყვეტის ფაქტი და დრო ჩაიწერება აუდიო- და ვიდეოჩაწერის დასრულებამდე, ისევე როგორც დაკითხვის განახლება;

(d) დაკითხვის დასრულებისას დაკითხულ პირს ეძლევა მის მიერ ნათქვამის დაზუსტების ან რაიმეს მისი სურვილისმბერ დამატების შესაძლებლობა. აღინიშნება დაკითხვის დასრულების დრო;

(e) დაკითხვის დასრულების შემდეგ პრაქტიკულად შესაძლებელ უმოკლეს ვადაში დგინდება სტენოგრამა და მისი ასლი გადაეცემა დაკითხულ პირს ჩაწერილი მაგნიტური ლენტის ასლთან ერთად, ხოლო რამოდენიმე ჩამწერი მოწყობილობის გამოყენებისას – ერთ-ერთი ლენტის დედანი;

(f) ლენტის დედანი ან ერთი-ერთი დედანი დაილუქება დაკითხული პირის ან მისი ადვოკატის, თუ ის ესწრება, თანდასწრებით, და დასტურდება პროკურორისა და დაკითხული პირის ან მისი ადვოკატის, თუ ის ესწრება, ხელმოწერით.

2. პროკურორი იყენებს ყველა გონივრულ ზომას დაკითხვის პირველი ქვეწესის შესაბამისად ჩაწერისათვის. გამონაკლისის სახით, პირი შეიძლება დაიკითხოს დაკითხვის აუდიო- და ვიდეოჩაწერის გარეშე, თუ გარემოებები ხელს უშლის ამგვარი ჩაწერის განხორციელებას. ამ შემთხვევაში, დაკითხვის ჩაწერის განუხორცელებლობის მიზეზები წერილობით ფიქსირდება და გამოიყენება 111-ე წესით გათვალისწინებული პროცედურა.

3. როდესაც 1(a) ან მე-2 ქვეწესის თანახმად არ ხორციელდება დაკითხვის ჩაწერა, დაკითხულ პირს მიეცემა მისი ჩვენების ასლი.

4. პროკურორს შეუძლია გადაწყვიტოს ამ წესით გათვალისწინებული პროცედურის გამოყენება პირველ ქვეწესში ნახსენები პირების გარდა სხვა პირების დაკითხვის დროს, კერძოდ, როდესაც ამ პროცედურის გამოყენებას შეუძლია ხელი შეუწყოს სქესობრივი ან გენდერული ძალადობის მსხვერპლის, ბავშვის ან ინვალიდის ნებისმიერი შემდგომი ფსიქიკური ტრავმის შემცირებას მათ მიერ ჩვენების მიცემისას. პროკურორს შეუძლია შუამდგომლობით მიმართოს შესაბამის პალატას.

5. წინასწარი სასამართლო წარმოების პალატას შეუძლია, 56-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, გასცეს ბრძანება ამ მუხლით გათვალისწინებული პროცედურის ნებისმიერი პირის მიმართ გამოყენების თაობაზე.

წესი 113
შესასბამისი პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის შეგროვება

1. წინასწარი სასამართლო წარმოების პალატას შეუძლია, საკუთარი ინიციატივით ან პროკურორის, შესაბამისი პირის ან მისი ადვოკატის თხოვნით, გასცეს ბრძანება 55-ე მუხლის მე-2 პუნქტში მოყვანილი უფლებების მქონე პირის მიმართ სამედიცინო, ფსიქოლოგიური ან ფსიქიკური ექსპერტიზის ჩატრების თაობაზე. თავისი დადგენილების გამოტანისას, წინასწარი სასამართლო წარმოების პალატა მხედველობაში მიიღებს ექსპერტიზის ხასიათსა და მიზანს და პირის თანხმობის არსებობას ექსპერტიზის ჩატარებაზე.

2. წინასწარი სასამართლო წარმოების პალატა დანიშნავს ერთ ან მეტ ექსპერტს მდივნის მიერ დამტკიცებული ექსპერტთა სიიდან ან წინასწარი სასამართლო წარმოების პალატის მიერ მხარის თხოვნით დანიშნულ ექსპერტს.

წესი 114
გამოძიების უნიკალური შესაძლებლობა 56-ე მუხლის თანახმად

1. 56-ე მუხლის 1(a) პუნქტის თანახმად პროკურორის შეტყობინების მიღების შემდეგ, წინასწარი სასამართლო წარმოების პალატა დაუყოვნებლივ ატარებს კონსულტაციას პროკურორთან და, 56-ე მუხლის 1(c) პუნქტის დებულებათა შესაბამისად, დაკავებულ ან სასამართლოს ბრძანების თანახმად გამოცხადებულ პირთან ან მის ადვოკატთან იმის დადგენის მიზნით, თუ რა ზომები უნდა იქნეს მიღებული და როგორია მათი აღსრულების ფორმები, რაც

შეიძლება მოიცავდეს კავშირის უფლების დაცვის უზრუნველმყოფელ ზომებს 67-ე მუხლის 1(b) პუნქტის თანახმად.

2. წინასწარი სასამართლო წარმოების პალატის გადაწყვეტილება 56-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად ზომების მიღების თაობაზე მიღებულ უნდა იქნეს მოსამართლეთა უმრავლესობით პროკურორთან კონსულტაციის შემდეგ. კონსულტაციის დროს, პროკურორს შეუძლია წინასწარი სასამართლო წარმოების პალატას შეატყობინოს იმის თაობაზე, რომ დაგეგმილ ზომებს შეუძლია ზიანი მიაყენოს გამოძიების სათანადო ჩატარებას.

წესი 115
მტკიცებულების შეგროვება მონაწილე სახელმწიფოს ტერიტორიაზე 57-ე მუხლის მე-3(d) პუნქტის თანახმად

1. როდესაც პროკურორი თვლის, რომ გამოიყენება 57-ე მუხლის მე-3(d) პუნქტი, პროკურორს შეუძლია წინსაწარი სასამართლო წარმოების პალატას გადასცეს წერილობითი თხოვნა მონაწილე სახელმწიფოს ტერიტორიაზე გარკვეული ზომების მიღების სანქციონირების თაობაზე. ამგავრი თხოვნის წარდგენის შემდეგ, წინასწარი სასამართლო წარმოების პალატა, რამდენადაც ეს შესაძლებელია, ამის შესახებ აცნობებს შესაბამის მონაწილე სახელმწიფოს და შესთავაზებს მას თვალსაზრისის გამოთქმას.

2. იმის გადაწყვეტისას, დასაბუთებულია თუ არა ამგვარი თხოვნა, წინასწარი სასამართლო წარმოების პალატა მხედველობაში მიიღებს მონაწილე სახელმწიფოს მიერ გამოთქმულ თვალსაზრისს. წინასწარი სასამართლო წარმოების პალატას შეუძლია, საკუთარი ინიციატივით ან პროკურორის ან შესაბამისი მონაწილე სახელმწიფოს თხოვნით, გადაწყვიტოს საქმის მოსმენის ჩაატარება.

3. სანქციონირება 57-ე მუხლის მე-3(d) პუნქტის თანახმად გაიცემა ბრძანების ფორმით და მიუთითებს მიზეზებს ამ პუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმების საფუძველზე.

წესი 116
მტკიცებულების შეგროვება დაცვის თხოვნით 57-ე მუხლის მე-3(b) პუნქტის თანახმად

1. წინასწარი სასამართლო წარმოების პალატა გასცემს ბრძანებას ან მიმართავს თანამშრომლობისათვის 57-ე მუხლის მე-3(b) პუნქტის თანახმად, როდესაც ის დარწმუნდება, რომ:

(a) ამგავრი დადგენილება ხელს შეუწყობს იმ მტიკცებულების შეგროვებას, რომელსაც შეიძლება გააჩნდეს არსებითი მნიშვნელობა გადასაწყვეტი საკითხების სათანადო შესაწავლისათვის ან პირის დაცვის სათანადო მომზადებისათვის; და

(b) მე-9 თავის მიხედვით თანამშრომლობის შემთხვევაში, მიწოდებულ იქნა საკმარისი ინფორმაცია 96-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესრულებისათვის.

2. 57-ე მუხლის მე-3(b) პუნქტის თანახმად დადგენილების გამოტანის ან თანამშრომლობისათვის მიმართვის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე, წინასწარი სასამართლო წარმოების პალატას შეუძლია გამოიკითხოს პროკურორის თვალსაზრისი.

დანაყოფი IV
თავისუფლების შეზღუდვასა და აღკვეთასთან დაკავშირებული ზომები

წესი 117
პატიმრობა სასჯელის აღსრულების სახელმწიფოში

1. სასამართლო მიიღებს ზომებს იმის უზრუნველსაყოფად, რომ მას ეცნობება პირის დაკავება სასამართლოს მიერ 89-ე და 92-ე მუხლების თანახმად გაკეთებული მოთხოვნის შესრულებისას. ამგვარი ინფორმაციის მიღების შემდეგ, სასამართლო უზრუნველყოფს, რომ

თარგმანი © გიორგი ჯოხაძე, 2003

პირი მიიღებს წინასწარი სასამართლო წარმოების პალატის მიერ 58-ე მუხლის და წესდების ნებისმიერ შესაბამის დებულებათა თანახმად გაცემული დაკავების ორდერის ასლს. დოკუმენტები დგინდება ენაზე, რომელსაც პირი სრულად გებულობს და რომელზედაც თავისუფლად საუბრობს.

2. დაკავების შემდეგ ნებისმიერ დროს, პირს შეუძლია წინასწარი სასამართლო წარმოების პალატას მიმართოს სასამართლო განხილვის დროს დახამრების გაწევის მიზნით ადვოკატის დანიშვნის თხოვნით და წინასწარი სასამართლო წარმოების პალატა მიიღებს გადაწყვეტილებას ამგვარი თხოვნის თაობაზე.

3. პროტესტი იმის თაობაზე, სათანადო წესით იქნა გაცემული თუ არა ორდერი 58-ე მუხლის 1(a) და (b) პუნქტის შესაბამისად, წერილობით გადაეცემა წინასწარი სასამართლო წარმოების პალატას. განცხადებაში მიეთითება პროტესტის საფუძველი. პროკურორის თვალსაზრისის გაცნობის შემდეგ, წისაწარი სასამართლო წარმოების პალატას დაუყოვნებლივ გამოაქვს გადაწყვეტილება განცხადების თაობაზე.

4. როდესაც დამკავებელი სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანო აცნობებს წინასწარი სასამართლო წარმოების პალატას იმის შესახებ, რომ დაკავებულმა პირმა წარადგინა თხოვნა გათავისუფლების შესახებ 59-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, წინასწარი სასამართლო წარმოების პალატა თავის რეკომენდაციებს წარადგენს დამკავებელი სახელმწიფოს მიერ დადგენილ ვადაში.

5. როდესაც წინასწარი სასამართლო წარმოების პალატას ეცნობება იმის შესახებ, რომ დამკავებელი სახელმწიფოს კომპეტენტურმა ორგანომ პირი დროებით გაათავისუფლა, წინასწარი სასამართლო წარმოების პალატა დამკავებელ სახელმწიფოს აცნობებს, თუ როგორ და როდის სურს მას მიიღოს პერიოდული მოხსენებები დროებითი გათავისუფლების სტატუსის თაობაზე.

წესი 118
წინასწარი პატიმრობა სასამართლოს შტაბ-ბინაში

1. თუ სასამართლოსათვის გადაცემული პირი წარადგენს თავდაპირველ თხოვნას სასამართლო განხილვამდე დროებითი გათავისუფლების თაობაზე, ან მისი პირველი გამოცხადებისას 121-ე მუხლის თანახმად, ან ამის შემდეგ, წინასწარი სასამართლო წარმოების პალატას, პროკურორის თვალსაზრისის მოთხოვნის შემდეგ, დაუყოვნებლივ გამოაქვს გადაწყვეტილება ამ თხოვნის თაობაზე.

2. წინასწარი სასამართლო წარმოების პალატა აწარმოებს მე-60 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად პირის გათავისუფლებაზე ან პატიმრობის თაობაზე თავისი დადგენილების გადასინჯვას 120 დღის განმავლობაში მაინც და შეუძლია ეს განახორციელოს ნებისმიერ დროს პირის ან პროკურორის თხოვნით.

3. პირველი გამოცხადების შემდეგ, თხოვნა დროებითი გათავისუფლების შესახებ უნდა წარედგინოს წერილობით. პროკურორს გადაეცემა შეტყობინება ამგვარი თხოვნის თაობაზე. წინასწარი სასამართლო წარმოების პალატას გადაწყვეტილება გამოაქვს პროკურორისა და დაკავებული პირის წერილობითი შენიშვნების მიღების შემდეგ. წინასწარი სასაამართლო წარმოების პალატას შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება საქმის მოსმენის ჩატარების თაობაზე პროკურორის ან დაკავებული პირის თხოვნით ან საკუთარი ინიციატივით. საქმის მოსმენა წელიწადში ერთხელ მაინც უნდა ჩატარდეს.

წესი 119
პირობითი გათავისუფლება

1. წინასწარი სასამართლო წარმოების პალატას შეუძლია დაადგინოს თავისუფლების შეზღუდვის ერთი ან რამოდენიმე პირობა, მათ შორის:

(a) პირმა არ უნდა იმგზავროს წინასწარი სასამართლო წარმოების პალატის მიერ დადგენილი ტერიტორიული ფარგლების გარეთ პალატის გარკვეული თანხმობის გარეშე;

თარგმანი © გიორგი ჯოხაძე, 2003

(b) პირი არ უნდა იმყოფებოდეს გარკვეულ ადგილებში ან არ უნდა ჰქონდეს ურთიერთობა გარკვეულ პირებთან, რომელთაც განსაზღვრავს წინასწარი სასამართლო წარმოების პალატა.

(c) პირს არ უნდა ჰქონედს უშუალო ან არაპირდაპირი კონტაქტი დაზარალებულებთან ან მოწმეებთან;

(d) პირი არ უნდა ახორციელებდეს გარკვეულ პროფესიულ საქმიანობას;

(e) პირი უნდა ცხოვრობდეს წინასწარი სასამართლო წარმოების პალატის მიერ დადგენილ გარკვეულ მისამართზე;

(f) პირი უნდა გამოცხადდეს ხელისუფლების ორგანოს ან წინასწარი სასამართლო წარმოების პალატის მიერ დანიშნული კომპეტენტური პირის გამოძახების საპასუხოდ;

(g) პირმა უნდა შეიტანოს თავდები ან წარადგინოს მატერიალური ან პირადი გარანტიები, რომლის მოცულობას, შეტანის დროსა და პირობებს განსაზღვრავს წინასწარი სასამართლო წარმოების პალატა;

(h) პირმა მდივანს უნდა მიაწოდოს პირადობის დამადასტურებელი ყველა დოკუმენტი, განსაკუთრებით მისი პასპორტი.

2. წინასწარი სასამართლო წარმოების პალატას, შესაბამისი პირის ან პროკურორის თხოვნით ან საკუთარი ინიციატივით, შეუძლია ნებისმიერ დროს მიიღოს გადაწყვეტილება პირველი ქვეწესის შესაბამისად დადგენილი პირობების შეცვლის თაობაზე.

3. თავისუფლების შეზღუდვის ნებისმიერი პირობების დაწესებამდე ან შეცვლამდე, წინასწარი სასამართლო წარმოების პალატა მოითხოვს პროკურორის, შესაბამისი პირის, ნებისმიერი შესაბამისი სახელმწიფოს და ამ საქმესთან დაკავშირებით სასამართლოსთან კავშირის მქონე დაზარლებულების, ასევე იმ პირების თვალსაზრისს, რომელთაც, პალატის აზრით, შეიძლება საფრთხე ემუქრებოდეს გათავისუფლების ან დაწესებული პირობების შედეგად.

4. თუ წინასწარი სასამართლო წარმოების პალატა დარწმუნდება იმაში, რომ შესაბამისი პირი არ ასრულებს მასზე დაკისრებულ ერთ ან მეტ ვალდებულებას, მას შეუძლია, ამის საფუძველზე, პროკურორის თხოვნით ან საკუთარი ინიციატივით, გასცეს ამ პირის მიმართ დაკავების ორდერი.

5. როდესაც წინასწარი სასამართლო წარმოების პალატა გასცემს ბრძანებას გამოცხადების შესახებ 58-ე მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად და აპირებს თავისუფლების შემზღუდველი პირობების დაწესებას, ის ეცნობა ბრძანების მიმღები სახელმწიფოს ეროვნული კანონმდებლობის დებულებებს. ბრძანების მიმღები სახელმწიფოს ეროვნული კანონმდებლობის დებულებათა გათვალისწინებით, წინასწარი სასამართლო წარმოების პალატა მოქმედებს პირველი, მე-2 და მე-3 ქვეწესების შესაბამისად. თუ წინასწარი სასამართლო წარმოების პალატა მიიღებს ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ შესაბამისი პირი არ ასრულებს დაწესებულ პირობებს, ის მოქმედებს მე-4 ქვეწესის შესაბამისად.

წესი 120
მოქმედების თავისუფლების შემზღუდავი საშუალებები

მოქმედების თავისუფლების შემზღუდავი საშუალებები არ შეიძლება გამოიყენულ იქნეს სხვა მიზნით, არამედ მხოლოდ როგორც უსაფრთხოების ზომა გაქცევის თავიდან ასაცილებლად, სასამართლოს განკარგულებაში მყოფი პირისა და სხვა პირების დასაცავად ან უშიშროების სხვა მოსაზრებებით, და გაუქმდება პირის პალატის წინაშე გამოცხადებისთანავე.

დანაყოფი V
პროცედურა 61-ე მუხლის თანახმად ბრალდების დადასტურებასთან დაკავშირებით

წესი 121
პროცედურა დადასტურების სხდომის ჩატარებამდე

1. პირი, რომლის მიმართაც გაცემულია დაკავების ორდერი ან ბრძანება სასამართლოში გამოცხადების თაობაზე 58-ე მუხლის თანახმად, წარსდგება წინასწარი სასამართლო წარმოების პალატის წინაშე, პროკურორის თანდასწრებით, სასამართლოში გამოცხადებისთანავე. მე-60 და 61-ე მუხლის დებულებათა გათვალისწინებით, პირი სარგებლობს 67-ე მუხლით გათვალისწინებული უფლებებით. ამ პირველი გამოცხადების დროს, წინასწარი სასამართლო წარმოების პალატა განსზღვრავს იმ თარიღს, რომელზედაც ის აპირებს ჩაატაროს სხდომა ბრალდების დადასტურების თაობაზე. ის უზრუნველყოფს, რომ ეს თარიღი და ნებისმიერი გადავადება მე-7 ქვეწესის თანახმად საჯაროდაა გამოცხადებული.

2. 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, წინასწარი სასამართლო წარმოების პალატა მიიღებს ყველა აუცილებელ გადაწყვეტილებას პროკურორსა და იმ პირს შორის ინფორმაციის გახსნასთან დაკავშირებით, რომლის მიმართაც გაცემულია დაკავების ორდერი ან ბრძანება სასამართლოში გამოცხადების თაობაზე. გახსნის დროს:

(a) ამ პირს შეუძლია ისარგებლოს თავის მიერ არჩეული ან დანიშნული ადვოკატის სამსახურით ან წარმოდგენილ იქნეს ამ ადვოკატის მიერ;

(b) წინასწარი სასამართლო წარმოების პალატა ატარებს განმწესრიგებელ სხდომებს იმის უზრუნველსაყოფად, რომ ინფორმაციის გახსნა მიმდინარეობდეს სათანადო პირობებში. ყოველი საქმისათვის ინიშნება წინასწარი სასამართლო წარმოების პალატის მოსამართლე ამგავრი სხდომების ორგანიზებისათვის, საკუთარი ინიციატივით ან პროკურორის ან შესაბამისი პირის თხოვნით.

(c) ბრალდების დადასტურების სხდომის მიზნებისათვის, პროკურორსა და შესაბამის პირს შორის გახსნილი ყველა მტკიცებულება გადაეცემა წინასწარი სასამართლო წარმოების პალატას.

3. პროკურორი წინასწარი სასამართლო წარმოების პალატას და შესაბამის პირს გადასცემს, არაუგვიანეს 30 დღით ადრე ბრალდების დადასტურების სხდომის დაწყებამდე, ბრალდების დეტალურ აღწერას იმ მტკიცებულებების ჩამონათვალთან ერთად, რომელთა წარდგენასაც ის აპირებს სხდმოის დროს.

4. როდესაც პროკურორი აპირებს ბრალდების შეცვლას 61-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ის წინასწარი სასამართლო წარმოების პალატას და შესაბამის პირს აცნობებს, არაუგვიანეს 15 დღით ადრე ბრალდების დადასტურების სხდომის ჩატარების თარიღამდე, შეცვლილი ბრალდების თაობაზე იმ მტკიცებულებათა სიასთან ერთად, რომელთა წარდგენასაც ამ ბრალდების მხარდასაჭერად პროკურორი აპირებს სხდმის დროს.

5. როდესაც პროკურორი აპირებს სხდომაზე ახალი მტკიცებულების წარდგენას, ის წინასწარი სასამართლო წარმოების პალატას და პირს წარუდგენს ამგვარი მტკიცებულების ჩამონათვალს არაუგვიანეს 15 დღით ადრე სხდომის თარიღამდე.

6. თუ პირი აპირებს მტკიცებულების წარდგენას 61-ე მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, ის წინასწარი სასამართლო წარმოების პალატას ამგვარი მტკიცებულების სიას წარუდგენს არაუგვიანეს 15 დღით ადრე სხდომის თარიღამდე. წინასწარი სასამართლო წარმოების პალატა დაუყოვნებლივ გადასცემს სიას პროკურორს. პირი წარადგენს იმ მტკიცებულების სიას, რომლის წარდგენასაც ის აპირებს პროკურორის მიერ წარდგენილი შეცვლილი ბრალდების ან მტკიცებულებათა ახალი ჩამონათვალის საპასუხოდ.

7. პროკურორს ან პირს შეუძლია წინასწარი სასამართლო წარმოების პალატას სთხოვოს ბრალდების დადასტურების სხდომის თარიღის გადატანა. წინასწარი სასამართლო წარმოების პალატას ასევე შეუძლია საკუთარი ინიციატივით გამოიტანოს გადაწყვეტილება სხდომის გადადების შესახებ.

8. წინასწარი სასამართლო წარმოების პალატა არ განიხილავს დადგენილი ან გაგრძელებული ვადის გასვლის შემდეგ წარდგენილ ბრალდებასა და მტკიცებულებას.

9. პროკურორს და პირს შეუძლიათ წინასწარი სასამართლო წარმოების პალატას წარუდგინონ წერილობითი მასალები ფაქტისა და სამართლის საკითხებზე, მათ შორის 31-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის

გამომრიცხველ გარემოებებზე, არაუგვიანეს სამი დღით ადრე სხდომის თარიღამდე. ამ მასალების ასლი, საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, დაუყოვნებლივ გადაეცემა პროკურორს ან პირს.

10. სამდივნო ქმნის წინასწარი სასამართლო წარმოების პალატის მიერ განხილული საქმეების, მათ შორის ამ წესის თანახმად პალატისათვის გადაცემული ყველა დოკუმენტის, სრულ და ზუსტ ჩანაწერს, და აწარმოებს მის შენახვას. პროკურორს, პირს და დაზარლებულებს ან მათ კანონიერ წარმომადგენელს, რომელიც განხილვაში მონაწილეობს 89-ე, 90-ე და 91-ე წესების შესაბამისად, შეუძლით გაეცნონ ჩანაწერს, ეროვნულ უშიშროებასთან დაკავშირებული ინფორმაციის კონფიდენციალურობასთან და დაცვასთან დაკავშირებული ყველა შეზღუდვის დაცვის პირობით.

წესი 122
ბრალდების დადასტურების სხდომის პროცედურა ბრალდებული პირის თანდასწრებით

1. წინასწარი სასამართლო წარმოების პალატის თავმჯდომარე მოსამართლე სამდივნოს თანამშრომელს, რომელიც ეხმარება პალატას, სთხოვს ამოიკითხოს პროკურორის მიერ წარდგენილი ბრალდება. თავმჯდომარე მოსამართლე განსაზღვრავს, თუ როგორ წარიმართება სხდომა და, კერძოდ, შეუძლია დააწესოს ის თანრიგი და პირობები, რომელთა შესაბამისად, როგორც მას დაგეგმილი აქვს, წარდგენილი იქნება განხილვის ოქმში ჩართული მტკიცებულებები.

2. თუ წარმოიშობა იურისდიქციასთან ან მისაღებობასთან დაკავშირებული შეკითხვა ან პროტესტი, გამოიყენება 58-ე წესი.

3. საქმის არსებითი ნაწილის მოსმენამდე, წინასწარი სასამართლო წარმოების პალატის თავმჯდომარე მოსამართლე პროკურორს და პირს გამოკითხავს, აპირებენ თუ არა ისინი პროტესტის წამოყენებას ან შენიშვნების წარდგენას სასამართლო განხილვის სათანადო ჩატარებასთან დაკავშირებულ საკითხზე, ბრალდების დადასტურების თაობაზე სხდმის დაწყებამდე.

4. ამის შემდეგ, არ შეიძლება მე-3 ქვეწესის თანახმად წარდგენილი პროტესტისა და შენიშვნის განცხადება ან კვლავ წარდგენა დადასტურების სხდომის ან სასამართლო განხილვის დროს.

5. თუ წარდგენილია მე-3 ქვეწესში აღნიშნული პროტესტი ან შენიშვნა, წინასწარი სასამართლო წარმოების პალატის თავმჯდომარე მოსამართლე მე-3 ქვეწესში მოხსენებულ პირებს შესთავაზებს მათი არგუმენტების წარდგენას მის მიერ დადგენილი თანრიგით. პირს ექნება პასუხის უფლება.

6. თუ წარდგენილი პროტესტი ან შენიშვნა წარდმოადგენს მე-3 ქვეწესში მითითებულ პროტესტს ან შენიშვნას, წინასწარი სასამართლო წარმოების პალატა გადაწყვეტს საკითხს იმის თაობაზე, განიხილავს თუ არა ის მათ ბრალდებასთან და მტკიცებულებასთან ერთად თუ განაცალკევებს მათ; უკანასკნელ შემთხვევაში, პალატა გადადებს სხდომას ბრალდების დადასტურების თობაზე და გამოიტანს გადაწყვეტილებას წამოჭრილ საკითხებზე.

7. საქმის არსებითი ნაწილის განხილვის დროს, პროკურორი და პირი მათ არგუმენტებს წარადგენენ 61-ე მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების შესაბამისად.

8. წინასწარი სასამართლო წარმოების პალატა ნებას რთავს პროკურორს და პირს, ამ თანრიგით, წარადგინონ საბოლოო შენიშვნები.

9. 61-ე მუხლის დებულებათა გათვალისწინებით, მუხლი 69 გამოიყენება mutatis mutandis ბრალდების დადასტურების თაობაზე სხდომის დროს.

წესი 123
შესაბამისი პირის ბრალდების დადასტურების თაობაზე სხდომაზე დასწრების უზრუნველმყოფელი ზომები

1. როდესაც წინასწარი სასამართლო წარმოების პალატის მიერ პირის მიმართ გაცემულია დაკავების ორდერი ან ბრძანება სასამართლოში გამოცხადების შესახებ 58-ე მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად და ეს პირი დაკავებულია ან მას გადაეცემა ბრძანება სასამართლოში გამოცხადების შესახებ, წინასწარი სასამართლო წარმოების პალატა უზრუნველყოფს, რომ პირს ეცნობება 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის დებულებები.

2. წინასწარი სასამართლო წარმოების პალატას შეუძლია ჩაატაროს კონსულტაცია პროკურორთან, ამ უკანასკნელის თხოვნით ან საკუთარი ინიციატივით, იმის დადგენის მიზნით, არსებობს თუ არა ბრალდების დადასტურების თაობაზე სხდომის 61-ე მუხლის მე-2(b) პუნქტით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად ჩატარების საფუძველი. თუ შესაბამის პირს ემსახურება სასამართლოსათვის ცნობილი ადვოკატი, კონსულტაციები ჩატარდება ადვოკატის თანდასწრებით, თუ წინასწარი სასამართლო წარმოების პალატა სხვა გადაწყვეტილებას არ მიიღებს.

3. წინასწარი სასამართლო წარმოების პალატა უზრუნველყოფს შესაბამისი პირის მიმართ დაკავების ორდერის გაცემას და, თუ დაკავების ორდერი არ აღსრულდება ორდერის გაცემის შემდეგ გონივრული ვადის ფარგლებში, უზრუნველყოფს ყველა გონივრული ზომის მიღებას პირის ადგილსამყოფელის დადგენისა და დაკავებისათვის.

წესი 124
ბრალდების დადასტურების თაობაზე სხდომაზე დასწრების უფლებაზე უარის თქმა

1. თუ შესაბამისი პირი იმყოფება სასამართლოს განკარგულებაში, მაგრამ სურს უარი თქვას თავის უფლებაზე, დაესწროს სხდომას ბრალდების დადასტურების თაობაზე, ის წერილობითი თხოვნით მიმართავს წინასწარი სასამართლო წარმოების პალატას, რომელსაც შეუძლია ჩაატაროს კონსულტაციები პროკურორთან და შესაბამის პირთან, რომელსაც დახმარებას უწევს ან წარმოადგენს მისი ადვოკატი.

2. სხდომა ბრალდების დადასტურების თაობაზე 61-ე მუხლის მე-2(a) პუნქტის თანახმად შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც წინასწარი სასამართლო წარმოების პალატა დარწმუნებულია, რომ შესაბამის პირს შეგნებული აქვს სხდომაზე დასწრების უფლება და ამ უფლებაზე უარის თქმის შედეგები.

3. წინასწარი სასამართლო წარმოების პალატას შეუძლია პირს დართოს ნება ან მისცეს საშუალება, თვალყური ადევნოს სხდომას სასამართლო სხდომის დარბაზის ფარგლებს გარეთ კავშირის ტექნოლოგიების გამოყენებით, თუ არსებობს ამის საჭიროება.

4. სხდომაზე დასწრების უფლებაზე უარის თქმა ხელს არ უშლის წინასწარი სასამართლო წარმოების პალატას, მიიღოს წერილობითი შენიშვნები შესაბამისი პირისაგან პალატის განხილვის ქვეშ მყოფ საკითხებზე.

წესი 125
გადაწყვეტილება ბრალდების დადასტურების თაობაზე სხდომის შესაბამისი პირის დასწრების გარეშე ჩატარების შესახებ

1. 123-ე და 124-ე წესების თანახმად კონსულტაციების ჩატარების შემდეგ, წინასწარი სასამართლო წარმოების პალატა მიიღებს გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, არსებობს თუ არა ბრალდების დადასტურების თაობაზე სხდომის შესაბამისი პირის დაუსწრებლად ჩატარების მიზეზი, და, დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, შეიძლება თუ არა ეს პირი ადვოკატის მიერ იქნეს წარმოდგენილი. წინასწარი სასამართლო წარმოების პალატა, აუცილებლობის შემთხვევაში, განსაზღვრავს სხდომის თარიღს და საჯაროდ აცხადებს მას.

2. წინასწარი სასამართლო წარმოების პალატის გადაწყვეტილება ეცნობება პროკურორს და, თუ შესაძლებელია, შესაბამის პირს ან მის ადვოკატს.

3. თუ წინასწარი სასამართლო წარმოების პალატა მიიღებს გადაწყვეტილებას, არ ჩაატაროს სხდომა ბრალდების დადასტურების თაობაზე შესაბამისი პირის დაუსწრებლად და პირი სასამართლოს განკარგულებაში არ იმყოფება, სხდომა ბრალდების დადასტურების

თაობაზე არ ჩატარდება მანამ, სანამ პირი არ იქნება წარდგენილი სასამართლოს განკარგულებაში. წინასწარი სასამართლო წარმოების პალატას შეუძლია გადასინჯოს თავისი გადაწყვეტილება ნებისმიერ დროს, პროკურორის თხოვნით ან საკუთარი ინიციატივით.

4. თუ წინასწარი სასამართლო წარმოების პალატა მიიღებს გადაწყვეტილებას, არ ჩაატაროს სხდომა ბრალდების დადასტურების თაობაზე შესაბამისი პირის დაუსწრებლად და პირი სასამართლოს განკარგულებაში იმყოფება, პალატა გასცემს ბრძანებას პირის გამოცხადების შესახებ.

წესი 126
სხდომა ბრალდების დადასტურების თაობაზე შესაბამისი პირის დაუსწრებლად

1. 121-ე და 122-ე მუხლის დებულებები გამოიყენება mutatis mutandis შესაბამისი პირის დაუსრწებლად ბრალდების დადსტურების თაობაზე სხდომის მომზადებისა და ჩატარების მიმართ.

2. თუ წინასწარი სასამართლო წარმოების პალატა მიიღებს დადგენილებას იმის თაობაზე, რომ პირი წარმოდგენილი იქნება ადვოკატის მიერ, ადვოკატს ეძლევა ამ პირის უფლებების განხორციელების შესაძლებლობა.

3. თუ პირი, რომელიც გაიქცა, შემდგომში დაკავებულია და სასამართლომ დაადასტურა ის ბრალდება, რომლის საფუძველზეც პროკურორი აპირებს სასამართლო განხილვის ჩატარებას, ბრალდებული პირი გადაეცემა 61-ე მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად შექმნილ სასამართლო წარმოების პალატას. ბრალდებულ პირს შეუძლია წერილობით მოითხოვოს, რომ სასამართლო წარმოების პალატამ გადასცეს წინასწარი სასამართლო წარმოების პალატას ის საკითხები, რომლებიც აუცილებელია პალატის ეფექტური და სამართლიანი ფუნქციონირებისათვის 64-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად.

დანაყოფი VI
წინასწარი წარმოების სტადიის დასრულება

წესი 127
პროცედურა რამოდენიმე ბრალდებაზე სხვადასხვა გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში

თუ წინასწარი სასამართლო წარმოების პალატა მზადაა დაადსტუროს ზოგიერთი ბრალდება, მაგრამ 61-ე მუხლის მე-7(c) პუნქტის თანახმად გადადებს სხვა ბრალდებათა განხილვას, მას შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება, გადადოს შესაბამისი პირის გადაცემა სასამართლო წარმოების პალატის განკარგულებაში იმ ბრალდებასთან დაკავშირებით, რომელიც ის მზადაა დაადასტუროს, სხდომის გაგარძელებამდე. ამის შემდეგ წინასწარი სასამართლო წარმოების პალატას შეუძლია დააწესოს ვადა, რომლის განმავლობაშიც პროკურორს შეუძლია იმოქმედოს 61-ე მუხლის მე-7 პუნქტის (c) (i) ან (ii) ქვეპუნქტების თანახმად.

წესი 128
ბრალდების შეცვლა

1. თუ პროკურორი აპირებს უკვე დადასტურებული ბრალდების შეცვლას სასამართლო განხილვის დაწყებამდე 61-ე მუხლის თანახმად, პროკურორი წერილობითი თხოვნით მიმართავს წინასწარი სასამართლო წარმოების პალატას, და ეს პალატა აცნობებს ბრალდებულს.

2. ამგავრი ცვლილების ნებართვის თაობაზე გადაწყვეტილების გამოტანამდე, წინასწარი სასამართლო წარმოების პალატას შეუძლია ბრალდებულსა და პროკურორს მოსთხოვოს წერილობითი შენიშვნების წარდგენა ფაქტის ან სამართლის გარკვეულ საკითხებზე.

3. თუ წინასწარი სასამართლო წარმოების პალატა დაადგენს, რომ პროკურორის მიერ შემოთავაზებული ცვლილება წარმოადგენს ახალ ან უფრო სერიოზულ ბრალდებას, ის მოქმედებს, გარემოებების შესაბამისად, 121-ე და 122-ე წესის ან 123-126-ე წესების თანახმად.

წესი 129
შეტყობინება ბრალდების დადსტურების თაობაზე გადაწყვეტილების შესახებ

წინასწარი სასამართლო წარმოების პალატის გადაწყვეტილება ბრალდების დადასტურების და ბრალდებულის სასამართლო წარმოების პალატის განკარგულებაში გადაცემის თაობაზე ეცნობება, თუ შესაძლებელია, პროკურორს, შესაბამის პირს ან მის ადვოკატს. ამგავრი გადაწყვეტილება და სასამართლო განხილვის ოქმი გადაეცემა პრეზიდიუმს.

წესი 130
სასამართლო წარმოების პალატის შემადგენლობა

როდესაც პრეზიდიუმი ქმნის სასამართლო წარმოების პალატას და საქმეს გადასცემს მას, პრეზიდიუმი სასამართლო წარმოების პალატას გადასცემს წინასწარი სასამართლო წარმოების პალატის გადაწყვეტილებას და სასამართლო სხდომის ოქმს. პრეზიდიუმს ასევე შეუძლია საქმე გადასცეს წინათ შექმნილ სასამართლო წარმოების პალატას.

თარგმანი © გიორგი ჯოხაძე, 2003

თავი 6
სასამრთლო განხილვის პროცედურა

წესი 131
წინასწარი სასამართლო წარმოების პალატის მიერ გადაცემული სასამართლო განხილვის ოქმი

1. მდივანი ინახავს წინასწარი სასამართლო წარმოების პალატის მიერ 121-ე წესის მე-10 ქვეწესის თანახმად გადაცემულ სასამართლო განხილვის ოქმს.

2. ეროვნულ უშიშროებასთან დაკავშირებული ინფორმაციის კონფიდენციალურობისა და დაცვის მიმართ არსებული ნებისმიერი შეზღუდვების გათვალისწინებით, პროკურორს, დაცვას, სახელმწიფოთა წარმომადგენლებს, როდესაც ისინი მონაწილეობას იღებენ სასამართლო განხილვაში, ასევე დაზარალებულ პირებს ან მათ კანონიერ წარმომადგენლებს, რომლებიც მონაწილეობენ სასამართლო განხილვაში 89-ე, 90-ე და 91-ე წესების თანახმად, შეუძლიათ გაეცნონ ოქმს.

წესი 132
განმწესრიგებელი სხდომები

1. შექმინდან მოკლე ვადაში, სასამართლო წარმოების პალატა ატარებს განმწესრიგებელ სხდომას სასამართლო განხილვის თარიღის დადეგნის მიზნით. სასამართლო წარმოების პალატას, საკუთარი ინიციატივით ან პროკურორის ან დაცვის თხოვნით, შეუძლია გადადოს სასამართლო განხილვის თარიღი. სასამართლო წარმოების პალატა სასამართლო განხილვის თარიღს აცნობებს სასამართლო განხილვაში მონაწილე ყველა მხარეს. სასამართლო წარმოების პალატა უზრუნველყოფს ამ თარიღის და ნებისმიერი გადავადების გამოქვეყნებას.

2. სასამართლო განხილვის სამართლიანი და სწრაფი ჩატარების ხელშეწყობის მიზნით, სასამართლო წარმოების პალატას შეუძლია, აუცილებლობის შემთხვევაში, მოეთათბიროს მხარეებს განმწესრიგებელი სხდომის ჩატარების გზით.

წესი 133
პროტესტი მისაღებობისა და იურისდიქციის მიმართ

სასამართლოს იურისდიქციის ან საქმის მისაღებობის წინააღმდეგ მიმართული პროტესტები სასამართლო განხილვის დასაწყისში ან მის შემდეგ სასამართლო წარმოების პალატის ნებართვით განიხილება თავმჯდომარე მოსამართლისა და სასამართლო წარმოების პალატის მიერ 58-ე წესის შესაბამისად.

წესი 134
სასამართლო განხილვასთან დაკავშირებული შუამდგომლობა

1. სასამართლო განხილვის დაწყებამდე, სასამართლო წარმოების პალატას, საკუთარი ინიციატივით ან პროკურორის ან დაცვის თხოვნით, შეუძლია გამოიტანოს დადგენილება სასამართლო განხილვის ჩატარებასთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე. პროკურორის ან დაცვის თხოვნა შედგება წერილობით და, გარდა ex parte პროცედურის მოთხოვნის შემთხვევისა, გადაეცემა მეორე მხარეს. Ex parte პროცედურის მოთხოვნის გამოკლებით, მეორე მხარეს აქვს შესაძლებლობა წარადგინოს პასუხი ყველა თხოვნის მიმართ.

2. სასამართლო განხილვის დასაწყისში, სასამართლო წარმოების პალატა გამოკითხავს პროკურორს ან დაცვას, გააჩნიათ თუ არა მათ რაიმე წინააღმდეგობები ან შენიშვნები სასამართლო განხილვის ჩატარების მიმართ, რომლებიც მათ გაუჩნდათ ბრალდების დადასტურების თაობაზე სხდომის შემდეგ. ამგვარი წინააღმდეგობები ან შენიშვნები არ შეიძლება წამოყებეულ იქნეს ან კვლავ წარდგინდეს სასამრათლო განხილვის შემგდომი

თარგმანი © გიორგი ჯოხაძე, 2003

მსვლელობისას, ამ განხილვაში მონაწილე სასამართლო წარმოების პალატის ნებართვის გარეშე.

3. სასამართლო განხილვის დაწყების შემდეგ, სასამართლო წარმოების პალატას, საკუთარი ინიციატივით ან პროკურორის ან დაცვის თხოვნით, შეუძლია გამოიტანოს დადგენილება სასამართლო განხილვის მსვლელობისას წამოჭრილ საკითხებზე.

წესი 135
ბრალდებულის სამედიცინო შემოწმება

1. სასამართლო წარმოების პალატას შეუძლია, 64-ე მუხლის მე-8 (a) პუნქტით გათვალისწინებულ ვალდებულებათა შესრულების მიზნით, ან ნებისმიერი სხვა მიზეზის გამო, ან მხარის თხოვნის თანახმად, გასცეს განკარგულება ბრალდებულის სამედიცინო, ფსიქიატრიული ან ფსიქოლოგიური შემოწმების შესახებ 113-ე წესით გათვალისწინებული პირობების საფუძველზე.

2. სასამართლო წარმოების პალატა ოქმში მიუთითებს ნებისმიერი ამგვარი განკარგულების მიზეზებს.

3. სასამართლო წარმოების პალატა დანიშნავს ერთ ან რამოდენიმე ექსპერტს მდივნის მიერ დადასტურებულ ექსპერტთა სიიდან, ან მხარის თხოვნის საფუძველზე სასამართლო წარმოების პალატის მიერ დადასტურებულ ექსპერტს.

4. იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლო წარმოების პალატა დარწმუნებულია, რომ ბრალდებულს არ შეუძლია წარსდგეს სასამართლოს წინაშე, ის გასცემს დადგენილებას განხილვის გადადების შესახებ. სასამართლო წარმოების პალატას შეუძლია, საკუთარი ინიციატივით ან ბრალდების ან დაცვის თხოვნით, გადასინჯოს ბრალდებულის საქმე. ნებისმიერ შემთხვევაში, ბრალდებულის საქმე გადაისინჯება ყოველ 120 დღეს, თუ არ არსებობს ამის საწინააღმდეგო მიზეზები. სასამართლო წარმოების პალატას, აუცილებლობის შემთხვევაში, შეუძლია გასცეს დადგენილება ბრალდებულის შემდგომი შემოწმების თაობაზე. როდესაც სასამართლო წარმოების პალატა დარწმუნდება, რომ ბრალდებულს შეუძლია წარსდგეს სასამართლოს წინაშე, ის განაგრძობს განხილვას 132-ე წესის თანახმად.

წესი 136
ერთობლივი და განცალკევებული სასამართლო განხილვა

1. პირები, რომალთაც წარედგინებათ ერთობლივი ბრალდებები, გასამართლდებიან ერთობლივად, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც სასამართლო წარმოების პალატა, საკუთარი ინიციატივით ან პროკურორის ან დაცვის თხოვნით, გამოიტანს დადგენილებას იმის თაობაზე, რომ აუცილებელია ცალკეულ სასამართლო განხილვათა ჩატარება ბრალდებულისადმი სერიოზული ზიანის მიყენების თავიდან აცილების ან მართლმსაჯულების ინტერესების დაცვის მიზნით, ან იმის გამო, რომ ერობლივად ბრალდებულმა პირმა აღიარა ბრალი და მის წინააღმდეგ სისხლისსამართლებირვი დევნა შეიძლება წარიმართოს 65-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად.

2. ერთობლივი სასამართლო განხილვისას, ყოველ ბრალდებულს ეძლევა ისეთივე უფლებები, როგორც ბრალდებულის მიმართ ცალკეული სასამართლო განხილვის ჩატარებისას.

წესი 137
სასამართლო განხილვის ოქმი

1. 64-ე მუხლის მე-10 პუნქტის თაახმად, მდივანი იღებს ზომებს ყველა სასამართლო განხილვის სრული და ზუსტი ოქმის შედგენისა და შენახვისათვის, სტენოგრამების, აუდიო- და ვიდეოჩანაწერთა და ხმის ან გამოსახულების ჩამწერ სხვა საშუალებათა ჩათვლით.

2. სასამართლო წარმოების პალატას შეუძლია გასცეს განკარგულება დახურული სხდომის ოქმის მთლიანად ან ნაწილობრივ გამოქვეყნების თაობაზე, როდესაც აღარ არსებობს მის მიერ გაუხსნელობის შესახებ დადგენილების გაცემის მიზეზები.

3. სასამართლო წარმოების პალატას შეუძლია ნება დართოს მდივანის გარდა სხვა პირს, მოახდინოს სასამართლო განხილვის ფოტოგრაფირება, აუდიო- და ვიდეოჩაწერა ან ხმის ან გამოსახულების ჩამწერი სხვა საშუალებით ჩაწერა.

წესი 138
მტკიცებულების შენახვა

მდივანი მიიღებს და ინახავს, როდესაც ეს აუცილებელია, სხდომის დროს წარმოდგენილ ყველა მტკიცებულებას და სხვა მასალას, სასამართლო წარმოების პალატის ნებისმიერი დადგენილების გათვალისწინებით.

წესი 139
გადაწყვეტილება ბრალის აღიარების თაობაზე

1. 65-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად სასამართლო განხილვის ჩატარებისას, სასამართლო წარმოების პალატას, იმის განაწყვეტის მიზნით, განაგრძოს თუ არა სასამართლო განხილვა 65-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, შეუძლია შესთავაზოს პროკურორს და დაცვას მათი მოსაზრებების წარდგენა.

2. ამის შემდეგ, სასამართლო წარმოების პალატას გამოაქვს გადაწყვეტილება ბრალის აღიარების თაობაზე და მიუთითებს ამგვარი გადაწყვეტილების მიზეზებს, რომლებიც შეიტანება ოქმში.

წესი 140
მითითებები სასამართლო განხილვის წარმართვისა და ჩვენების მიღების შესახებ

1. თუ თავმჯდომარე მოსამართლე არ გასცემს მითითებებს 64-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, პროკურორი და დაცვა შეთანხმდებიან სასამართლო წარმოების პალატისადმი მტკიცებულების წარდგენის თანრიგისა და წესის თაობაზე. თუ შეთანხმება ვერ მიიღწევა, თავმჯდომარე მოსამართლე გასცემს მითითებებს.

2. ყველა შემთხვევაში, 64-ე მუხლის მე-8(b) და მე-9 პუნქტის და 69-ე მუხლის მე-4 პუნქტის, ასევე 88-ე წესის მე-5 ქვეწესის მოთხოვნათა დაცვით, მოწმის დაკითხვა შეიძლება შემდეგი წესის თანახმად:

(a) მხარეს, რომელიც წარადგენს მტკიცებულებას 69-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, მოწმის მეშვეობით, აქვს ამ მოწმის დაკითხვის უფლება;

(b) ბრალდებას და დაცვას აქვს უფლება, დაკითხოს ეს მოწმე მის მიერ მიცემული ჩვენების შესახებ და ამ ჩვენების სანდოობასთან, მოწმისადმი ნდობისა და საქმესთან დაკავშირებული სხვა საკითხების თაობაზე;

(c) სასამართლო წარმოების პალატას აქვს უფლება, დაკითხოს მოწმე მე-2 (a) და (b) ქვეწესებში აღნიშნული მონაწილის მიერ მოწმის დაკითხვამდე ან დაკითხვის შემდეგ;

(d) დაცვას აქვს უფლება, იყოს უკანასკნელი მოწმის დაკითხვის პროცესში.

3. თუ სასამართლო წარმოების პალატა სხვაგვარ განკარგულებას არ გასცემს, მოწმე, რომელსაც ჯერ არ მიუცია ჩვენება, ექსპერტის ან გამომძიებლის გარდა, არ ესწრება სხვა მოწმის მიერ ჩვენების მიცემას. ამასთანავე, მოწმეს, რომელმაც მოისმინა სხვა მოწმის ჩვენება, არ შეიძლება მხოლოდ ამ მიზეზით ჩამოერთვას ჩვენების მიცემის უფლება. როდესაც მოწმე აძლევს ჩვენებას მას შემდეგ, რაც მან მოისმინა სხვა მოწმის ჩვენება, ეს ფაქტი აღინიშნება

ოქმში და მხედველობაში მიიღება სასამართლო წარმოების პალატის მიერ მტკიცებულების შეფასებისას.

წესი 141
მტკიცებულების წარდგენის დასრულება და დასკვნითი განცხადებები

1. თავმჯდომარე მოსამართლე აცხადებს მტკიცებულების წარდგენის შეწყვეტის შესახებ.

2. თავმჯდომარე მოსამართლე შესთავაზებს პროკურორს და დაცვას, გააკეთონ დასკვნითი განცხადებები. დაცვას ყოველთვის აქვს უფლება, უკანასკნელმა გააკეთოს განცხადება.

წესი 142
თათბირი

1. დასკვნითი განცხადებების შემდეგ, სასამართლო წარმოების პალატა ტოვებს სხდომას in camera მოთათბირებისათვის. სასამართლო წარმოების პალატა აცნობებს სასამართლო განხილვაში მონაწილე ყველა პირს იმ თარიღს, რომელზედაც სასამართლო წარმოების პალატა გამოაცხადებს თავის გადაწყვეტილებას. გადაწყვეტილება გამოცხადდება გონივრულ ვადაში იმის შემდეგ, რაც სასამართლო წარმოების პალატამ დატოვა სხდომა მოთათბირებისათვის.

2. რამოდენიმე ბრალდების წარდგენის შემთხვევაში, სასამართლო წარმოების პალატას გამოაქვს გადაწყვეტილება თითოეული ბრალდების მიმართ. რამოდენიმე ბრალდებულის შემთხვევაში, სასამართლო წარმოების პალატას გამოაქვს გადაწყვეტილება თითოეული ბრალდებულის მიმართ წარდგენილი ბრალდებების თაობაზე.

წესი 143
საქმის დამატებითი მოსმენა სასჯელთან ან ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებულ საკითხებზე

76-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტის შესაბამისად, სასჯელთან და, შესაბამის შემთხვევაში, ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებულ საკითხებზე დამატებითი საქმის მოსმენის ჩატარების მიზნით, თავმჯდომარე მოსამართლე დანიშნავს საქმის დამატებითი მოსმენის თარიღს. განსაკუთრებულ გარემოებებში, საქმის მოსმენა შეიძლება გადატანილ იქნეს სასამართლო წარმოების პალატის მიერ საკუთარი ინიციატივით ან პროკურორის, დაცვის ან 89-91 წესების თანახმად სასამართლო განხილვაში მონაწილე დაზარალებულთა კანონიერი წარმომადგენლების თხოვნით, ასევე, ზიანის ანაზღაურების თაობაზე სამქის მოსმენის მიმართ, იმ დაზარალებულთა თხოვნით, რომელთაც მიმართეს თხოვნით 94-ე წესის თანახმად.

წესი 144
სასამართლო წარმოების პალატის მიერ გადაწყვეტილების გამოტანა

1. სასამართლო წარმოების პალატის გადაწყვეტილებები საქმის მისაღებობის, სასამართლოს იურისდიქციის, ბრალდებულის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის, სასჯელისა და ზიანის ანაზღაურების თაობზე საჯაროდ გამოცხადდება და, შესაძლებლობი ფარგლებში, ბრალდებულის, პროკურორის, დაზარალებულთა ან 89-91 წესების თანახმად სასამართლო განხილვაში მონაწილე დაზარალებულთა კანონიერი წარმომადგენლების, ასევე სასამართლო განხილვაში მონაწილე სახელმწიფოთა წარმომადგენელთა თანდასწრებით.

2. ყველა ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების ასლი რაც შეიძლება მალე გადაეცემა:

(a) ყველა პირს, რომელმაც მონაწილება მიიღო სასამართლო განხილვაში, სასამართლოს სამუშაო ენაზე;

თარგმანი © გიორგი ჯოხაძე, 2003

(b) ბრალდებულს, იმ ენაზე, რომელსაც ის სრულად გებულობს ან საუბრობს, თუ საჭიროა 67-ე მუხლის 1(f) პუნქტით გათვალისწინებული სამართლიანობის მოთხოვნების დაკმაყოფილება.

თარგმანი © გიორგი ჯოხაძე, 2003

თავი 7
სასჯელი

წესი 145
სასჯელის განსაზღვრა

1. 78-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად სასჯელის განსაზღვრისას, სასამართლო:

(a) გაითვალისწინებს, რომ 77-ე მუხლის თანახმად დაკისრებული თავისუფლების აღკვეთისა და ჯარიმის სახით სასჯელის ერთობლიობა, საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, უნდა ასახავდეს მსჯავრდებულის ბრალეულობას;

(b) თანაბრად გაითვალისწინებს ყველა შესაბამის ფაქტორს, მათ შორის ნებისმიერი შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს, და მხედველობაში მიიღებს როგორც დამნაშავის პირად გარემოებებს, ისე დანაშაულის გარემოებებსაც;

(c) 78-ე მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული ფაქტორების გარდა, მხედველობაში მიიღებს, inter alia, მიყენებული ზარალის ოდენობას, კერძოდ, დაზარლებულთა და მათი ოჯახების მიმართ მიყენებულ ზიანს, კანონსაწინააღმდეგო ქმედების ხასიათს და დანაშაულის ჩადენის საშუალებებს; მსჯავრდებული პირის მონაწილეობის ხარისხს; განზრახვის ხარისხს; დანაშაულის ჩადენის ხერხთან, დროსა და ადგილთან დაკავშირებულ ფაქტორებს; ასევე მსჯავრედებულის ასაკს, განათლებასა და სოცალურ და ეკონომიკურ მდგომარეობას.

2. ზემოაღნიშნული ფაქტორების გარდა, სასამართლო, შესაბამისად, მხედველობაში მიიღებს:

(a) შემამსუბუქებელ გარემოებებს, როგორიცაა:

(i) გარემოებები, როლებიც არ არის საკმარისი წარმოადგენდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამომრიცხველ გარემოებებს, როგორიცაა არსებითად დაქვეითებული გონებირივი უნარიანობა ან იძულება;

(ii) მსჯავრდებული პირის ქცევა ქმედების ჩადენის შემდეგ, მათ შორის პირის მიერ დაზარელუბული პირებისადმი ზიანის ანაზღაურების ნებისმიერი მცდელობა და ნებისმიერი თანამშორმლობა სასამართლოსთან;

(b) როგორც დამამძიმებელ გარემოებეს:

(i) ნებისმიერ შესაბამის ნასამართლეობას სასამართლოს იურისდიქციაში შემავალი ან ანალოგიური ხასიათის დანაშაულებისათვის;

(ii) ხელისუფლების ან თანამდებობის ბოროტად გამოყენებას;

(iii) დანაშაულის ჩადენას იმ პირობებში, როდესაც დანაშაულის მსხვერპლი განსაკუთრებით უმწეო მდგომარეობაში იმყოფება;

(iv) დანაშაულის ჩადენას განსაკუთრებული სისასტიკით ან დაზარალებულთა დიდი რაოდენობის მიმართ;

(v) დანაშაულის ჩადენას 21-ე მუხლის მე-3 პუნქტში აღნიშნულ ნებისმიერ საფუძველზე დისკრიმინაციასთან დაკავშირებული ნებისმიერი მოტივით;

(vi) სხვა გარემოებებს, რომლებიც არ არის ზემოთ ჩამოთვლილი, მაგრამ თავისი ხასიათით აღნიშნულის ანალოგიურია.

3. თავისუფლების უვადო აღკვეთა შეიძლება დაინიშნოს, როდესაც ეს გამართლებულია დანაშაულის განსაკუთრებული სიმძიმით და მსჯავრდებულის პირადი გარემოებებით, რაც დამტკიცებულია ერთი ან რამოდენიმე დამამძიმებელი გარემოების არსებობით.

წესი 146
ჯარიმის დაკისრება 77-ე მუხლის შესაბამისად

თარგმანი © გიორგი ჯოხაძე, 2003

1. 77-ე მუხლის მე-2(a) პუნქტის თანახმად ჯარიმის დაკისრების აუცილებლობის განსაზღვრისა და ჯარიმის ოდენობის დადგენისას, სასამართლო განსაზღვრავს, წარმოადგენს თუ არა თავისუფლების აღკვეთა საკმარის სასჯელს. სასამართლო შესაბამისად მხედველობაში მიიღებს მსჯავრდებული პირის ფინანსურ შესაძლებლობებს, მათ შორის 77-ე მუხლის მე-2(b) პუნქტის შესაბამისად გაცემულ ბრძანებას კონფისკაციის შესახებ, და, შესაბამისად, ნებისმიერ დადგენილებას ზიანის ანაზღაურების თაობაზე 75-ე მუხლის შესაბამისად. სასამართლო გაითვალისწინებს, 145-ე წესში აღნიშნული ფაქტორების გარდა, იყო თუ არა და რამდენად იყო დანაშაული მოტივირებული პირადი ფინანსური სარგებელის მიღებით.

2. 77-ე მუხლის მე-2(a) პუნქტის თანახმად დაკისრებული ჯარიმა დადგინდება შესაბამისი ოდენობით. ამ მიზნით, სასამართლო, ზემოაღნიშნული ფაქტორების გარდა, გაითვალისწინებს, კერძოდ, მიყენებულ ზარალს და ზიანს, ასევე დანაშაულის ჩადენის შედეგად დამნაშავის მიერ მიღებულ შესაბამის სარგებელს. ჯარიმის საერთო ოდენობა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება აღემატებოდეს პირის დადგენილი ლიკვიდური ან რეალიზებული აქტივებისა და ქონების 75 პროცენტს, იმ შესაბამისი თანხის გამოკლების შემდეგ, რომელიც საკმარისია მსჯავრდებულის და მასზე დამოკიდებული პირების ფინანსური მოთხოვნილებებისათვის.

3. ჯარიმის დაკისრებისას, სასამართლო მსჯავრდებულს მისცემს ჯარიმის გადახდის გონივრულ ვადას. სასამართლოს შეუძლია გაითვალისწინოს ამ ვადის განმავლობაში თანხის მთლიანად ან ნაწილებით გადახდა.

4. ჯარიმის დადგენისას, სასამართლოს, ერთ-ერთი ვარიანტის სახით, შეუძლია გამოთვალოს ჯარიმა დღიური გადასახდების სისტემის საფუძველზე. ამ შემთხვევაში, მინიმალური ხანგრძლივობა შეადგენს 30 დღეს და მაქსიმალური ხანგრძლივობა – 5 წელიწადს. სასამართლო მიიღებს გადაწყვეტილებას თანხის სრულ ოდენობაზე პირველი და მე-2 ქვეწესების შესაბამისად. ის დაადგენს დღიური გადასახადის ოდენობას მსჯავრდებულის პირადი გარემოებების, ასევე მასზე დამოკიდებული პირების ფინანსური მოთხოვნილებების გათვალისწინებით.

5. თუ მსჯავრდებული პირი არ იხდის ზემოაღნიშნული პირობების თანახმად დაკისრებულ ჯარიმას, სასამართლოს შეუძლია მიიღოს შესაბამისი ზომები 217-222-ე წესების თანახმად და 109 მუხლის შესაბამისად. თანხის არაერთხელ და განხზრახ გადაუხდელობის შემთხვევაში, თუ პრეზიდიუმი, საკუთარი ინიციატივით ან პროკურორის თხოვნით, დარწმუნდება, რომ ყველა შესაძლებელი აღსრულების ზომა ამოწურულია, მას შეუძლია, უკანასკნელი ზომის სახით, განაგრძოს თავისუფლების აღკვეთის ვადა ამ ვადის ერთი მეოთხედით ან ერთი წლით, რაც დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელი ვადა არის ნაკლები. განგრძობის ამგვარი ვადის განსაზღვრისას, პრეზიდიუმი მხედველობაში მიიღებს დაკისრებული და გადახდილი ჯარიმის ოდენობას. ნებისმიერი ამგვარი განგრძობა არ გამოიყენება თავისუფლების უვადო აღკვეთის შემთხვევაში. განგრძობამ არ შეიძლება შედეგად მოიტანოს თავისუფლების აღკვეთის მთლიანი ვადა 30 წელზე მეტი ოდენობით.

6. განგძობის შესახებ გადაწყვეტილების გამოტანის აუცილებლობის და შესაბამისი ვადის განსაზღვრის მიზნით, პრეზიდიუმი ატარებს in camera სხდომას მსჯავრდებული პირისა და პროკურორის მოსაზრებათა მოსმენის მიზნით. მსჯავრდებულ პირს აქვს უფლება, ისარგებლოს ადვოკატის დახმარებით.

7. ჯარიმის დადგენისას, სასამართლო გააფრთხილებს მსჯავრდებულ პირს იმის თაობაზე, რომ ზემოაღნიშნული პირობების შესაბამისად ჯარიმის გადაუხდელობას შეუძლია შედეგად მოიტანოს თავისუფლების აღკვეთის ვადის განგრძობა, როგორ ეს აღწერილია ამ წესში.

წესი 147
ბრძანება კონფისკაციის თაობაზე

1. 76-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების და 63-ე წესის პირველი ქვეწესის, ასევე 143-ე წესის შესაბამისად, საქმის მოსმენისას, რომელზედაც განიხილება ბრძანება კონფისკაციის თაობაზე, პალატა მოისმენს მტკიცებულებას, რომელიც დაკავშირებულია დანაშაულის ჩადენიდან პირდაპირი ან არაპირდაპირი გზით მიღებული გარკვეული მოგების, ქონების ან აქტივების იდენიტიფიკაციასა და ადგილმდებარეობასთან.

თარგმანი © გიორგი ჯოხაძე, 2003

2. თუ საქმის მოსმენადმე ან მისი მსვლელობისას პალატა გაიგებს ნებისმიერი bona fide მხარის არსებობის თაობაზე, რომელსაც სავარაუდოდ გააჩნია ინტერესი შესაბამისი მოგების, ქონების ან აქტივების მიმართ, პალატა აცნობებს ამ მესამე მხარეს.

3. პროკურორს, მსჯავრდებულ პირს და ნებისმიერ bona fide მხარეს, რომელსაც გააჩნია ინტერესი შესაბამისი მოგების, ქონების ან აქტივების მიმართ, შეუძლია წარადგინოს ამ საკითხთან დაკავშირებული მტკიცებულება.

4. ნებისმიერი წარდგენილი მტკიცებულების განხილვის შემდეგ, პალატას შეუძლია გასცეს ბრძანება გარკვეული მოგების, ქონების ან აქტივების კონფისკაციის თაობაზე, თუ ის დარწმუნდება, რომ ამგავრი მოგება, ქონება ან აქტივები პირდაპირი ან არაპირდაპირი გზითაა მიღებული დანაშაულის ჩადენიდან.

წესი 148
ბრძანება ჯარიმის ან კოფისკაციაქმნილი ქონების მიზნობრივი ფონდისადმი გადაცემის თაობაზე

79-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად ბრძანების გაცემამდე, პალატას შეუძლია სთხოვოს ფონდის წარმომადგენლებს წერილობითი ან ზეპირი მოსაზრებების წარდგენა.

თარგმანი © გიორგი ჯოხაძე, 2003

თავი 8
გასაჩივრება და გადასინჯვა

დანაყოფი I
ზოგადი დებულებები

წესი 149
სააპელაციო პალატაში სასამართლო განხილვის წესები

მე-5 და მე-6 ნაწილის დებულებები, ასევე წინასწარი სასამართლო წარმოების პალატაში და სასამართლო წარმოების პალატაში სამართლო განხილვისა და მტკიცებულების წარდგენის წესები გამოიყენება mutatis mutandis სააპალციო პალატაში სასამართლო განხილვის მიმართ.

დანაყოფი II
დამნაშავედ ცნობის შესახებ გადაყვეტილების, გამამრთლებელი გადაყვეტილების, სასჯელისა და ზიანის ანაზღაურების შესახებ დადგენილების გასაჩივრება

წესი 150
გასაჩივრება

1. მე-2 ქვეწესის მოთხოვნათა გათვალისწინებით, აპელაცია 74-ე მუხლის თანახმად გამოტანილი დამნაშავედ ცნობის შესახებ გადაწყვეტილების ან გამამრთლებელი გადაწყვეტილების მიმართ, ასევე 76-ე მუხლის თანახმად დადგენილი სასჯელის ან 75-ე მუხლის თანახმად მიღებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე დადგენილების მიმართ შეიძლება გადაცემულ იქნეს არაუგვიანეს 30 დღისა იმ თარიღიდან, რომელზედაც აპელაციის წარმომდგენ მხარეს ეცნობება გადაწყვეტილების, განაჩენის ან ზიანის ანაზღაურების თაობაზე დადგენილების შესახებ.

2. სააპელაციო პალატას შეუძლია განაგრძოს პირველი ქვეწესით გათვალისწინებული ვადა, გონივრული საფუძველის არსებობისას, იმ მხარის განცხადებით, რომელიც აპირებს გასაჩივრებას.

3. აპელაცია მიეწოდება მდივანს.

4. თუ აპელაცია არ მიეწოდება პირველი, მე-2 და მე-3 ქვეწესწების შესაბამისად, სასამართლო პალატის გადაწყვეტილება, განაჩენი ან დადგენილება ზიანის ანაზღაურების შესახებ საბოლოოდ შედის კანონიერ ძალაში.

წესი 151
გასაჩივრების პროცედურა

1. 150-ე წესის შესაბამისად აპელაციის მიწოდებისთანავე, მდივანი გადასცემს სასამართლო განხილვის ოქმს სააპელაციო პალატას.

2. მდივანი შეატყობინებს სასამართლო წარმოების პალატის წინაშე სასამართლო განხილვაში მონაწილე ყველა მხარეს იმის თაობაზე, რომ მიწოდებულ იქნა აპელაცია.

წესი 152
გასაჩივრების შეწყვეტა

1. ნებისმიერ მხარეს, რომელმაც მიაწოდა აპელაცია, შეუძლია შეწყვიტოს გასაჩივრება ნებისმიერ დროს გადაწყვეტილების გამოტანამდე. ამ შემთხვევაში, მხარე მდივანს მიაწოდებს წერილობით შეტყობინებას გასაჩივრების შეწყვეტის თაობაზე. მდივანი აცნობებს დანარჩენ მხარეებს ამგავრი შეტყობინების მიწოდების თაობაზე.

2. თუ პროკურორმა მიაწოდა აპელაცია დამნაშავედ ცნობილი პირის სახელით 81-ე მუხლის

თარგმანი © გიორგი ჯოხაძე, 2003

1(b) პუნქტის შესაბამისად, გასაჩივრების შეწყვეტის თაობაზე ნებისმიერი შეტყობინების მიწოდებამდე, პროკურორი აცნობებს დამნაშავედ ცნობილ პირს იმის თაობაზე, რომ ის აპირებს გასაჩივრების შეწყვეტას, იმ მიზნით, რომ მისცეს დამნაშავედ ცნობილ პირს გასაჩივრების პროცესის გაგრძელების საშუალება.

წესი 153
გადაწყვეტილება ზიანის ანაზღაურების შესახებ დადგენილების გასაჩივრების თაობაზე

1. სააპელაციო პალატას შეუძლია დაადასტუროს, გააუქმოს ან შეცვალოს 75-ე მუხლის თანახმად მიღებული დადგენილება ზიანის ანაზღაურების თაობაზე.

2. სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება მიიღება 83-ე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების შესაბამისად.

დანაყოფი III
სხვა გადაწყვეტილების გასაჩივრება

წესი 154
აპელაცია, რომელიც არ საჭიროებს სასამართლოს ნებართვას

1. აპელაცია შეიძლება მიწოდებულ იქნეს 81-ე მუხლის მე-3 (c) (ii) პუნქტის ან 82-ე მუხლის 1(a) ან (b) პუნქტის თანახმად არაუგვიანეს ხუთი დღისა იმ თარიღიდან, რომელზედაც გადაწყვეტილება ეცნობება აპელაციის მიმწოდებელ მხარეს.

2. აპელაცია შეიძლება მიწოდებულ იქნეს 82-ე მუხლის 1(c) პუნქტის თანახმად არაუგვიანეს ორი დღისა იმ თარიღიდან, რომელზედაც გადაწყვეტილება ეცნობება აპელაციის მიმწოდებელ მხარეს.

3. 150-ე წესის მე-3 და მე-4 ქვეწესები გამოიყენება ამ წესის პირველი და მე-2 ქვეწესის თანახმად მიწოდებული აპელაციის მიმართ.

წესი 155
აპელაცია, რომელიც საჭიროებს სასამართლოს ნებართვას

1. როდესაც მხარეს სურს გაასაჩივროს გადაწყვეტილება 82-ე მუხლის 1(d) პუნქტის ან 82-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ეს მხარე, მისთვის ამ გადაწყვეტილების შეტყობინებიდან ხუთი დღის ვადაში, წერილობითი განცხადებით მიმართავს გადაწყვეტილების გამომტან პალატას, გასაჩივრების ნებართვის თხოვნის მიზეზების მითითებით.

2. პალატას გამოაქვს გადაწყვეტილება და აცნობებს ყველა მხარეს, რომელმაც მონაწილეობა მიიღო იმ სასამართლო განხილვაში, რომელსაც მოჰყვა პირველ ქვეწესში აღნიშნული გადაწყვეტილების გამოტანა.

წესი 156
გასაჩივრების პროცედურა

1. როგორც კი მიეწოდება აპელაცია 154-ე წესის თანახმად ან როგორც კი გაცემულ იქნა გასაჩივრების ნებართვა 155-ე წესის თანახმად, მდივანი სააპელაციო პალატას გადასცემს იმ პალატის სასამართლო განხილვის ოქმს, რომელმაც გამოიტანა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

2. მდივანი შეატყობინებს აპელაციას ყველა მხარეს, რომელმაც მონაწილეობა მიიღო გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამომტანი პალატის წინაშე სასამართლო განხილვაში, თუ მათ უკვე არ ეცნობა პალატის მიერ 155-ე წესის მე-2 ქვეწესის თანახმად.

3. სააპელაციო სასამართლო განხილვა ტარდება წერილობით, თუ სააპელაციო პალატა არ

თარგმანი © გიორგი ჯოხაძე, 2003

მიიღებს გადაწყვეტილებას საქმის მოსმენის ჩატარების შესახებ.

4. აპელაცია განიხილება რაც შეიძლება მალე.

5. აპელაციის მიწოდებისას, აპელაციის მიმწოდებელ მხარეს შეუძლია ითხოვოს, რომ აპელაციას შედეგად მოჰყვეს სასამართლო განხილვის შეჩერება 82-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად.

წესი 157
გასაჩივრების შეწყვეტა

ნებისმიერ მხარეს, რომელმაც მიაწოდა აპელაცია 154-ე წესის შესაბამისად ან რომელმაც პალატისაგან მიიღო გადაწყვეტილების გასაჩირების ნებართვა 155-ე წესის თანახმად, შეუძლია შეწყვიტოს გასაჩივრება ნებისმიერ დროს გადაწყვეტილების გამოტანამდე. ამ შემთხვევაში, მხარე მდივანს მიაწოდებს შეტყობინებას გასაჩივრების შეჩერების თაობაზე. მდივანი დანარჩენ მხარეებს აცნობებს ამგავრი შეტყობინების მიწოდებას.

წესი 158
გადაწყვეტილება აპელაციის თაობაზე

1. სააპელაციო პალატას, რომელიც იხილავს ამ დანაყოფში აღნიშნულ აპელაციას, შეუძლია დაადასტუროს, გააუქმოს ან შეცვალოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

2. სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება გამოიტანება 83-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად.

დანაყოფი IV
განაჩენის ან სასჯელის გადასინჯვა

წესი 159
თხოვნა გადასინჯვის თაობაზე

1. 84-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული თხოვნა გადასინჯვის თაობაზე მიეწოდება წერილობით და მიუთითებს გადასინჯვის თხოვნის მიზეზებს. შეძლებისდაგვარად, მას თან ახლავს მხარდამჭერი მასალა.

2. დადგენილება იმის თაობაზე, თუ რამდენად ექვემდებარება თხოვნა განხილვას, მიიღება სააპელაციო პალატის მოსამართლეთა უმრავლესობით და თან ერთვის დადგენილების მიზეზების წერილობითი აღწერა.

3. შეტყობინება გადაწყვეტილების შესახებ ეგზავნება თხოვნის მიმწოდებელ პირს და, რამდენადაც ეს შესაძლებელია, ყველა მხარეს, რომელმაც მიიღო მონაწილეობა იმ სასამართლო განხილვაში, რომელზედაც გამოტანილ იქნა თავდაპირველი გადაწყვეტილება.

წესი 160
ტრანსპორტირება გადასინჯვის მიზნით

1. 161-ე წესით გათვალისწინებული საქმის მოსმენის ჩატარების მიზნით, შესაბამისი პალატა გასცემს ბრძანებას წინასწარ იმ ვადაში, რომელიც, შესაბამის შემთხვევაში, შესაძლებელს გახდის მსჯავრდებული პირის სასამართლოს ადგილსამყოფელში ტრანსპორტირებისათვის.

2. სასამართლოს დადგენილება დაუყოვნებლივ გადაეცემა განაჩენის აღმსრულებელ სახელმწიფოს.

3. გამოიყენება 206-ე წესის მე-3 ქვეწესის დებულებები.

თარგმანი © გიორგი ჯოხაძე, 2003

წესი 161
დადგენილება გადასინჯვის თაობაზე

1. შესაბამისი პალატა, იმ თარიღზე, რომელსაც ის დაადგენს და შეატყობინებს თხოვნის მიმწოდებელ პირს და ყველა პირს, რომელმაც მიიღო შეტყობინება 159-ე წესის მე-3 ქვეწესის თანახმად, ატარებს საქმის მოსმენას გამამტყუნებელი განაჩენის ან სასჯელის გადასინჯვის აუცილებლობის დადგენის მიზნით.

2. საქმის მოსმენის ჩატარებისათვის, შესაბამისი პალატა განახორციელებს, mutatis mutandis, სასამართლო წარმოების პალატის ყველა უფლებამოსილებას მე-6 ნაწილის თანახმად, ასევე წინასწარი სასამართლო წარმოების პალატაში და სასამართლო წარმოების პალატაში სასამართლო განხილვისა და მტკიცებულების წარდგენის მარეგულირებელი წესების თანახმად.

3. დადგენილება გადასინჯვის თაობაზე რეგულირდება 83-ე მუხლის მე-4 პუნქტის გამოყენებადი დებულებებით.

თარგმანი © გიორგი ჯოხაძე, 2003

თავი 9
სასამართლოს წინააღმდეგ მიმართული სამართალდარღვევები და მისდამი უპატივცემულობა

დანაყოფი I
მართლმსაჯულების წინააღმდეგ მიმართული სამართალდარღვევები 70-ე მუხლის თანახმად

წესი 162
იურისდიქციის განხორციელება

1. სასამართლოს, იმ გადაწყვეტილების მიღებამდე, განახორციელოს თუ არა იურისდქცია, შეუძლია ჩააროს კონსულტაცია მონაწილე სახელმწიფოებთან, რომელთაც შეიძლება გააჩნდეთ იურისდიქცია სამართალდარღვევის მიმართ.

2. სასამართლოს, იმის გადაწყვეტისას, განახორციელოს თუ არა იურისდქცია, შეუძლია გაითვალისწინოს, კერძოდ:

(a) მონაწილე სახელმწიფოში სისხლისსამართლებრივი დევნის წარმოების შესაძლებლობა და ეფექტურობა;

(b) სამართალდარღვევის სერიოზულობა;

(c) 70-ე მუხლით და მე-5, მე-6, მე-7 და მე-8 მუხლებით გათვალისწინებული ბრალდებების გაერთიანების შესაძლებლობა;

(d) სასამართლო განხილვის სწრაფად ჩატარების აუცილებლობა;

(e) კავშირი მიმდინარე გამოძიებასა ან სასამართლოს მიერ საქმის განხილვასთან;

(f) მტკიცებულებასთან დაკავშირებული მოსაზრებები.

3. სასამართლო დადებითად განიხილავს თხოვნას მასპინძელი სახელმწიფოსაგან სასამართლოს მიერ საქმის მიმართ იურისდიქციის განხორციელებაზე უარის თქმის თაობაზე, როდესაც მასპინძელი სახელმწიფო ამგვარ უარის თქმას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს.

4. თუ სასამართლო გამოიტანს გადაწყვეტილებას, არ განახორციელოს თავისი იურსიდიქცია, მას შეუძლია მონაწილე სახელმწიფოს მოსთხოვოს, განახორციელოს იურსიდიქცია 70-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად.

წესი 163
წესდებისა და წესების გამოყენება

1. თუ სხვრაგვარად არ არის გათვალისწინებული 162-ე წესის მე-2 და მე-3 ქვეწესებითა და 164-169-ე წესებით, წესდება და წესები გამოიყენება, mutatis mutandis, 70-ე მუხლით გათვალისწინებული დარღვევების სასამართლოს მიერ გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნისა და სასჯელის შეფარდებისას.

2. მე-2 ნაწილის დებულებები, ასევე მასთან დაკავშრებული წესები, არ გამოიყენება, 21-ე მუხლის გამოკლებით.

3. მე-10 ნაწილის დებულებები, ასევე მასთან დაკავშრებული წესები, არ გამოიყენება, 103-ე, 107-ე, 109-ე და 111-ე მუხლების გამოკლებით.

წესი 164
ხანდაზმულობის ვადა

თარგმანი © გიორგი ჯოხაძე, 2003

1. თუ სასამართლო განახორციელებს იურისდიქციას 162-ე წესის შესაბამისად, ის გამოიყენებს ამ წესით გათვალისწინებულ ხანდაზმულობის ვადებს.

2. 70-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევების მიმართ გამოიყენება ხანდაზმულობის ვადა ხუთი წლის ოდენობით იმ თარიღიდან, როდესაც სამართალდარღვევა ჩადენილ იქნა, იმ პირობით, რომ ამ ვადის განმავლობაში არ იქნა აღძრული გამოძიება ან სისხლისსამართლებრივი დევნა. ხანდაზმულობის ვადა წყდება, თუ ამ ვადის დენისას აღძრულ იქნა გამოძიება ან სისხლისსამართლებრივი დევნა სასამართლოს ან იმ მონაწილე სახელმწიფოს მიერ, რომელსაც გააჩნია იურისდიქცია საქმის მიმართ 70-ე მუხლის მე-4(a) პუნქტის თანახმად.

3. იმ სასჯელების აღსრულებაზე, რომელიც შეფარდებულ იქნა 70-ე მუხლით განსაზღვრული დარღვევების მიმართ, გამოიყენება ხანდაზმულობის ვადა 10 წლის ოდენობით იმ თარიღიდან, როდესაც სასჯელი შევიდა კანონიერ ძალაში. ხანდაზმულობის ვადა წყდება დამნაშავედ ცნობილი პირის დაკავების მომენტიდან ან თუ დამნაშავედ ცნობილი პირი იმყოფება მონაწილე სახელმწიფოთა ტერიტორიის ფარგლებს გარეთ.

წესი 165
გამოძიება, სისხლისსამართლებრივი დევნა და სასამართლო განხილვა

1. პროკურორს შეუძლია აღძრას და ჩაატაროს გამოძიება 70-ე მუხლით განსაზღვრული სამართალდარღვევების მიმართ, საკუთარი ინიციატივით, პალატისაგან ან სხვა სანდო წყაროდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

2. 53-ე და 59-ე მუხლები, ასევე მათთან დაკავშირებული ნებისმიერი წესები, არ გამოიყენება.

3. 61-ე მუხლის მიზნებისათვის, წინასწარი სასამართლო განხილვის პალატას შეუძლია გამოტანოს ამ მუხლით გათვალისწინებული ნებისმიერი დადგენილება, წერილობითი წარდგინებების საფუძველზე, საქმის მოსმენის ჩატარების გარეშე, თუ მართლმსაჯულების ინტერესები არ მოითხოვს სხვაგვარად მოქცევას.

4. სასამართლო პალატას შეუძლია, შესაბამის შემთხვევაში და დაცვის უფლებების დაცვით, გამოიტანოს დადგენილება 70-ე მუხლით გათვალისწინებულ ბრალდებათა მე-5, მე-6, მე-7 და მე-8 მუხლებით გათვალისწინებულ ბრალდებებთან გაერთიანების თაობაზე.

წესი 166
სასჯელი 70-ე მუხლის თანახმად

1. თუ სასამართლო დანიშნავს სასჯელს 70-ე მუხლის თანახმად, გამოიყენება ეს წესი.

2. 77-ე მუხლი და მასთან დაკავშირებული ნებისმიერი წესი არ გამოიყენება, 77-ე მუხლის მე-2(b) პუნქტის თანახმად კონფისკაციის შესახებ დადგენილების გამოკლებით, რომელიც შეიძლება დაინიშნოს თავისუფლების აღკვეთისა ან ჯარიმის დამატებით ან ორივესთან ერთად.

3. ყოველი სამართალდარღვევა შეიძლება ცალკე დაჯარიმდეს, და ეს ჯარიმები შეჯამებულ იქნეს. არავითარ შემთხვევაში მთლიანი ოდენაობა არ შეიძლება აღემატებოდეს დამნაშავედ ცნობილი პირის კონკრეტული ლიკვიდური ან რეალიზებადი აქტივებისა და ქონების ღირებულების 50 პროცენტს, იმ შესაბამისი თანხის გამოკლებით, რომელიც საკმარისია დამნაშავედ ცნობილი პირის და მასზე დამოკიდებული პირების ფინანსური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.

4. ჯარიმის დაკისრებისას, სასამართლო დამნაშავედ ცნობილ პირს მისცემს ჯარიმის გადახდის გონივრულ ვადას. სასამართლოს შეუძლია დაადგინოს თანხის ერთიანად ან ნაწილებით გადახდა ამ ვადის განმავლობაში.

თარგმანი © გიორგი ჯოხაძე, 2003

5. თუ დამნაშავედ ცნობილი პირი არ გადაიხდის მე-4 ქვეწესით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად დაკისრებულ ჯარიმას, სასამართლოს შეუძლია მიიღოს შესაბამისი ზომები 217-22-ე წესებისა და 109-ე მუხლის თანახმად. როდესაც სასამართლო, არაერთხელ და განზრახ გადაუხდელობის შემთხვევაში, საკუთარი ინიციატივით ან პროკურორის თხოვნით, დარწმუნდება, რომ ყველა შესაძლო აღსრულების ზომა ამოწურულია, მას შეუძლია, უკანასკნელი ზომის სახით, შეუფარდოს თავისუფლების აღკვეთა 70-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად. თავისუფლების აღკვეთის ამგვარი ვადის განსაზღვრისას, სასამართლო მხედველობაში მიიღებს გადახდილი ჯარიმის ოდენობას.

წესი 167
საერთაშორისო თანამშრომლობა და სასამართლო დახმარება

1. 70-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევების მიმართ, სასამართლოს შეუძლია სახელმწიფოს სთხოვოს საერთაშორისო თანამშრომლობა ან სასამართლო დახმარების ნებისმიერი ფორმის განხორციელება, რომელიც შეესაბამება მე-9 ნაწილით გათვალისწინებულ ამგვარ ფორმებს. ნებისმიერ ამგვარ თხოვნაში, სასამართლო მიუთითებს, რომ თხოვნის საფუძველს წარმოადგენს 70-ე მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევათა გამოძიება ან სისხლისსამართლებრივი დევნა.

2. 70-ე მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებთან დაკავშირებით სასამართლოსადმი საერთაშორისო თანამშრომლობისა ან სასამართლო დახმარების გაწევის პირობები განსაზღვრულია 70-ე მუხლის მე-2 პუნქტით.

წესი 168
Ne bis in idem

70-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდაღვევების მიმართ, დაუშვებელია სასამართლომ პირი გაასამართლოს იმ ქმედებისათვის, რომელიც ქმნიდა იმ დარღვევის შემადგენლობის საფუძველს, რომლისთვისაც სასამართლომ ან სხვა სასამართლომ დამნაშავედ ცნო ან გაამართლა ეს პირი.

წესი 169
დაუყოვნებელი დაპატიმრება

70-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის პალატის თანდასწრებით ჩადენაზე ეჭვის მიტანის შემთხვევაში, პროკურორს შეუძლია ამ პალატას ზეპირად მიმართოს თხოვნით, გასცეს ბრძანება პირის დაუყოვნებელი დაპატიმრების შესახებ.

დანაყოფი II
სასამართლოსადმი უპატივცემულობა 71-ე მუხლის თანახმად

წესი 170
სასამართლო განხილვისათვის ხელის შეშლა

63-ე მუხლის მე-2 პუნქტის გათვალისწინებით, საქმის განმხილველი პალატის თავმჯდომარე მოსამართლეს შეუძლია, გაფრთხილების მიცემის შემდეგ:

(a) გასცეს ბრძანება, რომ სასამართლო განხილვის ხელის შემშლელმა დატოვოს სასამართლო დარბაზი ან გაძევებულ იქნეს; ან,

(b) განმეორებითი უპატივცემულობის შემთხვევაში, გასცეს ბრძანება ამ პირისათვის სასამართლო განხილვაზე დასწრების აკრძალვის თაობაზე.

წესი 171
სამართლოს მითითებასადმი დაუმორჩილებლობა

1. როდესაც სასამართლოსადმი უპატივცემულობა გამოიხატება სასამართლოს მიერ გაცემული ზეპირი ან წერილობითი მითითებისადმი დაუმორჩილებლობით, რომელიც გათვალისწინებული არ არის 170-ე წესით, და ამ მითითებას თან ერთვის გაფრთხილება დარღვევის შემთხვევაში სასჯელის გამოყენების თაობაზე, საქმის განმხილველი პალატის თავმჯდომარე მოსამართლეს შეუძლია გასცეს ბრძანება ამ პირისათვის სასამართლო განხილვის დასწრების აკრძალვის შესახებ არაუმეტეს 30 დღის ვადით ან, თუ სამართალდარღვევა უფრო სერიოზულ ხასიათს ატარებს, დააკისროს ჯარიმა.

2. თუ პირველ ქვეწსში აღწერილი სამართალდარღვევის ჩამდენი პირი არის სასამართლოს თანამდებობის პირი, დაცვის ადვოკატი ან დაზარალებულთა კანონიერი წარმომადგენელი, საქმის განმხილველი პალატის თავმჯდომარე მოსამართლეს შეუძლია ასევე გასცეს ბრძანება ამ პირისათვის სასამართლო განხილვაში მისი ფუნქციების განხორციელების აკრძალვის შესახებ არაუმეტეს 30 დღის ვადით.

3. თუ თავმჯდომარე მოსამართლე, პირველ და მე-2 ქვეწესებით გათვალისწინებულ შემთხვევაში, დარწმუნებულია, რომ აკრძალვა უფრო დიდი ხნის განმავლობაში უნდა გამოიყენებოდეს, თავმჯდომარე მოსამართლეს შეუძლია საკითხი გადასცეს პრეზიდიუმს, რომელიც ჩაატარებს სხდომას იმის დადგენის მიზნით, გასცეს თუ არა ბრძანება უფრო ხანგრძლივი ან სამუდამო აკრძალვის თაობაზე.

4. პირველი ქვეწესის თანახმად დაკისრებული ჯარიმა არ აღემატება 2,000 ევროს, ან ექვივალენტურ ოდენობას ნებისმიერ ვალუტაში, იმ პირობით, რომ, დენადი ხასიათის მქონე სამართალდარღვევის შემთხვევაში, შეიძლება დაკისრებულ იქნეს ახალი ჯარიმა ყოველ დღის განმავლობაში, რომლის განმავლობაშიც სამართალდარღვევა განაგრძობს დენას, და ამგვარი ჯარიმები შეჯამდება.

5. შესაბამის პირს ეძლევა საშუალება, მოსმენილ იქნეს სამართალდარღვევისათვის სასჯელის დაკისრებამდე ამ წესის თანახმად.

წესი 172
ქმედება, რომელიც გათვალისწინებულია როგორც 70-ე, ისე 71-ე მუხლითაც

თუ 71-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება ასევე შეადგენს 70-ე მუხლით გათვალისწინებულ ერთ-ერთ სამართალდარღვევას, სასამართლო მოქმედებს 70-ე მუხლის და 162-169 წესების შესაბამისად.

თარგმანი © გიორგი ჯოხაძე, 2003

თავი 10
კომპენსაცია დაპატიმრებული ან დამნაშავედ ცნობილი პირის მიმართ

წესი 173
თხოვნა კომპენსაციის შესახებ

1. ნებისმიერი პირი, რომელიც ითხოვს კომპენსაციას 85-ე მუხლით გათვალისწინებულ ნებისმიერ საფუძველზე, წერილობითი თხოვნით მიმართავს პრეზიდიუმს, რომელიც ქმნის პალატას სამი მოსამართლის შემადგენლობით თხოვნის განსახილველად. ამ მოსამართლეებს არ უნდა მიეღოთ მონაწილეობა სასამართლოს მიერ თხოვნის მიმწოდებელი პირის მიმართ გადაწყვეტილების გამოტანაში.

2. თხოვნა კომპენსაციის შესახებ მიეწოდება არაუგვიანეს ექვსი თვის განმავლობაში იმ თარიღიდან, რომელზედაც თხოვნის მიმწოდებელ პრის ეცნობა სასამართლო გადაწყვეტილება:

(a) დაპატიმრების ან თავისუფლების აღკვეთის უკანონობის თაობაზე 85-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად;

(b) გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმების თაობაზე 85-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად;

(c) სერიოზული და აშკარა სასამართლო შეცდომის არსებობის შესახებ 85-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად.

3. თხოვნა შეიცავს კომპენსაციის მოთხოვნის საფუძვლებს და კომპენსაციის ოდენობას.

4. კომპენსაციის შესახებ თხოვნის მიმწოდებელ პირს აქვს სამართლებრივი დახმარების მიღების უფლება.

წესი 174
კომპენსაციის მოთხოვნის პროცედურა

1. თხოვნა კომპენსაციის თაობაზე და თხოვნის მიმწოდებელი პირის ნებისმიერი სხვა წერილბოთი მოსაზრებები გადაეცემა პროკურორს, რომელსაც ექნება წერილობოთი პასუხის გაცემის შესაძლებლობა. პროკურორის ნებისიმიერი მისაზრება უნდა ეცნობოს თხოვნის მიმწოდებელ პირს.

2. 173-ე წესის პირველი ქვეწესის თანახმად შექმნილ პალატას შეუძლია ჩაატაროს საქმის მოსმენა ან გამოიტანოს გადაწყვეტილება ამ საკითხზე პროკურორის და თხოვნის მიმწოდებელი პირის მიერ თხოვნისა და წერილობითი მოსაზრებების საფუძველზე. საქმის მოსმენა ტარდება, თუ პროკურორი ან კომპენსაციის მომთხოვნი პირი ითხოვს ამას.

3. გადაწყვეტილება მიიღება მოსამართლეთა უმრავლესობით. გადაწყვეტილება ეცნობება პროკურორს და თხოვნის მიმწოდებელ პირს.

წესი 175
კომპენსაციის ოდენობა

85-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად კომპენსაციის ოდენობის დადგენისას, 173-ე წესის პირველი ქვეპუნქტის თანახმად შექმნილმა პალატამ მხედველობაში უნდა მიიღოს სერიოზული და აშკარა სასამართლო შეცდომის შედეგები თხოვნის მიმწოდებელი პირის პირადი, ოჯახური, სოციალური და პროფესიული მდგომარეობისათვის.

თარგმანი © გიორგი ჯოხაძე, 2003

თავი 11
საერთაშორისო თანამშრომლობა და სამართლებრივი დახმარება

დანაყოფი I
თანამშრომლობის მოთხოვნა 87-ე მუხლის თანახმად

წესი 176
სასამართლოს ორგანოები, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან საერთაშორისო თანამშრომლობასა და სამართლებრივ დახმარებასთან დაკავშირებული შეტყობინებების გადაცემასა და მიღებისათვის

1. სასამართლოს დაარსებისთანავე და მას შემდეგ, მდივანი მიიღებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანისაგან ნებისმიერ შეტყობინებას, რომელიც მიწოდებულია სახელმწიფოს მიერ 87-ე მუხლის 1(a) და მე-2 პუნქტების თანახმად.
2. მდინავი გადასცემს პალატების მიერ გაცემულ თანამშრომლობის მოთხოვნებს და მიიღებს პასუხს, ინფორმაციასა და დოკუმენტებს მოთხოვნის მიმღები სახელმწიფოსაგან. პროკუროროს კანცელარია გადასცემს პროკურორის მიერ გაცემულ თანამშრომლობის მოთხოვნებს და მიიღებს პასუხს, ინფორმაციასა და დოკუმენტებს მოთხოვნის მიმღები სახელმწიფოსაგან.
3. მდივანი არის სახელმწიფოთა მიერ მოწოდებული ყველა შეტყობინების მიმღები, რომლებიც ეხება ცვლილებებს იმ ეროვნული არხების დანიშვნაში, რომლებიც პასუხლისმგებელია თანამშრომლობის შესახებ მოთხოვნების მიღებისათვის, ასევე ნებისმიერ ცვლილებებს იმ ენის მიმართ, რომელზედაც უნდა იქნეს შედგენილი მოთხოვნა თანამშრომლობის შესახებ, და, შესაბამის შემთხვევაში, მიაწოდებს ინფორმაციას, თხოვნის მიხედვით, მონაწილე სახელმწიფოებს.
4. მე-2 ქვეწესის დებულებები გამოიყენება mutatis mutandis, როდესაც სასამართლო მოითხოვს ინფორმაციას, დოკუმენტებს ან თანამშრომლობისა და დახმარების სხვა ფორმებს სამთავრობათშორისო ორგანიზაციისაგან.

5. მდივანი გადასცემს პირველ და მე-3 ქვეწესში, ასევე 177-ე წესის მე-2 ქვეწესში აღნიშნულ შეტყობინებას, შესაბამის შემთხვევაში, პრეზიდიუმს ან პროკურორის კანცელარიას, ან ორივეს.

წესი 177
კავშირის არხები

1. რატიფიკაციის, მიღების, დამტკიცების ან შეერთების დროს მიწოდებული შეტყობინებები, რომელიც ეხება თანამშრომლობის მოთხოვნების მიღებაზე პასუხისმგებელ ეროვნული ხელისუფლების ორგანოს, შეიცავს სრულ შესაბამის ინფორმაციას ხელისუფლების ამგარი ორგანოს შესახებ.

2. როდესაც სამთავრობათშორისო ორგანიზაცია მიიღებს თხოვნას, გაუწიოს სასამართლოს დახმარება 87-ე მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, მდივანი, საჭიროების შემთხვევაში, გაარკვევს ორგანიზაციის მიერ დანიშნულ კავშირის არხს და მიიღებს სრულ შესაბამის ინფორმაციას მის შესახებ.

წესი 178
მონაწილე სახელმწიფოთა მიერ 87-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად შერჩეული ენა

1. როდესაც მოთხოვნის მიმღებ სახელმწიფოს გააჩნია ერთზე მეტი ოფიციალური ენა, მას შეუძლია რატიფიკაციის, მიღების, დამტკიცების ან შეერთების დროს მიუთითოს, რომ მოთხოვნა თანამშორმლობის შესახებ და მისი მხარდამჭერი დოკუმენტები შეიძლება შედგენილ იქნეს ამ სახელმწიფოს რომელიმე ერთ-ერთ ოფიციალურ ენაზე.

თარგმანი © გიორგი ჯოხაძე, 2003

2. თუ მოთხოვნის მიმღებ სახელმწიფოს არ შეურჩევია სასამართლოსთან კავშირის ენა რატიფიკაციის, მიღების, დამტკიცების ან შეერთების დროს, მოთხოვნა თანამშრომლობის შესახებ შედგენილ იქნება, 87-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სასამართლოს ერთ-ერთ სამუშაო ენაზე ან მას თან ერთვის ერთ-ერთ ამგვარ ენაზე შესრულებული თარგმანი.

წესი 179
იმ მოთხოვნების ენა, რომლებიც ეგზავნება წესდების არამონაწილე სახელმწიფოს

როდესაც სახელმწიფო, რომელიც არ არის წესდების მონაწილე, გასცემს თანხმობას 87-ე მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული დახმარების გაწევაზე, და არ შეურჩევია ამგავრი მოთხვნის ენა, მოთხოვნა თანამშრომლობის შესახებ შედგენილ იქნება სასამართლოს ერთ-ერთ სამუშაო ენაზე ან მას თან ერთვის ერთ-ერთ ამგვარ ენაზე შესრულებული თარგმანი.

წესი 180
კავშირის არხის ან თანამშორმლობის მოთხოვნის ენის ცვლილება

1. კავშირის არხთან ან სახელმწიფოს მიერ 87-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად შერჩეულ ენასთან დაკავშირებული ცვლილებები წერილობით მიეწოდება მდივანს პირველივე შესაძლებლობისთანავე.

2. სასამართლოს მიერ მიწოდებულ თანამშრომლობის მოთხოვნათა მიმართ, ამგვარი ცვლილებები ძალაში შედის სასამართლოსა და სახელმწიფოს შორის შეთანხემბულ დროს, ან, ამგავრი შეთანხმების არარსებობის შემთხვევაში, სასამართლოს მიერ შეტყობინების მიღებიდან 45 დღეში და, ყველა შემთხვევაში, ზიანს არ აყენებს მიმდინარე ან მომავალ მოთხოვნებს.

დანაყოფი II
პირის სასამართლოსადმი გადაცემა, ტრანზიტი და კოლიზიური მოთხოვნები 89-ე და 90-ე მუხლების თანახმად

წესი 181
საქმის მისაღებობის გასაჩივრება ეროვნულ სასამართლოში

როდესაც წარმოიშობა 89-ე მუხლის მე-2 პუნქტში აღწერილი სიტუაცია, და მე-19 მუხლის და 58-62 წესების იმ დებულებებისადმი ზიანის მიყენების გარეშე, რომლებიც ეხება სასამართლოს იუისდიქციის ან საქმის მისაღებობის გასაჩივრებისადმი გამოყენებად პროცედურებს, საქმის განხილველი პალატა, თუ გამოტანილი არ არის დადგენილება მისაღებობის თაობზე, მიიღებს ზომებს იმისათვის, რათა მიიღოს მოთხოვნის მიმღები სახელმწიფოსაგან სრული შესაბამისი ინფორმაცია პირის მიერ წარდგენილი ne bis in idem საჩივარის შესახებ.

წესი 182
მოთხოვნა ტრანზიტის თაობაზე 89-ე მუხლის მე-3(e) პუნქტის თანახმად

1. 89-ე მუხლის მე-3(e) პუნქტში აღწერილი სიტუაციის არსებობისას, სასამართლოს შეუძლია გადასცეს მოთხოვნა ტრანზიტის თაობაზე ნებისმიერი საშუალებით, რომელიც იძლევა წერილობითი ჩანაწერის გადაცემის შესაძლებლობას.

2. როდესაც 89-ე მუხლის მე-3(e) პუნქტით გათვალისწინებული ვადა ამოიწურება და პირი გათავისუფლდება, ამგვარი გათავისუფლება ზიანს არ აყენებს პირის შემდგომ დაკავებას 89-ე ან 92-ე წესების შესაბამისად.

წესი 183
შესაძლო დროებითი გადაცემა სასამართლოს განკარგულებაში

თარგმანი © გიორგი ჯოხაძე, 2003

89-ე მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული კონსულტაციების შემდეგ, მოთხოვნის მიმღებ სახელმწიფოს შეუძლია შესაბამისი პირი დროებით გადასცეს იმ პირობების შესაბამისად, რომელიც დადგენილია მოთხოვნის მიმღებ სახელმწიფოსა და სასამართლოს შორის. ამგვარ შემთხვევაში, პირი რჩება პატიმრობაში სასამართლოს წინაშე ყოფნის დროს, და გადაეცემა მთხოვნის მიმღებ სახელმწიფოს, როდესაც ამ პირის დასწრება საჭიროებას აღარ წარმოადგენს, უგვიანეს შემთხვევაში - სასამართლო განხილვის დასრულებისას.

წესი 184
სასამართლოსადმი გადაცემის პროცედურები

1. მოთხოვნის მიმღები სახელმწიფო დაუყოვნებივ აცნობებს მდივანს, როგორც კი შესაძლებელია სასამართლოს მიერ ძებნილი პირის გადაცემა.

2. პირი სასამართლოს გადაეცემა მოთხოვნის მიმღები სახელმწიფოს ხელისუფლების ორგანოებსა და მდივანს შორის შეთანხმებულ თარიღში და წესით.

3. თუ გარემოებები არ იძლევა პირის შეთანხმებულ თარიღში გადაცემის შესაძლებლობას, მოთხოვნის მიმღები სახელმწიფოს ხელისუფლების ორგანოები და მდივანი შეთანხმდებიან პირის სასამართლოსადმი გადაცემის ახალი თარიღისა და წესის შესახებ.

4. მდივანი ინარჩუნებს კონტაქტს მასპინძელი სახელმწიფოს ხელისუფლების ორგანოებთან იმ პროცედურების თაობაზე, რომლებიც დაკავშირებულია პირის გადაცემასთან სასამართლოს განკარგულებაში.

წესი 185
პირის სასამართლოს პატიმრობიდან გათავისუფლება, სასჯელის შესრულების შემთხვევის გარდა

1. მე-2 ქვეწესის გათვალისწინებით, როდესაც სასამართლოსადმი გადაცემული პირი გათავისუფლდება სასამართლოს პატიმორბიდან იმის გამო, რომ სასამართღოს არ გააჩნია იურისდიქცია, საქმე მიუღებელია მე-17 მუხლის 1(b), (c) ან (d) პუნქტის თანახმად, ბრალდებები არ დადასტურდა 61-ე მუხლის თანახმად, პირი გამართლებულ იქნა სასამართლო განხილვის მსვლელობისას ან გასაჩივრების შედეგად, ან რაიმე სხვა მიზეზით, სასამართლო დაუყოვნებლივ მიიღებს ისეთ ზომებს, რომლებსაც ის შესაბამისად ჩათვლის პირის გადაცემისათვის, პირის მოსაზრებათა გათვალისწინებით, იმ სახელმწიფოსადმი, რომელიც ვალდებულია მიიღოს ეს პირი, სხვა სახელმწიფოს, რომელიც თანახმაა მიიღოს ეს პირი, ან სახელმწიფოს, რომელმაც მოითხოვა ამ პირის ექსტრადიცია თავდაპირველი გადმომცემი სახელმწიფოს თანხმობით. ამ შემთხვევაში, მასპინძელი სახელმწიფო ხელს უწყობს გადაცემას მე-3 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შეთახმებისა და შესაბამისი პროცედურების თანახმად.

2. როდესაც სასამართლო დაადგენს, რომ საქმე მიუღებელია მე-17 მუხლის 1(a) პუნქტის თანახმად, სასამართლო მიიღებს ზომებს, შესაბამის შემთხვევაში, პირის იმ სახელმწიფოსადმი გადაცემისათვის, რომლის მიერ ჩატარებულმა გამოძიებამ ან სისხლისსამართლბრივმა დევნამ შეადგინა საქმის მისაღებობის წარმატებული გასაჩივრების საფუძველი, თუ სახელმწიფო, რომელმაც თავდაპირველად გადასცა პირი სასამართლოსადმი, არ ითხოვს მის დაბრუნებას.

წესი 186
კოლიზიური მოთხოვნები საქმის დასაშვებობის გასაჩივრების კონტექსტში

90-ე მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებულ სიტუაციებში, მოთხოვნის მიმღები სახელმწიფო თავის გადაწყვეტილებას შეაყტობინებს პროკურორს იმ მიზნით, რომ პროკურორს მიეცეს მე-19 მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად მოქმედების შესაძლებლობა.

თარგმანი © გიორგი ჯოხაძე, 2003

დანაყოფი III
91-ე და 92-ე მუხლების თანახმად დაკავებასა და გადაცემასთან დაკავშირებული დოკუმენტები

წესი 187
გადაცემის მოთხოვნის მხარდამჭერი დოკუმენტების თარგმანი

67-ე მუხლის 1(a) პუნქტის მიზნებისათვის და 117-ე წესის პირველი ქვეწესის შესაბამისად, 91-ე მუხლის თანახმად წარდგენილ მოთხოვნას თან ერთვის, შესაბამის შემთხვევაში, დაკავების ორდერის ან გამამტყუნებელი განაჩენის თარგმანი, ასევე წესდების ნებისმიერი შესაბამისი დებულებების თარგმანი, იმ ენაზე, რომელსაც პირი სრულად გებულობს და საუბრობს.

წესი 188
წინასწარი პატიმრობის შემდეგ დოკუმენტების წარდგენის ვადა

92-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიზნებისათვის, მოთხოვნის მიმღები სახელმწიფოს მიერ გადაცემის შესახებ მოთხოვნისა და მოთხოვნის მხარდამჭერი დოკუმენტების მიღების ვადას წარმოადგენს 60 დღე წინასწარი დაპატიმრების თარიღიდან.

წესი 189
მოთხოვნის მხარდამჭერი დოკუმენტების გადაცემა

როდესაც პირი დათანხმდა სასამართლოს განკარგულებაში გადაცემაზე 92-ე მუხლის მე-3 პუნქტის დებულებების შესაბამისად, და მოთხოვნის მიმღები სახელმწიფო იწყებს პირის სასამართლოსადმი გადაცემის პროცესს, სასამართლოს არ მოეთხოვება 91-ე მუხლში აღწერილი დოკუმენტების წარდგენა, თუ მოთხოვნის მიმღები სახელმწიფო სხვაგვარად არ მიუთითებს.

დანაყოფი IV
თანამშრომლობა 93-ე მუხლის თანახმად

წესი 190
მოწმის გამოძახების შესახებ მოთხოვნას თანდართული ინსტრუქცია თავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემის თაობაზე

93-ე მუხლის 1(e) პუნქტის თანახმად მოწმის მიმართ მოთხოვნის წარდგენისას, სასამართლო მას თან დაურთავს ინსტრუქციას თავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემის თაობაზე 74-ე მუხლთან დაკავშირებით, რომლიც გადაეცემა შესაბამის მოწმეს იმ ენაზე, რომელსაც პირი სრულად გებულობს და საუბრობს.

წესი 191
სასამართლოს მიერ 93-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად წარდგენილი გარანტიები

პალატას, რომელიც საქმეს იხილავს, საკუთარი ინიციატივით ან პროკურორის, დაცვის ან შესაბამისი მოწმის ან ექსპერტის თხოვნით, შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება, პროკურორისა და შესაბამისი მოწმის ან ექსპერტის მოსაზრებათა მხედველობაში მიღების შემდეგ, გასცეს 93-ე მუხლის მე-2 პუნქტში აღწერილი გარანტიები.

წესი 192
პატიმრობაში მყოფი პირის გადაცემა

თარგმანი © გიორგი ჯოხაძე, 2003

1. პატიმრობაში მყოფი პირის სასამართლოსადმი გადაცემა 93-ე მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად განხორციელდება ეროვნული ხელისუფლების შესაბამისი ორგანოების მიერ, მდივანთან და მასპინძელი სახელმწიფოს ხელისუფლების ორგანოებთან თანამშრომლობით.

2. მდივანი უზრუნველყოფს გადაცემის სათანადო მსვლელობას, მათ შორის პირის ზედმხედველობას სასამართლოს პატიმრობაში ყოფნის დროს.

3. სასამართლოს პატიმრობაში მყოფ პირს აქვს უფლება, დააყენოს საკითხი მისი პატიმრობის პირობების შესახებ შესაბამისი პალატის წინაშე.

4. 93-ე მუხლის მე-7(b) პუნქტის შესაბამისად, როდესაც მიიღწევა გადაცემის მიზნები, მდივანი განახორციელებს პირის დაბრუნებას მოთხოვნის მიმღები სახელმწიფოს პატიმრობაში.

წესი 193
პირის დროებითი გადაცემა განაჩენის აღსრულების სახელმწიფოდან

1. პალატას, რომელიც საქმეს იხიალვს, შეუძლია გასცეს ბრძანება სასამართლოს მიერ გასამართლებული ნებისმიერი პირის დროებითი გადმოცემა განაჩენის აღსრულების სახელმწიფოდან სასამართლოს ადგილსამყოფელში, როდესაც ამ პირის ჩვენება ან სხვაგვარი დახმარება საჭროა სასამართლოსათვის. 93-ე მუხლის მე-7 პუნქტის დებულებები არ გამოიყენება.

2. მდივანი უზრუნველყოფს გადაცემის სათანადო მსვლელობას, განაჩენის აღსრულების სახელმწიფოს ხელისუფლების ორგანოებთან და მასპინძელი სახელმწიფოს ხელისუფლების ორგანოებთან თანამშრომლობით. როდესაც მიიღწევა გადაცემის მიზნები, სასამართლო მსჯავრდებულ პირს დაუბრუნებს განაჩენის აღსრულების სახელმწიფოს.

3. პირი პატიმრობაში იმყოფება სასამართლოს წინაშე მისი ყოფნის განმავლობაში. სასამართლოს ადგილსამყოფელში გატარებული თავისუფლების აღკვეთის სრული ვადა გამოაკლდება დარჩენილი სასჯელის ოდენობას.

წესი 194
სასამართლოსაგან მოთხივნილი თანამშრომლობა

1. 94-ე მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად და 96-ე მუხლის თანახმად, mutatis mutandis, სახელმწიფოს შეუძლია სასამართლოს გადასცეს სასამართლოსადმი თანამშრომლობის ან დახმარების გაწევის თხოვნა, რომელიც შედგენილია სასამართლოს ერთ-ერთ სამუშაო ენაზე ან თან ერთვის ამგავრ ენაზე გაკეთებული თარგმანი.

2. პირველ ქვეწესში აღწერილი თხოვნები ეგზავნება მდივანს, რომელიც მათ გადასცემს, შესაბამის შემთხვევაში, პროკურორს ან შესაბამის პალატას.

3. თუ მიღებულია დაცვის ზომები 68-ე მუხლის მნიშვნელობით, პროკურორი ან პალატა, შესაბამის შემთხვევაში, განიხილავს ზომების მიმღები პალატის, ასევე შესაბამის დაზარალებულ პირთა და მოწმეთა მოსაზრებებს, თხოვნის მიმართ გადაწყვეტილების მიღებამდე.

4. თუ თხოვნა ეხება დოკუმენტებს ან მტკიცებულებას, როგორც ეს აღწერილია 93-ე მუხლის მე-10 (b) (ii) პუნქტში, პროკურორი ან პალატა, შესაბამის შემთხვევაში, მიიღებს შესაბამისი სახელმწიფოს წერილობით თანხმობას თხოვნის განხილვის დაწყებამდე.

5. როდესაც სასამართლო მიიღებს გადაწყვეტილებას, დააკმყოფილოს სახელმწიფოს თხოვნა თანამშროლობის ან დახმარების შესახებ, თხოვნა აღსრულდება, რამდენედაც შესაძლებელია, მომთხოვნი სახელმწიფოს მიერ მასში გათვალისწინებული პროცედურის შესაბამისად და მოთხოვნაში აღნიშნული პირების დასწრების ნებართვით.

დანაყოფი V
თანამშრომლობა 98-ე მუხლის თანახმად

თარგმანი © გიორგი ჯოხაძე, 2003

წესი 195
ინფორმაციის მიწოდება

1. როდესაც მოთხოვნის მიმღები სახელმწიფო სასამართლოს შეატყობინებს, რომ გადაცემის ან დახმარების მოთხოვნა წარმოშობს აღსრულების პრობლემას 98-ე მუხლის მიმართ, მოთხოვნის მიმღები სახელმწიფო სასამართლოს წარუდგენს სრულ შესაბამის ინფორმაციას, რათა დაეხმაროს სასამართლოს 98-ე მუხლის გამოყენებაში. ნებისმიერ დაინტერესებულ მესამე სახელმწიფოს ან გადმომცემ სახელმწიფოს შეუძლია დამატებითი ინფორმაციის წარდგენა სასამართლოსადმი დახმარების გაწევისათვის.

2. სასამართლოს არ შეუძლია წარადგინოს პირის სასამართლოსადმი გადაცემის მოთხოვნა გადმომცემი სახელმწიფოს თანხმობის გარეშე, თუ, 98-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ამგავრი მოთხოვნა შეუსაბამო იქნება საერთაშორისო შეთანხემბიდან გამომდინარე ვალდებულებასთან, რომლის მიხედვითაც გადმომცემი სახელმწიფოს თანხმობა აუცილებელია ამ სახელმწიფოს პირის სასამართლოსადმი გადაცემამდე.

დანაყოფი VI
დებულება პირობების უცვლელობის შესახებ 101-ე მუხლის თანახმად

წესი 196
მოსაზრებათა წარდგენა 101-ე მუხლის პირველი პუნქტის თაობაზე

პირს, რომელიც სასამართლოს გადაეცემა, შეუძლია წარადგინოს მოსაზრებები 101-ე მუხლის პირველი პუნქტის დებულებებათა სავარაუდო დარღვევის თაობაზე.

წესი 197
სასამართლოსადმი გადაცემის გაგრძელება

როდესაც სასამართლო მოითხოვს 101-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებზე უარის თქმას, მოთხოვნის მიმღებ სახელმწიფოს შეუძლია სასამართლოს სთხოვოს სასამართლოსადმი გადაცემული პირის მოსაზრებათა მიღება და წარდგენა.

თარგმანი © გიორგი ჯოხაძე, 2003

თავი 12
აღსრულება

დანაყოფი I
სახელმწიფოთა როლი თავისუფლების აღკვეთის სასჯელთა აღსრულებაში და აღმასრულებელი სახელმწიფოს შეცვლა 103-ე და 104-ე მუხლების თანახმად

წესი 198
მიმოწერა სასამართლოსა და სახელმწიფოთა შორის

თუ კონტქსტი სხვას არ მოითხოვს, 87-ე მუხლი და 176-180-ე წესები გამოიყენება, შესაბამის შემთხვევაში, სასამართლოსა და სახელმწიფოს შორის სასჯელის აღსრულების საკითხებზე მიმდინარე მიმოწერის მიმართ.

წესი 199
პასუხისმგებელი ორგანო მე-10 ნაწილის თანახმად

თუ წესები სხვაგვარად არ ითავლისწინებს, სასამართლოს ფუნქციებს მე-10 ნაწილის თანახმად განახორციელებს პრეზიდიუმი.

წესი 200
აღმასრულებელ სახელმწიფოთა სია

1. მდინავი ადგენს და ინარჩუნებს იმ სახელმწიფოთა სიას, რომელთაც განაცხადეს მსჯავრდებულ პირთა მიღების მზადყოფნა.

2. პრეზიდიუმი არ ჩართავს სახელმწიფოს 103-ე მუხლის 1(a) პუნქტით გათვალისწინებულ სიაში, თუ ის არ ეთანხმება სახელმწიფოს მიერ თავისი თანხმობასადმი დართულ პირობებს. პრეზიდიუმს შეუძლია, გადაწყვეტილების მიღებამდე, მოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია ამ სახელმწიფოსაგან.

3. სახელმწიფოს, რომელმაც თანხმობას დაურთო პირობები, შეუძლია ნებისმიერ დროს მოხსნას ამგვარი პირობები. ამგავრი პირობების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ექვემდებარება პრეზიდიუმის დამტკიცებას.

4. სახელმწიფოს შეუძლია ნებისმიერ დროს აცნობოს მდივანს სიიდან გასვლის თაობაზე. ამგავრი გასვლა ზიანს არ აყენებს განაჩენის აღსრულებას იმ პირების მიმართ, რომლებიც ამ სახელმწიფომ უკვე მიიღო.

5. სასამართლოს შეუძლია დადოს ორმხრივი შეთანხმებები სახელმწიფოებთან სასამართლოს მიერ მსჯავრდებულ პირთა მიღების წესის განსაზღვრის მიზნით. ამგვარი შეთანხემები შეესაბამება წესდებას.

წესი 201
სამართლიანი განაწილების პრინციპები

სამართლიანი განაწილების პრინციპები, 103-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიზნებისათვის, მოიცავს:

(a) სამართლიანი გეოგრაფიული განაწილების პრინციპს;

(b) მსჯავრდებულ პირთა მიღების შესაძლებლობის მიცემის აუცილებლობას სიაში ჩართული ყოველი სახელმწიფოსათვის;

(c) ამ სახელმწიფოსა და სხვა აღმასრულებელ სახელმწიფოთა მიერ მიღებულ მსჯავრდებულ პირთა რაოდენობას;

თარგმანი © გიორგი ჯოხაძე, 2003

(d) ნებისმიერ სხვა შესაბამის ფაქტორს.

წესი 202
მსჯვარდებული პირის აღსრულების სახელმწიფოსადმი მიწოდების ვადა

მსჯავრდებული პირის მიწოდება სასამართლოდან განსაზღვრულ აღმასრულებელ სახელმწიფოში არ მოხდება მანამ, სანამ გამამტყუნებელი განაჩენი და გადაწყვეტილება სასჯელის თაობაზე საბოლოოდ არ შევა კანონიერ ძალაში.

წესი 203
მსჯვარდებული პირის მოსაზრებები

1. პრეზიდიუმი მსჯავრდებულ პირს წერილობით აცნობებს იმის თაობზე, რომ ის იხილავს აღმასრულებელი სახელმწიფოს დანიშვნის საკითხს. მსჯავრდებული პირი, პრეზიდიუმის მიერ განსაზღვრულ ვადაში, წერილობით წარუდგენს პრეზიდიუმს მის მოსაზრებებს ამ საკითხზე.

2. პრეზიდიუმს შეუძლია ნება დართოს მსჯვარდებულ პირს, წარადგინოს ზეპირი წარდგინებები.

3. პრეზიდიუმი მსჯავრდებულ პირს დართავს ნებას:

(a) მიიღოს, შესაბამის შემთხვევაში, კომპეტენტური თარჯიმანის დახმარება და ისარგებლოს ნებისმიერი თარგმანით, რომელიც აუცილებელია მისი მოსაზრებების წარდგენისათვის;

(b) მიიღოს საკმარისი დრო და საშუალებები, რომლებიც აუცილებელია მისი მოსაზრებების წარდგენის მომზადებისათვის.

წესი 204
დანიშვნასთან დაკავშირებული ინფორმაცია

როდესაც პრეზიდიუმი დანიშნულ სახელმწიფოს აცნობებს თავის გადაწყვეტილებას, ის ასევე გადასცემს შემდეგ ინფორმაციასა და დოკუმენტებს:

(a) მსჯავრდებული პირის სახელი, ეროვნება, დაბადების თარიღი და ადგილი;

(b) საბოლოო გამამტყუნებელი განაჩენისა და დაკისრებული სასჯელის ასლს;

(c) სასჯელის ხანგრძლივობას და დაწყების თარიღს, ასევე დარჩენილ ვადას;

(d) მსჯავრდებული პირის მოსაზრებათა მოსმენის შემდეგ, ნებისმიერ საჭირო ინფორმაციას მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, მათ შორის ნებისმიერი სამედიცინო დახმარების შესახებ, რომელსაც ეს პირი იღებს.

წესი 205
დანიშვნაზე უარის თქმა გარკვეულ შემთხვევაში

როდესაც სახელმწიფო, გარკვეულ შემთხვევაში, უარს განაცხადებს, დაეთანხმოს პრეზიდიუმის მიერ დანიშვნას, პრეზიდიუმს შეუძლია დანიშნოს სხვა სახელმწიფო.

წესი 206
მსჯავრდებული პირის ტრანსპორტირება აღმასრულებელ სახელმწიფოში

1. მდივანი პროკურორს და მსჯავრდებულ პირს აცნობებს იმ სახლემწოფოს შესახებ, რომელიც დანიშნულია განაჩენის აღსასრულებლად.

თარგმანი © გიორგი ჯოხაძე, 2003

2. მსჯავრდებული პირი მიეწოდება განაჩენის აღსრულების სახელმწიფოს რაც შეიძლება მალე იმის შემდეგ, რაც დანიშნული აღმასრულებელი სახელმწიფო განაცხადებს თანხმობას.

3. მდივანი უზრუნველყოფს პირის გადაცემის სათანადო მსვლელობას, აღმასრულებელი სახელმწიფოსა და მასპინძელი სახელმწიფოს ხელისუფლების ორგანოებთან კონსულტაციით.

წესი 207
ტრანზიტი

1. არავითარი ნებართვა არ არის საჭირო, თუ პირის ტრანსპორტირება ხდება საჰაერო ხომალდით და არ არის დაგეგმილი დაშვება სატრანზიტო სახელმწიფოს ტერიტორიაზე. თუ ადგილი აქვს გაუთავლისწინებელ დაშვებას სატრანზიტო სახელმწიფოს ტერიტორიაზე, სახელმწიფო, ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურების შესაძლებელ ფარგლებში, მოათავსებს მსჯავრდებულ პირს პატიმრობაში, მე-2 ქვეწესით გათვალისწინებული ტრანზიტის შესახებ მოთხოვნის მიღებამდე, ან 89-ე მუხლის პირველი პუნქტით ან 92-ე მუხლით თანახმად მოთხოვნის მიღებამდე.

2. ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურების შესაძლებელ ფარგლებში, მონაწილე სახელმწიფო ნებას დართავს მსჯავრდებული პირის ტრანზიტს მის ტერიტორიაზე და, შესაბამის შემთხვევაში, გამოიყენება 89-ე მუხლის მე-3 (b) და (c) პუნქტების და 105-ე და 108-ე მუხლების დებულებები, ასევე მათთან დაკავშირებული ნებისმიერი წესები. ტრანზიტის შესახებ ამგვარ მოთხოვნას თან ერთვის კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენისა და დაკისრებული სასჯელის ასლი.

წესი 208
ხარჯები

1. აღმასრულებელი სახელმწიფოს ტერიტორიზე განაჩენის აღსრულების ჩვეულებრივი ხარჯები ანაზღაურდება ამ სახელმწიფოს მიერ.

2. სხვა ხარჯები, მათ შორის მსჯავრდებული პირის ტრანსპორტირების ხარჯები და მე-100 მუხლის 1 (c), (d) და (e) პუნქტებში აღნიშნული ხარჯები, ანაზღაურდება სასამართლოს მიერ.

წესი 209
აღმასრულებელი სახელმწიფოს შეცვლა

1. პრეზიდიუმს, საკუთარი ინიციატივით ან მსჯავრდებული პირის ან პროკურორის თხოვნით, შეუძლია ნებისმიერ დროს იმოქმედოს 104-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად.

2. მსჯავრდებული პირის ან პროკურორის თხოვნა წარედგინება წერილობით და შეიცავს გადაყვანის თხოვნის მიზეზებს.

წესი 210
აღმასრულებელი სახელმწიფოს შეცვლის პროცედურა

1. აღმასრულებელი სახელმწიფოს შეცვლის თაობაზე გადაწყვეტილების გამოტანამდე, პრეზიდიუმს შეუძლია:

(a) მოითხოვოს აღმასრულებელი სახელმწიფოს მოსაზრებები;

(b) განიხილოს მსჯავრდებული პირისა და პროკურორის წერილობითი ან ზეპირი წარდგინებები;

(c) განიხილოს ექსპერტის წერილობითი ან ზეპირი დასკვნა, რომელიც ეხება, inter alia, მსჯავრდებულ პირს;

თარგმანი © გიორგი ჯოხაძე, 2003

(d) მიიღოს ნებისმიერი სხვა შესაბამისი ინფორმაცია ნებისმიერი სანდო წყაროდან.

2. შესაბამის შემთხვევაში, გამოიყენება 203-ე წესის მე-3 ქვეწესის დებულებები.

3. თუ პრეზიდიუმი მიიღებს გადაწყვეტილებას, არ შეცვალოს აღმასრულებელი სახელმწიფო, პრეზიდიუმი რაც შეიძლება მალე აცნობებს მსჯავრდებულ პირს, პროკურორს და მდივანს თავის გადაწყვეტილებას და მის მიზეზებს. ის ასევე აცნობებს აღმასრულებელ სახელმწიფოს.

დანაყოფი II
აღსრულება, ზედამხედველობა და გადაცემა 105-ე, 106-ე და 107-ე მუხლების თანახმად

წესი 211
განაჩენის აღსრულების და თავისუფლების აღკვეთის ზედამხედველობა

1. თავისუფლების აღკვეთის სასჯელის აღსრულების ზედამხედველობის მიზნით, პრეზიდიუმი:

(a) უზრუნველყოფს, აღმასრულებელ სახელმწიფოსთან კონსულტაციით, რომ იმ სათანადო პროცედურების დადგენისას, რომლებიც დაკავშირებულია ნებისმიერი მსჯავრდებული პირის უფლებასთან, ჰქონდეს კონტაქტი სასამართლოსთან თავისფულების აღკვეთის პირობების თაოზაბე, შესრულდება 106-ე მუხლის მე-3 პუნქტის დებულებები;

(b) შეუძლია, საჭიროების არსებობისას, მოითხოვოს ნებისმიერი ინფორმაცია, ანგარიში ან ექსპერტის დასკვნა აღმასრულებელი სახელმწიფოსაგან ან ნებისმიერი სანდო წყროდან;

(c) შეუძლია, შესაბამის შემთხვევაში, დანიშნოს სასამართლოს მოსამართლე ან სასამართლოს თანამშრომელი, რომელიც იქნება პასუხისმგებელი, აღმასრულებელი სახელმწიფოსადმი შეტყობინების შემდეგ, შეხვდეს მსჯავრდებულ პირს და მოისმინოს მისი მოსაზრებები, ეროვნული ხელისუფლების ორგანოების დასწრების გარეშე;

(d) შეუძლია, შესაბამის შემთხვევაში, მისცეს აღმასრულებელ სახელმწიფოს შესაძლებლობა, წარადგინოს კომენტარები მსჯავრდებული პირის მიერ 1(c) ქვეწესის თანახმად გამოხატული მოსაზრებების მიმართ.

2. როდესაც მსჯავრდებულ პირს აქვს უფლება მიიღოს მონაწილეობა აღამსრულებელი სახელმწიფოს ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებულ პატიმრებისათვის გამიზნულ პროგრამაში ან მიიღოს შეღავათები, რომელთაც შეიძლება შედეგად მოჰყვეს რაიმე დასაქმება თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ, აღმასრულებელი სახელმწიფო ამ ფაქტს აცნობებს პრეზიდიუმს, იმ ნებისმიერ შესაბამის ინფორმაციასთან ან მოსაზრებეთან ერთად, რომელიც მისცემს სასამართლოს საშუალებას, განახორციელოს თავისი ზედამხედველობითი ფუნქციები.

წესი 212
ინფორმაცია პირის ადგილსამყოფელის შესახებ ჯარიმის დაკისრების, კონფისკაციის ან ზიანის ანაზღაურების ზომების მიზნებისათვის

სასამართლოს მიერ დადგენილი ჯარიმის, კონფისკაციის და ზიანის ანაზღაურების ზომების აღსრულებისათვის, პრეზიდიუმს შეუძლია, ნებისმიერ დროს ან, უკანასკნელ შემთხვევაში, მსჯვარდებული პირის მიერ სასჯელის მოხდის დაგეგმილ დასრულებადმე 30 დღით ადრე, მოსთხოვოს აღმასრულებელ სახელმწიფოს, გადასცეს მას შესაბამისი ინფორმაცია ამ სახელმწიფოს განზრახვაზე, დართოს ამ პირს ნება დარჩეს მის ტერიტორიაზე ან იმ ადგილის შეახებ, სადაც ის აპირებს ამ პირის გადაყვანას.

წესი 213
პროცედურა 107-ე მუხლის მე-3 პუნქტისათვის

თარგმანი © გიორგი ჯოხაძე, 2003

107-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიმართ გამოიყენება, შესაბამის შემთხვევაში, 214-ე და 215-ე წესებში აღწერილი პროცედურა.

დანაყოფი III
სისხლისსამართლებრივი დევნის ან სხვა სამართალდარღვევისათვის სასჯელის შეზღუდვა 108-ე მუხლის თანახმად

წესი 214
წარსული ქმედებისათვის სისხლისსასმართლებრივი დევნის განხორიცელების ან სასჯელის დაკისრების მოთხოვნა

1. 108-ე მუხლის გამოყენების მიზნებისათვის, როდესაც აღმასრულებელ სახელმწიფოს სურს განახროციელოს სისხლისსამართლებრივი დევნა ან აღასრულოს სასჯელი მსჯავრდებული პირის მიმართ ნებისმიერი ქმედებისათვის, რომელშიც ამ პირმა მიიღო მონაწილება მის გადმოცემამდე, ის თავის გადაწყვეტილებას შეატყობინებს პრეზიდიუმს და გადასცემს შემდეგ დოკუმენტებს:

(a) საქმის ფაქტობირივი გარემოებების აღწერას და მათ იურიდიულ კვალიფიკაციას;

(b) ნებისმიერი გამოყენებადი სამართლებრივი დებულებების, მათ შორის ხანდაზმულობის ვადასთან და გამოყენებად სასჯელებთან დაკავშირებული დებულებების ასლს;

(c) ნებისმიერი განაჩენის, დაკავების ორდერის ან ანალოგიური ძალის მქონე სხვა დოკუმენტის, ან სხვა ნებისმიერი სასამართლო ბრძანების ასლს, რომლის აღსრულებასაც აპირებს სახელმწიფო;

(d) ოქმს, რომელიც შეიცავს მსჯავრდებული პირის მოსაზრებებს, რომლებიც მიღებულია პირისაგან მას შემდეგ, რაც ის საკმარისად იქნა ინფორმირებული სასამართლო განხილვის თაობაზე.

2. სხვა სახელმწიფოს მიერ ექსტრადიციის მოთხვონის წარდგენის შემთხვევაში, აღმასრულებელი სახელმწიფო მოთხოვნას სრული ფორმით გადასცემს პრეზიდიუმს იმ ოქმთან ერთად, რომელიც შეიცავს მსჯავრდებული პირის მოსაზრებებს, რომლებიც მიღებულია პირისაგან მას შემდეგ, რაც ის საკმარისად იქნა ინფორმირებული ექსტრადიციის მოთხოვნის წარდგენის თაობაზე.

3. პრეზიდიუმს შეუძლია, ნებისმიერ შემთხვევაში, მოითხოვოს ნებისმიერი დოკუმენტი ან დამატებითი ინფორმაცია აღამსრულებელი სახელმწიფოსაგან ან ექსტრადიციის მოთხოვნის წარმდგენი სახელმწიფოსაგან.

4. თუ პირი სასამართლოს განკარგულებაში გადაეცა აღამსრულებელი სახელმწიფოს ან ექსტრადიციის მოთხოვნის წარმდგენი სახელმწიფოს გარდა სხვა სახელმწიფოს მიერ, პრეზიდიუმი ჩაატარებს კონსულტაციას პირის გადმომცემ სახელმწიფოსათან და მხედველობაში მიიღებს ამ სახელმწიფოს მიერ გამოხატულ ნებისმიერ მოსაზრებას.

5. პრეზიდიუმისათვის 1-4 ქვეწესების თანახმად გადაცემული ნებისმიერი ინფორმაცია ან დოკუმენტები გადაეცემა პროკურორს, რომელსაც შეუძლია კომენტარების წარდგენა.

6. პრეზიდიუმს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება საქმის მოსმენის ჩატარების თაობზე.

წესი 215
გადაწყვეტილება სისხლისსასმართლებრივი დევნის განხორციელების ან სასჯელის მოთხოვნის თაობაზე

1. პრეზიდიუმს დადგენილება გამოაქვს რაც შეიზლება მალე. ეს დადგენილება ეცნობება სასამართლო განხილვის ყველა მონაწილეს.

თარგმანი © გიორგი ჯოხაძე, 2003

2. თუ 214-ე წესის პირველი ან მე-2 ქვეწესების თანახმად წარდგენილი მოთხოვნა ეხება სასჯელის აღსრულებას, მსჯავრდებულ პირს შეუძლია ეს სასჯელი მოიხადოს სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენის აღსრულებისათვის დანიშნულ სახელმწიფოში ან პირი შეიძლება ექსტრადირებულ იქნეს მესამე სახელმწიფოში მხოლოდ სასამართლოს მიერ დაკისრებული სრული სასჯელის მოხდის შემდეგ, 110-ე მუხლის დებულებების გათვალისწინებით.

3. პრეზიდიუმს შეუძლია გასცეს მსჯავრდებული პირის მესამე სახელმწიფოში დროებითი ექტრადიციის ნევართვა, მხოლოდ თუ ის მიიღებს გარანტიებს, რომელსაც ის საკმარისად ჩათვლის, რომ მსჯვარდებული პირი პატიმრობაში რჩება მესამე სახელმწიფოში და დაუბრუნდება სახელმწიფოს, რომელიც პასუხისმგებელია სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენის აღსრულებაზე, სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების შემდეგ.

წესი 216
ინფორმაცია აღსრულების თაობზე

პრეზიდიუმი მოითხოვს აღმასრულებელი სახელმწიფოსაგან, აცნობოს მას მსჯავრდებულ პირთან დაკავშირებული ნებისმიერი მნიშვნელოვანი ამბები, ასევე ნებისმიერი სისხლისსასმართლებრივი დევნა, რომელიც ხორციელდება ამ პირის მიმართ მისი გადაცემის შემდეგ მომხდარი ქმედებისათვის.

დანაყოფი IV
ჯარიმის, კონფისკაციის ზომების და ზიანის ანაზღაურების შესახებ ბრძანებების აღსრულება

წესი 217
თანამშორმლობა და ზომების მიღება ჯარიმის, კონფისკაციის ან ზიანის ანაზღაურების შესახებ ბრძანების აღსრულებისათვის

ჯარიმის, კონფისკაციის ან ზიანის ანაზღაურების შესახებ ბრძანების აღსრულებისათვის, პრეზიდიუმი, შესაბამის შემთხვევაში, მოითხოვს, აღსრულების მიზნით, თანამშრომლობას და ზომების მიღებას მე-9 ნაწილის შესაბამისად, ასევე გადასცემს შესაბამისი ბრძანებების ასლებს ნებისმიერ სახელმწიფოს, რომელთანაც მსჯავრდებულ პირს სავარაუდოდ გააჩნია პირდაპირი კავშირი მოქალაქეობის, მუდმივი ან ჩვეულებრივი საცხოვრებელი ადგილის, ან მსჯავრდებული პირის აქტივებისა და ქონების ადგილმდებარეობის მიზეზით, ან რომელთანაც ამგვარი კავშირი გააჩნია დაზარალებულ პირს. პრეზიდიუმი, შესაბამის შემთხვევაში, სახელმწიფოს აცნობებს ნებისმიერი მესამე მხარის მოთხოვნების არსებობას ან იმ ფაქტის თაობაზე, რომ არავითარი მოთხოვნა არ იქნა წარდგენილი იმ პირის მიერ, რომელმაც მიიღო 75-ე მუხლის თანახმად ჩატარებული ნებისმიერი სასამართლო განხილვის შეტყობინება.

წესი 128
ბრძანება კონფისკაციის და ზიანის ანაზღაურების შესახებ

1. იმ მიზნით, რომ სახელმწიფოს მიეცეს კონფისკაციის შესახებ ბრძანების აღსრულების შესაძლებლობა, ბრძანება განსაზღვრავს:

(a) იმ პირის ვინაობას, რომლის მიმართაც არის გაცემული ბრძანება;

(b) იმ მოგებას, ქონებასა და აქტივებს, რომლის მიმართ სასამართლომ გასცა კონფისკაციის ბრძანება;

(c) რომ, თუ მონაწილე სახელმწიფოს არ შეუძლია აღასრულოს კონფისკაციის ბრძანება განსაზღვრული მოგების, ქონების ან აქტივების მიმართ, ის მიიღებს ზომებს მათი ღირებულების ანაზღაურებისათვის.

თარგმანი © გიორგი ჯოხაძე, 2003

2. თანამშორმლობისა და აღსრულების ზომების შესახებ მოთხოვნაში, სასამართლოს ასევე მოჰყავს არსებული ინფორმაცია იმ მოგების, ქონებისა და აქტივების ადგილსამყოფელის შესახებ, რომელსაც ეხება ბრძანება კონფისკაციის შესახებ.

3. იმ მიზნით, რომ მისცეს სახელმწიფოს ზიანის ანაზღაურების შესახებ ბრძანების აღსრულების შესაძლებლობა, ბრძანება განსაზღვრავს:

(a) იმ პირის ვინაობას, რომლის მიმართაც არის გაცემული ბრძანება;

(b) ფინანსური ხასიათის ზიანის ანაზრაურების ზომების მიმართ, იმ დაზარალებულ პირთა ვინაობას, რომელთაც მიეცათ ინდივიდუალური ანაზღაურება და, როდესაც ზიანის ანაზღაურების თანხა დეპონირდება მიზნობრივი ფონდის ანგარიშზე, მიზნობრივი ფონდის მონაცემებს ანაზღაურების თანხის დეპონირების მიზნებისათვის; და

(c) სასამართლოს ბრძანებით განსაზღვრული ზიანის ანაზრაურების ოდენობასა და ხასიათს, მათ შორის, შესაბამის შემთხვევაში, ქონებასა და აქტივებს, რომელთა მიმართ გაცემული იქნა ბრძანება რესტიტუციის შესახებ.

4. როდესაც სასამართლო გასცემს ბრძანებას ზიანის ინდივიდიალურ საფუძველზე ანაზღაურების თაობაზე, ზიანის ანაზღაურების შესახებ ბრძანების ოქმი გადაეცემა შესაბამის დაზარალებულ პირს.

წესი 219
ზიანის ანაზრაურების თაობაზე ბრძანების ცვლილების აკრძალვა

პრეზიდიუმი, ზიანის ანაზღაურების თაობაზე ბრძანების მონაწილე სახელმწიფოსადმი 217-ე წესის თანახმად გადაცემისას, აცნობებს მას, რომ, ზიანის ანაზღაურების თაობაზე ბრძანების აღსრულებისას, ეროვნული ხელისუფლების ორგანოები არ შეცვლიან სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ზიანის ანაზღაურებას, სასამართლოს მიერ განსაზღვრული ნებისმიერი ზარალის, დანაკრგის ან დაზიანების მოცულობას ან ოდენობას, ან ბრძანებაში აღნიშნულ პრინციპებს, და ხელს შეუწყობენ ამგავრი ბრძანების აღსრულებას.

წესი 220
ჯარიმის დამაკისრებელი გადაწყვეტილებების ცვლელების აკრძალვა

მონაწილე სახელმწიფოებისათვის ჯარიმის დამაკისრებელი გადაწყვეტილების ასლის გადაცემისას 109 მუხლისა და 217-ე წესის შესაბამისად აღსრულების მიზნით, პრეზიდიუმი მათ შეატყობინებს, რომ, დაკისრებული ჯარიმის აღსრულებისას, ეროვული ხელისუფლების ორგანოები მათ არ შეცვლიან.

წესი 221
გადაწყვეტილება ქონების ან აქტივების განკარგვის ან დანაწილების თაობაზე

1. პრეზიდიუმი, შესაბამის შემთხვევაში, პროკურორთან, მსჯავრდებულ პირთან, დაზარალებულ პირებთან ან მათ კანონიერ წარმომადგენელთან, აღმასრულებელი სახელმწიფოს ეროვნული ხელისუფლების ორგანოებთან ან ნებისმიერ მესამე მხარესთან, ან 79-ე მუხლით გათვალისწინებული მიზნობრივი ფონდის წარმომადგენლებთან კონსულტაციის შემდეგ, გამოიტანს გადაწყვეტილებას ყველა საკითხზე, რომელიც დაკავშირებულია სასამართლოს ბრძანების აღსრულების პროცესში რეალიზებული ქონების ან აქტივების განკარგვასა ან დანაწილებასთან.

2. ყველა შემთხვავში, როდესაც პრეზიდიუმი მიიღებს გადაწყვეტილებას მსჯავრდებული პირის კუთვნილი ქონების ან აქტივების განკარგვის ან დანაწილების თაობაზე, ის უპირატეს ძალას მიანიჭებს დაზარალებული პირებისადმი ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებულ ზომებს.

თარგმანი © გიორგი ჯოხაძე, 2003

წესი 222
დახმარება მიწოდების ან ნებისმიერი სხვა ზომის მიმართ

პრეზიდიუმი სახელმწიფოს გაუწევს დახმარებას ჯარიმის, კონფისკაციის ან ზიანის ანაზღაურების თაობზე ბრძანების აღსრულებაში, მსჯავრდებული პირისადმი ან ნებისმიერი სხვა დაინტერესებული პირებისადმი შეტყობინების მიწოდებით, ან ნებისმიერი სხვა ზომების მიღებით, რომელიც აუცილებელია ბრძანების აღსასრულებლად აღმასრულებელი სახელმწიფოს ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურის თანახმად.

დანაყოფი V
სასჯელის შემცირების საკითხის განხილვა 110-ე მუხლის თანახმად

წესი 223
კრიტერიუმები სასჯელის შემცირების საკითხის განხილვისათვის

სასჯელის შემცირების საკითხის 110-ე მუხლის მე-3 და მე-5 პუნქტების თანახმად განხილვისას, სააპელაციო პალატის სამი მოსამართლე მხედველობაში მიიღებს 110-ე მუხლის მე-4 (a) და (b) პუნქტებში ჩამოთვლილ კრიტერიუმებს, ასევე შემდეგ კრიტერიუმებს:

(a) მსჯავარდებული პირის ქცევა თავისუფლების აღკვეთის დროს, რომელიც ცხადყოფს მის მიერ ჩადენილი დანაშაულის გულითად მონანიებას;

(b) მსჯავრდებული პირის საზოგადოებაში დაბრუნებისა და ნორმალური ცხოვრების გაგრძელების შესაძლებლობას;

(c) გამოიწვევს თუ არა მსჯავრდებული პირის ადრეული გათავისუფლება მნიშვნელოვან სოციალურ დაძაბულობას;

(d) მსჯავრდებულის მიერ დაზარალებულ პირთა მიმართ განხორციელებულ ნებისმიერ მნიშვნელოვან მოქმედებას, ასევე დროებითი გათავისუფლების ნებისმიერ შედეგებს დაზარალებულ პირთა და მათი ოჯახების მიმართ;

(e) მსჯავრდებული პირის პირადი გარემოებები, მათ შორის მისი ფიზიკური ან ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება ან ასაკი.

წესი 224
სასჯელის შემცირების საკითხის განხილვის პროცედურა

1. 110-ე მუხლის მე-3 პუნქტის გამოყენების მიზნით, სააპელაციო პალატის მიერ დანიშნული სააპელაციო პალატის სამი მოსამართლე ჩაატრებს საქმის მოსმენას, თუ ისინი კონკრეტულ შემთხვევაში სხვაგვარად არ გადაწყვეტენ განსაკუთრებული მიზეზების არსებობის გამო. საქმის მოსამენა ჩატარდება მსჯავრდებული პირის მონაწილეობით, რომელსაც შეუძლია ისარგებლოს მისი ადვოკატის დახმარებით და, თუ ეს საჭიროა, თარჯიმანის დახმარებით. ეს სამი მოსამართლე, საქმის მოსმენაში მონაწილეობის მისაღების ან წერილობითი შენიშვნების წარდგენის მიზნით, მოიწვევს პროკურორს, 77-ე მუხლით გათვალისწინებული სასჯელის ან 75-ე მუხლის თანახმად ზიანის ანაზღაურების შესახებ ბრძანების აღმასრულებელ სახელმწიფოს და, შესაძლებლობის ფარგლებში, დაზარალებულ პირებს ან მათ კანონიერ წარმომადგენლებს, რომელთაც მიიღეს მონაწილეობა სასამართლო განხილვაში. განსაკუთრებულ პირობებში, საქმის ეს მოსმენა შეიძლება ჩატარდეს ვიდეოკონფერენციის გზით ან აღმასრულებელ სახელმწიფოში სააპელაციო პალატის მიერ დანიშნული მოსამართლის მონაწილეობით.

2. იგივე სამი მოსამართლე გადაწყვეტილებას და გადაწყვეტილების მიზეზებს რაც შეიძლება მალე შეატყობინებს სასჯელის გადასინჯვის თაობაზე სასამართლო განხილვის ყველა მონაწილეს.

3. 110-ე მუხლის მე-5 პუნქტის გამოყენების მიზნით, სააპელაციო პალატის მიერ დანიშნული სააპელაციო პალატის სამი მოსამართლე განიხილავს სასჯელის შემცირების საკითხს ყოველი

სამი წლის შემდეგ, თუ ის 110-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად მიღებული გადაწყვეტილებით უფრო მცირე ინტერვალს არ დაადგენს. გარემოებათა მნიშვნელოვანი ცვლილების არსებობისას, ამ სამ მოსამართლეს შეუძლია მსჯავრდებულ პირს ნება დართოს, მიმართოს სასჯელის გადასინჯვის თხოვნით სამწლიანი ვადის მსვლელობისას ან ისეთ უფრო მოკლე ვადაში, რომელიც შეიძლება დადგენილ იქნეს ამ სამი მოსამართლის მიერ.

4. 110-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანხმად გადასინჯვის მიზნებისათვის, სააპელაციო პალატის მიერ დანიშნული ამ პალატის სამი მოსამართლე შესთავაზებს მსჯავრდებულ პირს ან მის ადვოკატს, პროკურორს, 77-ე მუხლით გათვალისწინებული სასჯელის ან 75-ე მუხლის თანახმად ზიანის ანაზღაურების შესახებ ბრძანების აღმასრულებელ სახელმწიფოს და, შესაძლებლობის ფარგლებში, დაზარალებულ პირებს ან მათ კანონიერ წარმომადგენლებს, რომელთაც მიიღეს მონაწილეობა სასამართლო განხილვაში, წარადგინონ წერილობითი წარდგინებები. სამ მოსამართლეს ასევე შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება საქმის მოსმენის ჩატარების თაობაზე.

5. გადაწყვეტილება და მისი მიზეზები რაც შეიძლება მალე ეცნობება გადასინჯვის თაობაზე სასამართლო სხდომის ყველა მონაწილეს.

დანაყოფი VI
გაქცევა

წესი 225
111-ე მუხლის თანახმად მიღებული ზომები გაქცევის შემთხვევაში

1. თუ მსჯავრდებულმა პირმა მოახერხა გაქცევა, აღმასრულებელი სახელმწიფო რაც შეიძლება მალე აცნობებს მდივანს ნებისმიერი საშუალებით, რომელიც იძლევა წერილობითი ჩანაწერის გადაცემის შესაძლებლობას. ამის შემდეგ, პრეზიდიუმი მოქმედებს მე-9 ნაწილის შესაბამისად.

2. ამასთანავე, თუ სახელმწიფო, რომელშიც იმყოფება მსჯავრდებული, განაცხადებს თანხმობას ამ პირის აღმასრულებელი სახელმწიფოსადმი გადაცემაზე საერთაშორისო შეთანხმების საფუძველზე ან მისი ეროვნული კანონმდებლობის თანახმად, აღმასრულებელი სახელმწიფო ამის შესახებ წერილობით აცნობებს მდივანს. პირი რაც შეიძლება მალე გადაეცემა აღმასრულებელ სახელმწიფოს, საჭიროების შემთხვევაში - მდივანთან კონსულტაციით, რომელიც გაუწევს ნებისმიერ საჭირო დახმარებას, მათ შორის, თუ აუცილებელია, შესაბამისი სახელმწიფოებისადმი ტრანზიტის შესახებ მოთხოვნის წარდგენის გზით, 207-ე წესის შესაბამისად. მსჯავრდებული პირის გადაცემასთან დაკავშირებულ ხარჯებს გაიღებს სასამართლო, თუ არც ერთი სახელმწიფო არ აიღებს თავის თავზე მათი ანაზღაურების პასუხისმგებლობას.

3. თუ მსჯავრდებული პირი გადაეცემა სასამართლოს მე-9 ნაწილის საფუძველზე, სასამართლო მას გადასცემს აღმასრულებელ სახელმწიფოს. ამასთანავე, პრეზიდიუმს შეუძლია, საკუთარი ინიციატივით ან პროკურორის ან თავდაპირველი აღმასრულებელი სახელმწიფოს თხოვნით და 103-ე მუხლის და 203-206 წესების შესაბამისად, დანიშნოს სხვა სახელმწიფო, მათ შორის ის სახელმწიფო, რომლის ტერტორიაზეც მსჯავრდებულმა მოახერხა გაქცევა.

4. ყველა შემთხვევაში, იმ სახელმწიფოს ტერიტორიაზე თავისუფლების აღკვეთის სრული ვადა, რომელშიც მსჯავრდებული იმყოფებოდა პატიმრობაში გაქცევის შემდეგ და, როდესაც გამოიყენება მე-3 ქვეწესი, სასამართლოს ადგილსამყოფელში თავისუფლების აღკვეთის ვადა იმის შემდეგ, რაც მსჯავრდებული პირი გადაეცა იმ სახელმწიფოს მიერ, სადაც ის იმყოფებოდა, გამოაკლდება დარჩენილი სასჯელის ოდენობას.

თარგმანი © გიორგი ჯოხაძე, 2003